# საქართველოს რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 30 სექტემბერი, 2004 წელი. №227 (4956) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


◎ დღის თემა

# ვისაც გვჯერა, გაგვაბარეთ!

## საით იმზირება გერბი?

პარლამენტის გუშინდელი სხდომა პერალდიკას დაეთმო. ლაპარაკი იმაზე, რომ ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო სიმბოლიკის მიღება და ამით ყველანი უნდა ვიყოთ დაინტერესებული, არც ღირს. მაგრამ წესი გამონაკლისის გარეშე არც ამ საკითხში არსებობს. პარლამენტარების უმრავლესობას, როგორც ჩანს, გერბი იმდენად უინტერესოდ ეჩვენება, რომ სხდომაზე დასწრება საჭიროდ არ ჩათვალა. დარბაზში მყოფთა დიდი ნაწილიც ერთმანეთთან საუბრით იქცევდა თავს. არც გაემტყუნებათ – ჰერალდიკა ის სფეროა, რომელზეც ადამიანებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, დეპუტატებსაც, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. მაგრამ მაინც, ასეა თუ ისე, დისკუსია გაიმართა.


იხ. მე-2 გვ.


◎ პრეზიდენტი

## ერთიანობა ყველა სიძნელეზე გაგვამარჯვებინებს

უკვე მეოთხე დღეა, ბორჯომი-ხარაგაულის ტყე-პარკს ცეცხლი უკიდია. განსაკუთრებით სახიფათო მდგომარეობა შეიქმნა სოფელ აწყურში, ტყე-პარკის სამხრეთ ნაწილში, სადაც ცეცხლი რამდენიმე ჰექტარზე მძვინვარებდა. ქარის გამო ხანძარი ნაკრძალის მიდამოებშიც გავრცელდა. განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, სპეციალური ტექნიკის, განსაკუთრებით სათანადო ვერტმფრენების უქონლობის გამო სტიქიის საბოლოოდ დაძლევა დღემდე ვერ მოხერხდა.

ამიტომაც იყო, რომ გუშინ, საღამოს ხუთ საათზე, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვერტმფრენით გაფრინდა სტიქიური უბედურების ადგილისკენ. პრეზიდენტმა ცეცხლმოდებული ადგილები ვერტმფრენიდან დაათვალიერა და სათანადო დავალებებიც იქიდან გასცა.

თბილისის აეროპორტში შეიდის ნახევრისთვის დაბრუნებულმა მიხეილ საკაკაშვილმა განაცხადა, რომ ხანძრის ლიკვიდაციისთვის მზად არიან როგორც თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფები, ისე ოსიაურში განლაგებული რეზერვისტებიც.

– ხანძრის ფართობი, – განაცხადა პრეზიდენტმა, – შემცირებულია. ეს არის პირველი გამოცდა ჩვენი ეროვნული რეზერვისტებისა. ორმოცდაათი რეზერვისტი ადგილზე პრაქტიკულად ებრძვის ხანძარს, 250 კი იქით მიემართება. ამასთანავე, გამზადებული გვყავს შეიარაღებული ძალების იმდენი ჯარისკაცი, რამდენიც საჭირო იქნება. ასეა, საქმით გამოჩნდა, რომ რეზერვისტები გვჭირდება არა მხოლოდ საომარი მოქმედებებისთვის, არამედ ასეთი გიპის სტიქიური უბედურებების დაძლევისთვისაც. ეს ჩვენი ქვეყანაა, ერთად უნდა ვიბრძოლოთ მისთვის, ერთად უნდა ჩავაქროთ ცეცხლი, ერთად შევერკინოთ სტიქიურ უბედურებებს. ვფიქრობ, ეს კარგი მაგალითი იყო.


იხ. მე-2 გვ.

◎ კომპეტენტური აზრი

## განა დამოუკიდებლობა იმიტომ მოვიპოვეთ, რომ კვლავ რუსეთთან ერთად ვიაროთ?

### კითხულობს პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვაჟა კეშელავა

**– ბატონო ვაჟა, ამ ბოლო დროს ხელისუფლებას ხშირად აკრიტიკებენ, ყოფილ სამხრეთ ოსეთში წინდაუხედაობა გამოიჩინა, ნაჩქარევად იმოქმედა, რუსთთან ურთიერთობა დაძაბაო. თქვენ რას იტყოდით?**

– გულახდილად მოგახსენებთ, საპარლამენტო ოპოზიციის კრიტიკას არ ვიზიარებ. ვფიქრობ, ჩვენი ხელისუფლება სწორად მოიქცა და აი, რატომ: – წლების განმავლობაში იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ყოფილ სამხრეთ ოსეთში პრობლემები არ გვქონდა. ჩვენი ინერტულობით რუსეთმა ისარგებლა და სათავისოდ ამოქმედდა, მოსახლეობის უმრავლესობას რუსეთის მოქალაქეობა მისცა. ფაქტობრივად, ასეთი შედეგი მოჰყვა მიძინებულ ვითარებას.

იელის-აგვისტომი ჩვენი გააქტიურება აუცილებლობამ მოითხოვა. ვგულისხმობ ერგნეთის ბაზრობის გადაკეტვას. ამით რუსეთმა იგრძნო, რომ რადიკალურად შეიცვლებოდა საქართველოს პოლიტიკა ამ რეგიონში, რომ უკვე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნით მხოლოდ საუბრებს აღარ დავჯერდებოდით და სიტყვას საქმე მოჰყვებოდა. ამიტომ ყველაფერი გააკეთა ოსი სეპარატისტების დასახმარებლად. ბუნებრივია, დაიძაბა ურთიერთობა რუსეთთან, რომელიც შემდეგ მცირე ომში გადაიზარდა. ზოგიერთი ძალა ცდილობდა ფართომასშტაბიან ომში საქართველოს ჩათრევას, მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ წინდახედულობა გამოიჩინა და სისხლისმღვრელი შედეგი თავიდან აიცილა.

ამ ქმედებას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა არაერთხელ, ოფიციალურად გამოსვლისას, გონივრული ნაბიჯი უწოდა. ეს კიდევ ერთი მცდელობაა ჩვენი მხრიდან, რომ საბოლოოდ არ გაუარესდეს რუსეთთან ურთიერთობა.

**– ე. ი. ჩვენს ხელისუფლებას გაცნობიერებული აქვს ჩრდილოელ მეზობელთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აუცილებლობა...**

– რა თქმა უნდა. ამასთან, რუსეთსაც უფრო მეტი გონიერება სჭირდება საქართველოსთან მიმართებაში.


იხ. მე-2 გვ.


◎ კანონმდებლები

## მედია ჩვეულებრივი ბიზნესი არ არის

**მთავარი სიახლე, რასაც აღმასრულებელი ხელისუფლება ქვეყანას მიმდინარე წლის შემოდგომაზე სთავაზობს, საგადასახადო კოდექსი და განათლების რეფორმაა. ორივე საკითხი პარლამენტმა უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს. ოპოზიცია ენერგიულად აპროტესტებს მოსალოდნელ სიახლეებს, რის გამოც ორივე საკითხი სახელისუფლო გუნდისა და ოპოზიციის სერიოზულ დაპირისპირებას გამოიწვევს. შესაძლოა, ამ კანონპროექტების განხილვას პარლამენტში ოპოზიციის რიგების გაბრდა მოჰყვეს, იმდენად რამდენადაც აღნიშნული კანონპროექტების დამწუნებლები უმრავლესობაშიც ბევრია.**

ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ საგადასახადო კოდექსი ყველაზე რეალისტური კოდექსი იქნება. მისი თქმით, გარკვეული ძალები საგადასახადო კოდექსში, კერძოდ, მის ადმინისტრაციულ ნაწილში, ცვლილებების შეტანას მოითხოვს, რისი დაშვებაც მას შეუძლებელად მიაჩნია. რაც შეეხება შეღავათებს, რომელიც ახალ საგადასახადო კოდექსშია გათვალისწინებული, ფინანსთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს შეღავათები განსაკუთრებით პრესას შეეხება. მინისტრი კი ირწმუნება, შეღავათი მოგეცითო, მაგრამ მაშინ, როცა საუბარია პრესის დღგ-თი დაბეგვრის შემოღებაზე, გადასახადისგან მხოლოდ ქიღალდის იმპორტის განთავისუფლება დიდი ვერაფერი შეღავათია.

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში პრესა გადასახადისგან საერთოდ თავისუფალია, რადგან მედია ჩვეულებრივ ბიზნესად არსად აღიქმება. მოგეხსენებათ, გამომცემლების სურვილი იყო, ჰონორარი და ხელფასი ორ ნაწილად გაყოფილიყო – ხელფასზე სოციალური გადასახადი შეღავათიანი ყოფილიყო, ხოლო ჰონორარს ეს გადასახადი საერთოდ არ შეხებოდა. მიუხედავად დაპირებისა, საგადასახადო კოდექსში ეს გათვალისწინებული არ არის. როგორც ამბობენ, დაბეგვრა მხოლოდ ხელფასების გაცემის კუთხით, დაახლოებით მესამედით შემცირდა. სამაგიეროდ, პრესა აქამდე თუ დღგ-თი მხოლოდ ნაწილობრივ იბეგრებოდა, ახალი კოდექსის პროექტის მიხედვით, დღგ-ს გადახდა სრულად მოუწევს.

ეკონომიკური განვითარების მინისტრი კახა ბენდუქიძე დაუფარავად, პირდაპირ აცხადებს, რომ მისი სურვილი იყო, პრესას სხვა ბიზნესებთან შედარებით შეღავათი არ ჰქონოდა. პრესას იგი აბსოლუტურად ჩვეულებრივ ბიზნესად აღიქვამს და თითქოს სინანულით ამბობს, ჩემი იდეა – პრესა შეღავათების გარეშე დაბეგრილიყო – ალბათ, ვერ გაიმარჯვებსო. პარლამენტარები ირწმუნებიან, რომ პრესაზე დღეს არსებული შეღავათების გაუქმებას არაფრით არ დაუშვებენ. იმედი ვიქონიოთ, რომ სიტყვას შეასრულებენ.

მზია გელენავა.

◎ ინფორმაცია

### მოსამართლეებს არ ეშველა

**სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის ვალერი ხრუსტალის, ქუთაისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის თავმჯდომარის, პალატის წევრებისა და ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის გელა ნაცვლიშვილის საქმესთან დაკავშირებით გუშინ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და იურიდიულ კომიტეტს რეაგირებისთვის მიმართა.**

**სუბარი ამ მოსამართლეებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის უხეშ დარღვევებში ადანაშაულებს და მათი პასუხისმგებლობის საკითხის დასმას კატეგორიულად მოითხოვს.**

**საქმე ეხება ოზურგეთელ მსჯავრდადებულ ზაზა ცეცხლაძეს, რომელსაც, სახალხო დამცველის მონაცემებით, ოზურგეთის, ქუთაისის და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებმა 24-თვიანი სასამართლო პატიმრობის ვადა კანონდარღვევით გაუგრძელეს.**

**ომბუდსმენის აღნიშნულ ბრალდებას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი ხრუსტალმა აბსურდული უწოდა.**

### მართალს ამბობს იგორ ივანოვი?

**რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი იგორ ივანოვი თავის ქართველ კოლეგა გელა ბეჟუაშვილთან ორმხრივი საკითხების მთელ კომპლექსს განიხილავს. ამის შესახებ ივანოვმა გუშინ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**ივანოვმა ჟურნალისტებს შეახსენა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის არჩევის შემდეგ რუსული მხარე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არსებული ყველა პრობლემის განხილვას შეუდგა. კერძოდ, განხილული იყო**

**მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის, საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გამოყვანის საკითხები და საინვესტიციო პროექტები.**

**ივანოვმა სოჭის შეთანხმებაზე საუბრისას აღნიშნა, რომ კონფლიქტების პოლიტიკური საშუალებებით მოგვარებასთან დაკავშირებით მხარეებს შორის სრული ურთიერთგაგება არსებობდა. – თუმცა ამას მოჰყვა რიგი მოვლენები, რომლებმაც სიტუაცია გაართულა, – თქვა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა.**

**რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებაში შუამავლის სტატუსით რუსეთის მონაწილეობას, ივანოვმა აღნიშნა, რომ რუსეთი ამას იმ ზომით აკეთებს, რა ზომითაც მას შეუძლია ეს გააკეთოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.**

### ვადა დღეს იწურება

**ფინანსთა სამინისტროს „2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის“ პროექტის პარლამენტში წარდგენის საკონსტიტუციო ვადა დღეს იწურება. როგორც ინტერ-პრესს ფინანსთა სამინისტროში განუცხადეს, პროექტი მომზადებულია და მას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო დათქმულ ვადაში მიიღებს.**

**2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა 2 მილიარდ 111 მილიონ 360 ათასი ლარით არის განსაზღვრული, რაც 2004 წლის ბიუჯეტის გეგმას 144,5 მილიონი ლარით აღემატება.**

**2005 წლის ბიუჯეტის პროექტში 27,5 მილიონი ლარით არის გაზრდილი ბიუჯეტის დეფიციტი. მთავრობა გეგმავს, რომ დეფიციტს 47 მილიონი ლარით საშინაო, ხოლო 251,6 მილიონი ლარით საგარეო წყაროებიდან დაუფინანსებს. წლევანდელ ბიუჯეტთან შედარებით, საგარეო დაფინანსების წყაროები 6,4 მილიონი ლარით არის შემცირებული. 17 მილიონი ლარით ნაკლები დაიგეგმა გრანტის პარამეტრიც. მომავალი წლის ბიუჯეტში 113 მილიონი ლარით შემცირდა არასაგადასახადო შემოსავლების პარამეტრიც.**

ინტერ-პრესი.

## ნომერში წაიკითხავთ:

**მისი ცხოვრების გზა – ნიმუში ერის სამსახურისა**

**თელ-ავივში გამართულ კონსტანტინე წერეთლის ხსოვნის საღამოზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა. მთავარი მომხსენებელი კი იყო ქალბატონი ბიული ალასანია, რომლის სიტყვასაც დღეს გთავაზობთ.**


(მე-3-4 გვ).

**საქართველო ჩემი სახლი და ოცნებაა**

**სალომე მარგველაშვილი – ეს სახელი და გვარი საქართველოში შეიძლება ბევრისთვის ცნობილიც არ იყოს, მაგრამ ამერიკაში იგი საკმაოდ პოპულარული გოგონაა.**


(მე-5 გვ).

**„ლომისის“ მადლით გაბრწყინებული „ოქროს შემოდგომა“**

**„ლომისი“ ხომ იცით, ფირმა „ლომისი“, ჩვენი ბრწყინვალე მუსიკოსისა და დრამატურგის ჯემალ ბაღაშვილის საფუძველჩაყრილი, შემდეგ დიდ საკონცერტო დარბაზში დაუვიწყარი საღამოებით პოპულარობამოპოვებული, „იუმორინას“ სახელწოდების კონცერტებით გულების დამპყრობია...**


(მე-8 გვ).


◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## აფხაზეთი: „კალაშნიკოვების“ წინასაარჩევნო დეფიციტი

**3 ოქტომბერს აფხაზეთში უნდა გაიმართოს პრეზიდენტის პირველი ალტერნატიული არჩევნები. ამ არჩევნების შედეგებზე დამოკიდებულია საქართველო-აფხაზეთის და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის განვითარების შემდგომი გზები. კონფლიქტის ზონაში შექმნილ წინასაარჩევნო ვითარებას ამოწმებდა „არგუმენტი ი ფაქტის“ კორესპონდენტი პაველ ერიომინი.**

### სამხედრო საქმეები

სოხუმში ჩემი ჩასვლის დღეს აფხაზთა თავდაცვის მინისტრი ვიაჩესლავ ეშბა თათბირზე მიიჩქაროდა.

– რაზე ვისაუბრებთ? – ნაჩქარევად მკითხა გენერალმა. – მე მაინტერესებს ომისთვის სახმელეთო ჯარებისა და ფლოტის მომზადება.

პასუხად მინისტრმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

– ჩვენ მზად ვართ ომისთვის. როცა ვიომობდით 1992 წელს, რესპუბლიკამ დაახლოებით სამი ათასი კაცი დაკარგა და კიდევ ხუთი ათასი – დაიჭრა. მაშინ უკან დასახევი გზა არ გვქონდა. არც ახლა გვაქვს უკან დასახევი, მაგრამ ახლა უკვე გვყავს რეგულარული ნაწილები, რეზერვისტები, რომლებსაც საგეგმო წვრთნას ვუტარებთ. გვაქვს შეიარაღებული ხომალდები, თვითმფრინავები, ძველი ჯავშანტექნიკა, რომელიც ქართველებს წავართვით.

ვიაჩესლავ ეშბამ გამიზიარა ინფორმაცია თურქული ხომალდის დაკავების შესახებ:

– ქართულმა ხომალდებმა დაიკავეს თურქული მშრალგვირთიანი გემი, რომელიც ჩვენი ნავსადგურისაკენ მოემართებოდა. კატარღებმა გაფრთხილების მიზნით ჯერ პაერში გაისროლეს, შემდეგ კი უბრძანეს გემს, მათ გაპყოლოდა. ჩვენი საგუშაგო გემები თვალყურს ადევნებდნენ ყოველივე ამას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ უფლება არა გვაქვს, პირველებმა გავხსნათ ცეცხლი.

გენერალი გულწრფელად ნანობს ამას. ჩემს კითხვას, თუ რა რეაგირებას ახდენს მსგავს ინციდენტებზე თურქეთის მხარე, მინისტრმა მიპასუხა:

– თურქეთიდან აფხაზეთისკენ მომავალი გემები, როგორც წესი, კერძო კომპანიებს ეკუთვნიან, რომლებიც მათ გზავნიან ალალბედზე – იქნებ როგორმე მოაღწიონ ჩვენამდე.

ამის შემდეგ, გენერალმა მიმანიშნა, რომ საუბარი დასრულებული იყო. უბრალოდ, ვერ მოვასწარი მეკითხა მისთვის, აქვთ თუ არა იარაღი რეზერვისტებს.

თუმცა, ამ კითხვაზე პასუხი მივიღე ტაქსის მძღოლისგან – რუსლანისგან, რომელიც რეზერვისტებს რაგომღაც „მოთარეშეებს“ უწოდებს:

– იარაღი? არის, რა თქმა უნდა. მე თვითონ ორი ავტომატი მაქვს, ერთი რეგისტრირებულია, მეორე – არა. ვისაც შემორჩა იარაღი, რა თქმა უნდა, აღარ ჩაბარებს. გახსოვს, 2001 წელს კოდორის ხეობაში გელაევი რომ შემოვიდა. ყველას, ვისაც შეგვეძლო, წავეღით მის გასანადგურებლად. ამისთვის თხუთმეტი დღე დაგვჭირდა.

დავინტერესდი, შემეძლო თუ არა ავტომატის ყიდვა.

– 15 ათასი გაქვს? თუმცა არა, ახლა „კალაშნიკოვის“ შოვნა რთული საქმეა.


იხ. მე-2 გვ.


◎ ფეხბურთი

**წუხელ ევროპის სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის II ტურის მაგჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს:**

**„ე“ ჯგუფი:** „ეინდჰოვენი“ – „პანათინაიკოსი“ 1:0, „რუსენბორგი“ – „არსენალი“ 1:1.

**„ფ“ ჯგუფი:** „ბარსელონა“ – „მახტაორი“ 3:0, „მილანი“ – „სელტიკი“ 3:1.

**„ზ“ ჯგუფი:** „ვერდერი“ – „ვალენსია“ 2:1, „ანდერლეხტი“ – „ინტერი“ 0:3.

**„თ“ ჯგუფი:** „ჩელსი“ – „პორტუ“ 3:1, ცსკა – „პარი სენ-ჟერმენი“ 2:0.



◎ ინტერპანორამა

**ბაკაევი მოუწოდებს დასავლეთს, ზემოქმედება მოახდინოს ჩეჩნეთში პუტინის პოლიტიკაზე. ჩეჩნეთში პუტინის პოლიტიკის ერთადერთი მიღწევაა „მებრძოლი რადიკალების“ გამრავლება, მიაჩნია ბაკაევს და მოუწოდებს დასავლეთის ქვეყნებს, რომ დაარწმუნონ პუტინი ჩეჩნეთის პრობლემის მხოლოდ მოლაპარაკებით გადაჭრის აუცილებლობაში.**

**კაირო.** ელი აიმან აზ-ზავახირი „ალ-ქაიდას“ მთავარ იდეოლოგად ითვლება და იმავდროულად „ალ-ჯიხად ალ-ისლამის“ ეგვიპტური ექსტრემისტული ჯგუფების ერთ-ერთი ლიდერიც გახლავთ. ash-slarg al-ausat-ის ცნობით, იგი პაკისტანის სპეცსამსახურებმა დააპატიმრეს. ზოგიერთი მონაცემებით, პაკისტანის დაზვერვა ამერიკის აღმინისტრაციის რეკომენდაციით აზ-ზახრავის დაპატიმრების ფაქტს აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებამდე „აჩუმათებს“.

**იტალიის** პრემიერ-მინისტრს ბერლუსკონის თავის დაბადების დღეზე შვილიშვილი შეეძინა. ახალშობილს ბაბუამისის სახელი – სილვიო დაარქვეს. იგი ბერლუსკონის მესამე შვილიშვილია.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 227, ხუთშაბათი, 30 სექტემბერი, 2004 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ პრეზიდენტი

## მამაპაპისეული სახლების მფლობელები გადარჩნენ

**მამაპაპისეული სახლების მფლობელებს ქონების გადასახადის გადახდა აღარ მოუწევთ. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დადებითად აფასებს ახალი „საგადასახადო კოდექსის“ პროექტს, ვინაიდან გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები მცირდება, თუმცა მისთვის მიუღებელია 100 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობის მქონე ბინათმფლობელების დაბეგვრა.**

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, აღნიშნული გადასახადი არ შეეხება სოციალურად დაუცველ ფენებს და იმ მოსახლეს, ვისაც მამაპაპისეული ბინა გააჩნია. – მაგრამ ვისაც ახლადაშენებული ბინა აქვს და პარალელურად ბანკში თანხა აქვს შეგანილი, მან ქონების გადასახადი აუცილებლად უნდა გადახადოს, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა ფინანსთა მინისტრს ზურაბ ნოღაიდელს დავალება უკვე მისცა, რათა ახალ პროექტში ეს ხარვეზი გამოასწოროს.

## ჩვენ სტრატეგიულ პარტნიორებად ვრჩებით

**გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ელმარ მამედიაროვი მიიღო. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ მამედიაროვმა განაცხადა, დიალოგის მთავარი თემა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება და განმტკიცება იყო.**

მისი შეფასებით, შეხვედრა საკმაოდ პროდუქტიული და ნაყოფიერი გამოდგა. – ვისაუბრეთ რეგიონულ უსაფრთხოებაზე. ქართული და აზერბაიჯანული ეკონომიკის შემდგომ ინტეგრაციაზე, ასევე რეგიონში არსებული კონფლიქტების დარეგულირების გზებზე, – განაცხადა ელმარ მამედიაროვმა. საქართველო და აზერბაიჯანი კვლავ რჩებიან სტრატეგიულ პარტნიორებად და ყველა ზომას მიმართავენ, რათა რეგიონში, კერძოდ, სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკურმა სტაბილურობამ დაისადგუროს.

მინისტრის შეფასებით, მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური სტაბილურობა შეიძლება გახდეს რეგიონის ეკონომიკური განვითარების დასაბამი, რაც მსოფლიო თანამეგობრობისთვისაც საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება. სწორედ სამხრეთ კავკასიაში გადის ის საგრანსპორტო არტერია, რომელმაც დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს.

მამედიაროვის თქმით, საუბრის თემა იყო ასევე თურქული ქალაქის – ყარსის და საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ახალქალაქის დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პერსპექტივები. მან იმედი გამოთქვა, რომ ამ პროექტის განხორციელება არცთუ ისე შორეული მომავლის საქმეა.

## ოქროს წონის ფალავანი დაგვიბრუნდა

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უბნეკეთში მოღვაწე ქართველ მოჭიდავეს ალექსანდრე დოხტურიშვილს საქართველოში კარგ პირობებს ჰპირდება.**

– დაგპირდით, უცხოეთში მოღვაწე ქართველებს დავიბრუნებდით და დავიბრუნეთ კიდეც. დოხტურიშვილი, რომელიც ათენის ოლიმპიადაზე უბნეკეთის სახელით ასპარეზობდა, ამიერიდან შეჯიბრებებში საქართველოს სახელით მიიღებს მონაწილეობას, – განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, დოხტურიშვილმა საქართველოში დაბრუნება თავად გადაწყვიტა და მას ვარჯიმისთვის კარგი პირობები ექნება. „საქართველოში ოქროს წონის ფალავანი დაგვიბრუნდა“, – აღნიშნა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილი პირობას დებს, რომ წლის ბოლომდე საქართველოში კიდევ რამდენიმე ცნობილი სახე დაბრუნდება.

გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა სპეციალურ ბრძანებულებას, რომლის თანახმად ალექსანდრე დოხტურიშვილს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭება.

◎ ინფორმაცია

აუქციონი

### „ინტურისტი“ ქართველმა იყიდა

**ბათუმის სასტუმრო „ინტურისტი“ გუშინ აუქციონის წესით 3 მლნ. 20 ათას დოლარად გაიყიდა. იგი მოსკოვში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა ლევან თურმანიძემ შეიძინა.**

**ლევან თურმანიძე რუსეთში ერთ-ერთი ავიაკომპანიის მფლობელია. იგი წარმომობით აჭარიდან, სოფელ ქედიდან არის. 1993 წელს თურმანიძე ბათუმში მდებარე სასტუმრო „თანამგზავრის“ მეწილე გახლდათ.**

**აუქციონი ჟურნალისტებისთვის დახურული იყო, მასმედიისთვის კომენტარები მხოლოდ მისი დასრულების შემდეგ გაკეთდა.**

**ეკონომიკის სამინისტრომი სასტუმრო „ინტურისტის“ შეძენაზე განაცხადი შეგანილი ჰქონდა მხოლოდ ორ ბიზნესმენს – ჯუმბერ ხაგიაშვილსა და ლევან თურმანიძეს. ხაგიაშვილმა აუქციონის დარბაზი უკომენტაროდ დატოვა.**

**„ინტურისტის“ ახალი მფლობელი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს გახსნას გეგმავს.**

რელიგია

### ებრაელი ხალხი სუქოთის დღესასწაულს აღნიშნავს

**ებრაელი ხალხი დღეს სუქოთს, ეგვიპტიდან გამოსვლისა და განთავისუფლების დღეს აღნიშნავს.**

**ეს დღესასწაული ყველაზე გამორჩეულ და მხიარულ დღესასწაულად ითვლება და იუდეველებს კიდევ ერთხელ შეახსენებს, თუ როგორ ცხოვრობდნენ ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ ებრაელები უდაბნოში ე.წ. ფაცხებში, რომელთაც არ ჰქონდათ სახურავი.**

**საერთო სახალხო დღესასწაული სუქოთი შვიდ დღეს გრძელდება. ამ დროის განმავლობაში მორწმუნეები ღმერთს მადლობას სწირავენ წყალობისთვის.**

ინტერ-პრესი.

◎ დღის თემა

## ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ!

(პირველი გვერდიდან)

ელდარ შენგელაიასა და ნოდარ გრიგალაშვილის მოხსენებები სიმბოლიკის ახსნასა და დადებითი მხარეების აღნიშნვას მიეძღვნა, თუმცა რამდენიმე დეპუტატს ახალი გერბი სწორად დაგვირთულად კი არა, გადაგვირთულად ეჩვენა. ბაგონი ნოდარის თქმით, თუ პარლამენტი ხელოვნების საკითხებზე გაშლიდა დისკუსიას, ტრაგიკომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა. აქ სადავო არაფერი უნდა ყოფილიყო, რადგან ყველა საკითხზე კომპეტენტური პიროვნებისგან შემდგარმა ჰერალდიკის საკითხთა კომისიამ დიდხანს იფიქრა და იმუშავა.

ვასილ მაღლაფერიძე მომხსენებელს დავთანხმა აქსიომად აღიარებულ გამოთქმაში – გემოვნებაზე არ დავობენ, მაგრამ დასძინა, გააჩნია, რა შემთხვევაშია.

– როცა საქმე რაიმე ხელოვნების ნიმუშს ეხება, რომელიც მავანს შინ წასაღებად და კედელზე ჩამოსაკიდად უნდა, გემოვნებაზე მართლაც არ იდავებენ. მაგრამ სახელმწიფო სიმბოლიკა საქვეყნო საქმეა. ვფიქრობ, ამ გერბზე მუშაობა დასრულებული არ არის. შინაარსობრივად ეს არის უკანმიბრუნებული გერბი. ერთი ნიშნით მაინც გაიხედოს წინ.

გუგული მაღრაძემ პარლამენტს მოქალაქეთა თხოვნა გააცნო – „გერბი“ ქართული სიტყვა არ არის, „ღერბი“ უნდა ვთქვათო. ამას დეპუტატებმა უარმყოფელი ღიმილით უპასუხეს.

წარმოდგენილი გერბი ნიკა გვარამიას არ მოეწონა და მომხსენებელს ჰკითხა: რაგომ არ გვაქვს უფლება, არ მივიღოთ ასე დაგვირთული გერბი და მივიღოთ სადა, „არაქაჯურიო“. ნოდარ გრიგალაშვილმა ნიკასადმი პატივისცემის მიუხედავად, განაცხადა – შენიშვნის გამოთქმა არ ნიშნავს იმას, რომ ავგორის აზროვნება ჭეშმარიტების კონდიციამდეა მისულიო. რაკი აზროვნება ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ ნიკა გვარამიას ინტელექტუალურ თამაშში



„რა? სად? როდის?“ ორჯერ მიანიჭეს მოაზროვნის წოდება, რითაც ძალიან ამაყობს. ეს ისე, სასხვათაშორისოდ გავიხსენე, თორემ ჰერალდიკასთან, ცხადია, არაფერი აქვს საერთო.

სანამ რამდენიმე დეპუტატი, დაახლოებით, ერთი და იმავე სიტყვებით გამოხატავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას გერბის მიმართ, ჩემს ერთ კოლეგას ასეთი იდეა გაუჩნდა: მოღიი, ამოვიღოთ ცეცხლოვანი ქვა და მის ნაცვლად ვარდი ჩავსვათ, რითაც მსოფლიომ გაგვიცნოო.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი კი დისკუსიას გაცილებით იოლად წყვეტდა:

– მე, მაგალითად, მომწონს ეს გერბი და ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ, ბაგონო!

– რა თქმა უნდა, ამ გერბს მიიღებს საკანონმდებლო ორგანო, რადგან ცოტა ჰყავს მოწინააღმდეგე, მაგრამ პარლამენტში, ზოგადად, აზრთა ჭიდილია. ჩვენ სამი თვის შემდეგაც გამოვთქვამთ განსხვავებულ მოსაზრებებს. ამიგომ დააყენეთ ახლა კენჭისყრაზე და ვისაც გჯერათ, რა თქმა უნდა, გაგატარებთ, – უპასუხა ვასილ მაღლაფერიძემ.

მაგრამ დარბაზში სულ სამოციოდე დეპუტატი იჯდა, გადაწყვეტილების მისაღებად კი, როგორც იცით, 118 ხმაა საჭირო. ამის გამო კენჭისყრა ქვორუმის არსებობამდე გადაიდო. მანამდე კი მოკრძალებული დისკუსია გაგრძელდა.

ნოდარ გრიგალაშვილის სიტყვით, ჰერალდიკისთვის ნაკლებად საინტერესოა, ვინმეს გერბი გადატვირთულად მოეჩვენება თუ არა. ის ფერები, რომელთა გვერდიგვერდ არსებობა ზოგიერთს მყვარალად და გაუმართლებლად მიაჩნია, სიმბოლურად არის გერბში შემოტანილი. ჰერალდიკაში კანონები, მათ შორის, ფერთა მეტყველება ჩამოყალიბებულია და კომისიამ ეს გაითვალისწინა.

გიორგი არველაძემაც დაუჭირა მხარი გერბს, მაგრამ მნიშვნელოვანი შენიშვნების გათვალისწინება მოითხოვა – კონსენსუსს უნდა მივაღწიოთო. დეპუტატთა საყურადღებო შენიშვნა კი, ძირითადად, გერბზე მოტანილ ნუსხური წარწერის მხედრულით შეცვლას ითვალისწინებდა.

წარმოდგენილი გერბი არც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს რომან გოცირიძეს დაუწუნებია.

– ეს გერბი არ არის ცუდი და საურველია, მალე მივიღოთ, მაგრამ ვეთანხმები ვასილ მაღლაფერიძის შენიშვნებს. რაიმე ნიშნით მასზე ღვანლმღვლობაც უნდა აისახოს. ვიბიერებ იმ მოსაზრებასაც, რომ წარწერა აუცილებლად უნდა შეიცვალოს მხედრულით.

ის რამდენიმე დეპუტატი, რომლებიც, გარკვეულწილად, არ იწონებდნენ გერბს, მის ძნელადაღსაქმელობას აღნიშნავდნენ. ნოდარ გრიგალაშვილის პასუხი ასეთი იყო:

– ის, რაც ძნელად აღსაქმელია, ესთეტიკისთვის მიღებულია. რაც უფრო მეტად სცილდები საგანს, მით უკეთ ხედავ.

შესვენებაზე ფოიეში რომან გოცირიძემ მას ასეთი იდეა შესთავაზა ღიმილით: – მოდი, ამოვიღოთ ლომი და დავხაგოთ ჭილყვავი, კიდევ უფრო ძნელად აღიქმება და ესთეტიკისთვის კარგი იქნებაო.

კამათი ამით არ დამთავრებულა, იგი პარასკევს გაგრძელდება.

რუსულიდან გახარია.

◎ უარი – თამბაქოს!

## მაგას უნდა მოვაკვლევინოთ თავი?

**გუშინ სასტუმრო „შერატონ მეტეხი-პალასში“ გაიმართა კონფერენცია თემაზე: „პროფესიონალები თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის რატიფიკაციის მხარდასაჭერად“, რომელსაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი მასპინძლობდა.**

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, თამბაქოს მოხმარებით მსოფლიოში ყოველწლიურად 5 მილიონი ადამიანი კვდება, რომელთა დიდი უმრავლესობა განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებზე მოდის. თუ ეს ტენდენციები გაგრძელდა, 2025 წლისთვის ეს ციფრი გაორმაგდება. სიტუაციის ანალიზმა უჩვენა, რომ აღნიშნული პრობლემის გადაჭრისთვის მხოლოდ ცალკეული ქვეყნების ძალისხმევა არ კმარა, ამიტომ 2003 წლის 21 მაისს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 56-ე ასამბლეაზე მიიღეს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენცია. ეს არის ჯანმოსს პირველი მრავალმხრივი ხელშეკრულება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში, რომელიც მიზნად ისახავს ამჟამინდელი და მომავალი თაობების დაცვას თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული დაავადებებისგან, აგრეთვე მიყენებული სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ზარალისან.

კონვენციის ტექსტის შემუშავებაში მონაწილეობდა 192 ქვეყანა, მათ შორის – საქართველო. კონვენცია ძალაში შევა 40 ქვეყნის მიერ მისი რატიფიკაციიდან 90 დღეში. საღღეისოდ კონვენციას ხელი მოაწერა 168 ქვეყანამ და 31-მა მოახდინა მათი რატიფიცირება.

საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი განკარგულებისა და ბრძანებულების საფუძველზე გაეროში ჩვენი ქვეყნის მუდმივმა წარმომადგენელმა 2004 წლის 20 თებერვალს ხელი მოაწერა თამბაქოს ჩარჩო კონვენციას. საქართველოს კანონმდებლობით ქვეყანა კონვენციაზე მიერთებულად ითვლება მას შემდეგ, რაც პარლამენტი მოახდენს მის რატიფიკაციას, ეს კი ჯერჯერობით არ განხორციელებულა.

დღეისთვის შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სხვა უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მომზადებულია კონვენციის აუთენტური ტექსტი, კანონმდებლობაში შესაგანი ცვლილებები და დასკვნები. ამ დოკუმენტაციის პაკეტი გადაეცა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც სრულ პაკეტს საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს.

გელა ლომთათაძე.

◎ კომპეტენტური აზრი

## განა დამოუკიდებლობა იმიტომ მოვიპოვეთ, რომ კვლავ რუსეთთან ერთად ვიაროთ?

(პირველი გვერდიდან)

ამას წინათ, მაგალითად, რუსეთის ელჩის წერილი გამოქვეყნდა. იგი აღნიშნავს, რომ ოსებსა და ქართველებს შორის თურმე არანაირი გაუგებრობა და დაპირისპირება არ არსებობს. მაშინ რა უშლის ხელს მშვიდობიანი გზით კონფლიქტის მოწესრიგებას? ხელისშემშლელი ფაქტორი გახლავთ, სეპარატისტული ძალების მეშვეობით, ასეთი რეგიონების ვითომდა დამოუკიდებლად არსებობა. ადრე თუ გვიან ეს მოძრაობები დესტრუქციულ ხასიათს იძენს და აღნიშნული ტერიტორია კორუფციის, კონტრაბანდის, იარაღის გაცვლა-გაყიდვის, ადამიანების მოგაცების სივრცედ გადაიქცევა. რამდენადაც მალე შეიგნებს რუსეთი, რომ ასეთ ვითარებას მხოლოდ საქართველოსთვის კი არ მოაქვს ზიანი, არამედ რუსეთსაც კარგს არას უქადის, მით უფრო მალე ჩაწყნარდება სიტუაცია. ასტანაში, დსთ-ს ქვეყნების შეხვედრაზე, მრავალმა ქვეყანამ მოიწონა ის ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს მეტ გასაქანს აძლევს საკუთარი თავის დასაცავად. პუტინმაც იგრძნო, რომ ჩვენ უკვე სხვა ქვეყნების საგრძნობი მხარდაჭერით ვსარგებლობთ და დაპირისპირებულ ქვეყნად მხოლოდ რუსეთი რჩება. უპირველესად, რუსეთმა უნდა შეუწყოს ხელი იმას, რომ საქართველოში სეპარატიზმი სასწრაფოდ მოისპოს, რაც მის წისქვილზეც დაასხამს წყალს.

**– მაგრამ რეალურად მოაზროვნე რუსი პოლიტიკოსები საპირისპიროს ქადაგებენ და ამიგომ ეს პრობლემა იოლად ვერ მოგვარდება...**

– დიახ, ბევრი პოლიტიკოსი გვიგეგეს. თუნდაც კონსტანტინ ზატულინი ავიღოთ. იგი გახლავთ დსთ-ს ინსტიტუტის დირექტორი, რომელმაც მაქსიმალურად შემრიგებელური იდეოლოგია უნდა შეიმუშაოს. პარადოქსია, მაგრამ ისიც მგრულადაა განწყობილი საქართველოს მიმართ.

რა თქმა უნდა, საქართველო კავკასიის გულია და მისი გეოპოლიტიკური აღგილმდებარეობა არასდროს მოგვცემს არხეინად ცხოვრების საშუალებას, რადგან სახელმწიფოთა ინტერესები ამ რეგიონში მუდამ გადაიკვეთება. რეალობა ასეთია. დამბაღულობის შესაძლებლობაც მუდამ იარსებებს. რუსეთი ნიადაგ შეეცდება, საკუთარი გავლენა თავს მოგვახვიოს და რაც უფრო მეტს დაეუთმობთ, მით უფრო მეტად გამოავლენს იმპერიულ ზრახვებს.

**– რას ფიქრობთ საქართველოს პროდასავლურ საგარეო პოლიტიკაზე, რომელიც რუსეთს ასე აღიზიანებს?**

– ამჟამად საქართველო ბეწვის ხიდზე გადის, რომ გადარჩეს. ამიგომ ძალიან კარგად მესმის ჩვენი პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისა. ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ დასავლეთის თანადგომის გარეშე ჩვენ გაცილებით მძიმე ვითარებაში აღმოვჩნდებოდით. იმპერიული ქვეყნის ზეწოლის პირობებში, ნებისმიერი ჭკუათმყოფელი პოლიტიკოსი ამ კურსს აირჩევდა.

თანაც, ოღითგან საქართველო ორიენტირებული იყო ევროპაზე, რუსეთთანაც კეთილმეზობლური ურთიერთობა ეწყადა, მაგრამ მას სძულდა ჩრდილოელი მეზობლის აგრესიული პოლიტიკა და მფარველობას ევროპაში ეძებდა.

განა თავად რუსეთს არა აქვს დასავლური ორიენტაცია? და მასაც არ მოსწონს ის ღირებულებები, ჩვენ რომ ვაფასებთ? სწორედაც ასეა, მაგრამ მათ უნდათ, რომ ჩვენ დასავლეთისკენ ერთად წავიდეთ. განა დამოუკიდებლობა იმიგომ მოვიპოვეთ, რომ კვლავ რუსეთთან ერთად ხელიხელჩაკიდებულებმა ვიაროთ? საქართველოს თავისი გზა აქვს.

**– აფხაზეთში მალე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება, როგორ გგონიათ, ვინ მოვლენ ხელისუფლების სათავეში – პროგრესული თუ ანგიქართული ძალები?**

– რაც დრო გადის, ქართველებსა და აფხაზებს შორის გაუცხოება იზრდება. სამაგიეროდ, რუსეთიდან აფხაზეთში ვინ აღარ შედის. ინტენსიურად მიმდინარეობს კურორტების გაყიდვა, უცხო ადამიანების დამკვიდრება, დაახლოებით იგივე ხდება, რაც ყოფილ სამხრეთ ოსეთში.

შესაძლოა, ყოფილ სამხრეთ ოსეთში ჩვენი ხელისუფლება ტაქტიკურად რაღაცაში შეცდა, მაგრამ მთლიანობაში მისი პოლიტიკა ამ რეგიონში გამართლებულია. ფაქტობრივად, რეალური ნაბიჯი გადაიდგა, სიტყვას საქმე მოჰყვა, წინა ხელისუფლება კი მხოლოდ ლაპარაკით ემაყოფილებოდა.

რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს აფხაზეთში, არა მგონია, მომავალი პრეზიდენტი არძინბასგან არსებითად განსხვავდებოდეს და აფხაზეთის მომავალს პროგრესულად ხედავდეს. ვფიქრობ, სათავეში ისევ მოვლენ ანგიქართული ძალები. ვიმედოვნებ, ჩვენი ხელისუფლება გონივრულ ბერკეტებს აამოქმედებს, რომელიც ხელს შეუწყობს კონფლიქტის მოწესრიგებას და ქვეყნის ტერიტორიულ გაერთიანებას.

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი.

◎ ინფორმაცია

### დენის მომპარავი დაისჯება

**პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა გუშინ პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე იმ საკითხებზე ისაუბრეს, რაც ბოლო დროს ვიცე-სპიკერსა და მინისტრს შორის ერთგვარი დაპირისპირების მიზეზი გახდა.**

როგორც მაჭავარიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, ნიკა გილაური მისი მეგობარია, თუმცა მინისტრის საქმიანობის გარშემო მას გარკვეული კითხვები დაუგროვდა, რაც რამდენიმე დღის წინათ პარლამენტის ბიუროს სხდომაზეც დაფიქსირა.

ვიცე-სპიკერის განცხადებით, მას აინტერესებდა ნიკა გილაურის პოზიცია „სისხლის სამართლის კოდექსში“ შესაგან ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის მოპარვისთვის სანქციების დაწესებას უკავშირდება.

– ნიკა გილაურს და მე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აბსოლუტურად ერთი პოზიცია აღმოგვაჩნდა, ანუ შევთანხმდით, რომ ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის უკანონოდ მითვისება აუცილებლად დასჯადი უნდა იყოს და დასჯის მექანიზმები „სისხლის სამართლის კოდექსში“ განიმარგოს, – განაცხადა მაჭავარიანმა.

### ოღონდ ეს სიღარიბე დაპძლიოთ და...

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ შეხვედრას საქართველოს მთავრობის წევრებთან ერთად, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძეც დაესწრება.**

როგორც ინტერ-პრესს ეროვნულ ბანკში განუცხადეს, მანაგაძე ვაშინგტონში შეხვდება სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორს იერუნ კრემერსს, ფონდის მისიის ხელმძღვანელს პაოლო ნეუპაუსს და შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის დირექტორს მოშინ პანთანს.

შეხვედრებზე განიხილება საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები და „სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის“ განხორციელების საკითხები.

ვიზიტის დროს შეხვედრა გაიმართება მსოფლიო ბანკშიც. საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ყოველწლიური შეხვედრა ვაშინგტონში გუშინ დაიწყო და 4 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

ინტერ-პრესს.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

Аргументы и факты

(პირველი გვერდიდან)

## აფხაზეთი: „კალაშნიკოვების“ წინასაარჩევნო დეფიციტი

### საარჩევნო ართურმა

უნდა ითქვას, რუსლანი საინტერესო ადამიანია. მას, მაგალითად, აქვს რუსეთის მოქალაქეობა და საზღვარგარეთის პასპორტი.

– ჩვენში ბევრს აქვს ასეთი პასპორტები, – მითხრა მძღოლმა.

– როგორ აპირებთ ხმის მიცემას აფხაზეთში, თუ რუსეთის მოქალაქეები ხართ?

– არ ვიცი, უკეთესი იქნება ეს ამათ ჰკითხო, – მიპასუხა რუსლანმა და ხელი გაიშვირა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობისკენ.

– კანონი ხმის უფლებას უტოვებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ადამიანებს, – განმიმარტა აფხაზთა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სერგეი სმირმა. – ჩვენ მრავლად გვყავს ისეთი მოქალაქეები, რომლებიც ჩაწერილი არიან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. ასეთი დაახლოებით 60 პროცენტია. მაგრამ ამ ადამიანებსაც აქვთ ხმის უფლება საბჭოური ნიმუშის პასპორტებით, რომელთა მიხედვითაც ისინი აფხაზეთში არიან ჩაწერილი.

მეორე დღეს კი პრეზიდენტის პოსტის ერთ-ერთმა რეალურმა კანდიდატმა ოპოზიციისაგან, „ერთიანი აფხაზეთის“ პარტიის წარმომადგენელმა, „ჩერნომორენერგოს“ ხელმძღვანელმა სერგეი ბაღაფშმა მითხრა, რომ რუსეთის მოქალაქეობის მიღების დროს უამრავმა ადამიანმა ჩააბარა საბჭოთა პასპორტები და ახლა მათ აღარა აქვთ ხმის მიცემის შესაძლებლობა.

თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მეთაურის პოსტის ყველა პრეტენდენტის საპროგრამო დაპირებები პრაქტიკულად ერთნაირია, მაგალითად, ისინი უჭერენ მხარს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. და, როგორც წესი, ოპოზიციონერი-კანდიდატები მოქმედ ხელისუფლებას აღანაშაულებენ ეკონომიკურ „უძრაობაში“, აგრეთვე იმაში, რომ არ შესწევს უნარი შექმნას ძლიერი არმია

და ფლოტი. ხელისუფლება ასეთი განცხადებების პასუხად აღნიშნავს, რომ ყველა კანდიდატს თავის დროზე ეკავა მაღალი პოსტი რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში და, შესაბამისად, ჰქონდათ შესაძლებლობა მოეხდინათ გარკვეული ზემოქმედება ქვეყნის განვითარებაზე. თუმცა, სოხუმისა და მის მახლობლად მდებარე რაიონების მცხოვრებლები ასეთ ბრალდებებსა და საარჩევნო ლოზუნგებს დიდ ყურადღებას არ უთმობენ. პრეზიდენტობის კანდიდატისათვის, მათ აზრით, ძირითადი მახასიათებლები ასეთია: ადამიანის დაბადების ადგილი, რამდენ წელიწადს ცხოვრობდა იგი აფხაზეთში, მისი წვლილი 1992-93 წ.წ. ომში გამარჯვებაში, რამდენად პატივსაცემი ადამიანები არიან კანდიდატის მშობლები და როგორი ნათესავური კავშირები აქვს მას. ერთ-ერთი ამ მიზეზის გამო ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანდიდატად რეგისტრაციაში არ გააგარა მოქმედი პრემიერ-მინისტრის სერიომული ოპონენტი – ალექსანდრე ანქვაბი, რომელსაც ხალხის საკმაოდ სოლიდური მხარდაჭერა ჰქონდა. კომისიამ თავისი გადაწყვეტილება დასაბუთა იმით, რომ ანქვაბს რესპუბლიკაში არ უცხოვრია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

### აფხაზი გალეები

აფხაზეთის გალის რაიონი – სწორედ აქ, მდინარე ენგურზე გადის თვითაღიარებული რესპუბლიკის საზღვარი საქართველოსთან. ტურისტები გალის რაიონისკენ არც კი იხედებიან. გარდა ამისა, ვერც ყველა აფხაზი მძღოლი გაბედავს აქ ჩამოსვლას. როცა ოჩამჩირიდან მოვდიოდით, „ინგურის“ საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან მხოლოდ გაეროს ჯიპები დავინახეთ. ადგილობრივი მცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ ტყეებში დაეხეტებიან ეგრეთ წოდებული ტყის ძმებისა და „თეორი ლეგიონის“ რაზმების წევრები. პერიოდულად ისინი დივერსიებს აწყობენ. გარდა ამისა, სწორედ აქ, „ინგურის“ საკონტრო-გამშვებ პუნქტზე, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ იმართებოდა ყოველკვირეული ოთხმხრივი მოლაპარაკება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ. პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ განმიმარტა ამ მოლაპარაკებების შეწყვეტის მიზეზი:

– ეს შეხვედრები იყო ქართულ მხარესთან მოლაპარაკების ერთ-ერთი მექანიზმი. ჩვენ განვაცხადეთ, რომ დროებით შევაჩერებ მოლაპარაკებას იმის გამო, რომ საქართველომ დაარღვია მოსკოვის შეთანხმება როგორც ხმელეთზე, ისე ჰაერსა და ზღვაზე იარაღის გამოყენების შესახებ.

აფხაზური საბაჟოსა და სამშვიდობო ძალების საგუშაგოების გავლით, მდინარე ენგურზე გადებულ ხიდამდე მიმაცილა გალის რაიონის აღმინისტრაციის მეთაურის მოადგილემ ვალერი ლომიამ. სწორედ ეს ხიდი გამოყოფს აფხაზეთს საქართველოსაგან. ადგილობრივი მცხოვრებლები ხიდით გადადიან საქართველოში და ამისთვის მათ აქვთ სპეციალური სამშვები. ჩემ თხოვნაზე მოეცათ ასეთი სამშვი, ლომიას მხოლოდ გაეცინა: „შენი სლავური გარეგნობით, მხოლოდ სოხუმიდან მოსკოვის სამხედრო სანაგორიუმამდე პლაჟზე თუ გახვალ“. შემდეგ კი სერიოზულად დასძინა: „შენ ვიზა დაგჭირდება“.

### ციფრების ენით

**როგორ უნდა მოიქცეს რუსეთი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში?**

**სოციალური მარკეტინგის ინსტიტუტისა და იური ლევადის ანალიზური ცენტრის მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგებით**

| | ჩეჩნეთის მცხოვრებლები | რუსეთის სხვა რეგიონების მცხოვრებლები |
|---|---|---|
| არ უნდა ჩაერიოს ამ კონფლიქტში | 45% | 51% |
| დააკმაყოფილოს სამხრეთ ოსეთის თხოვნა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის შესახებ | 8 % | 23% |
| აღიაროს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა | 10% | 6% |
| დაეხმაროს საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებაში | 23% | 6% |
| გაუჭირდა პასუხის გაცემა | 13% | 14% |

◎ არდავიწყება

# მისი ცხოვრების გზა – ნიმუში ერის სამსახურისა

*ცნობილია, რომ ამ ზაფხულს – ივლისის ბოლოს ისრაელში ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ საკაშვილი. ვიზიტის პროგრამაში ჩართული იყო სხვადასხვა საინტერესო ღონისძიება. მაგალითად, იერუსალიმში იმ ქუჩას, სადაც ჯვრის მონასტერი დგას, შოთა რუსთაველის სახელი ეწოდა. ამ ფაქტს წინ უძღოდა დიდი საუბარი, რომელიც ისრაელში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ძალისხმევით შესრულდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, ისრაელში მოღვაწე ჩვენი თანამემამულის, ისრაელის „საქართველოდან გამოსულთა კავშირის“ თავმჯდომარის ელი მიხაელის დამსახურება ამ მამალიშვილურ საქმეში.*

*პროგრამის ფარგლებში ასევე მოეწყო ცნობილი სემიტოლოგისა და აღმოსავლეთმცოდნის, საქართველოში ებრაულარამეული კათედრის დამაარსებლის პროფესორ ზ. ბენ-ციონ ბენ-ციონის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო – თელ-ავივში, ამ საღამოს ორგანიზატორიც ასევე ელი მიხაელი იყო. აქვე არ შეიძლება, რომ არ აღინიშნოს ბატონ ბადრი პატარაია-ფეშვილის ღვაწლი. საღამოზე საქართველოდან მიწვეული იყვნენ: ბატონი კოტე წერეთლის ქვრივი ქალბატონი ლეილა ფირმანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქალბატონი გულელი ალასანია, აღმოსავლეთმცოდნე, ებრაისტი (რომელმაც საღამოს წამყვანობაც შეითავა) ისაბარ მახარაშვილი, აღმოსავლეთმცოდნე, ებრაისტი, დოკუმენტი ლალი გულედანი, მწერალი ზაზა ალიბაშვილი, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ნინო კუტალაძე.*

*ამ დღეს ქართველმა ებრაელობამ კიდევ ერთხელ მიაგო სრულიად დამსახურებული პატივი ადამიანს, რომელიც ქართველთა და ებრაელთა ერთ-ერთ ძლიერ შემაერთებელ ხიდად მოიაზრება. ამის დასტური ისიც არის, რომ სულ რამდენიმე დღის წინათ საქართველოში დაარსდა „კოტე წერეთლის სახელობის საერთაშორისო საზოგადოება“, რომლის დამაარსებლები არიან: გიული ალასანია (საპატიო პრეზიდენტი), ელი მიხაელი (პრეზიდენტი) და თამარ მახარაშვილი (პრეზიდენტის მოადგილე). საზოგადოების დამფუძნებლები არიან ცნობილი მეცნიერები და მწერლები: თამაზ გამყრელიძე, გურამ ჩიქოვანი, მაკა გოცირიძე, ჯუმალ ავალიანი, ზურაბ კიკნაძე, ნათელა გორგლაშვილი.*

*თელ-ავივში გამართულ კონსტანტინე წერეთლის ხსოვნის საღამოზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა. მოკავარი მომხსენებელი კი იყო ქალბატონი გულელი ალასანია, რომლის სიტყვასაც ქვემოთ გთავაზობთ.*

ცოტა ხნის წინათ შეწყდა აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის სიცოცხლე. მისი ცხოვრების გზა სამუდამოდ დარჩება ერის სამსახურის ნიმუშად ყველა ქართველისთვის და მეცნიერების სამსახურის მაგალითად ყველა მეცნიერისთვის.

დღეს ჩვენ ბაგონ კონსტანტინე წერეთელზე, სამწუხაროდ, წარსულ დროში გვიხდება საუბარი, როდესაც ყოველ ჩვენგანში, მის ახლობლებში, კოლეგებში და მოწაფეებში ჯერ კიდევ ცოცხალია მასთან ურთიერთობის სითბო და შთაბეჭდილებები. დღეს ჩვენ მაღლიერებით ვიხსენებთ ამ დიდ პიროვნებას, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა არა მარტო ქართულ მეცნიერებაში, არამედ მსოფლიო ორიენტალისტიკაში.

თვალს ვადევნებთ ბაგონ კოტეს ცხოვრებას და გვაოცებს მისი საქმიანობის მრავალმხრივობა, ვვიკვირს, ეს სუსტი ჯანმრთელობის ადამიანი რამდენს ასწრებდა, რამდენს სწვდებოდა. ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, არაბულ, ებრაულ და სხვა ენებზე გამოქვეყნებული 314 სამეცნიერო ნაშრომი, მისი რედაქტორობით გამოცემული 30 წიგნი, ქართველი, რუსი, ჩეხი, გერმანელი, პოლონელი, არაბი, იტალიელი, უნგრელი, ფრანგი, ებრაელი მეცნიერების მიხა შემოქმედებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები – მეცნიერას და მოქალაქის არასრული პორტრეტია.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე კონსტანტინე წერეთელი დაიბადა 1921 წელს თბილისში და ჯრმელი და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო.

ბაგონი კონსტანტინე წერეთლის მეცნიერული შემოქმედება დიდი დიაპაზონით გამოირჩეოდა. იგი იყო ფართო პროფილის ენათმეცნიერი და ორიენტალისტი, რასაც საფუძველი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულმა განათლებამ ჩაუყარა. კავკასიერ და აღმოსავლურ ენათა განყოფილებაზე სწავლის დროს მან მოისმინა როგორც იბერიულ-კავკასიური, ასევე აღმოსავლური, ძველი ბერძნული, ლათინური, სომხური ენების კურსები. 1946 და 1956 წლებში დაიცვა საკანდიდატო და საღოქტორო დისერტაციები. 1959 წელს სსრკ უმაღლესმა სატესტაციო კომისიამ მას პროფესორის წოდება მიანიჭა, ხოლო 1960 წლიდან გარდაცვალებამდე იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სემიტოლოგიის განყოფილების გამგე. 1974 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1988 წელს – მის ნამდვილ წევრად, ხოლო 1993, 1997 წ.წ. ამავე აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული მცდარი გამოცდილების საპირისპიროდ, რომელიც თაშაევა მეცნიერულ კვლევას სწავლების პროცესისგან, კონსტანტინე წერეთელმა იმთავითვე გააცნობიერა ის მარგანი ჭეშმარიტება, რომ მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება სწავლებაა, ძომდევნო თაობებისთვის გამოცდილების გაზიარება. მიუხედავად იმისა, რომ მან ასპირანტურის კურსი სემიტოლოგიის სპეციალობით მეცნიერებათა აკადემიაში გაიარა, 1944 წლიდან გარდაცვალებამდე ის სამეცნიერო კვლევას მუდამ პედაგოგიურ საქმიანობას უხამებდა. 1964-65 წლებში იყო აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1977 წლიდან სემიოლოგიის კთედრის გამგე.

იხ. მე-4 გვ.

◎ მიწის ყიკილი

*დღევანდელ დღეს, როდესაც სახელმწიფოთა შორის საზღვრები გაიხსნა და ქვეყნებს შორის ურთიერთობა გააქტიურდა, უამრავი უცხოელი თუ ავბედობის გამო სხვაგან გადახვეწილი ქართველები ჩამოდიან. მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, როცა ჩვენი სგუმრები არიან ისინი, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში ეკრძალებოდათ სამშობლოსთან რაიმე კავშირი.*

*ამ მხრივ ნავსი ლაზებმა გაგეხეს. მათმა ჩამოსვლამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მთელს საქართველოში. დედაქალაქმა სიხარულის ცრემლებით ჩაიკრა ისინი გულში.*

*დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ტელევიზიით მოვისმინეთ ინფორმაცია, რომ ამჯერად ირანიდან და, კერძოდ, ფერეიდანიდან, სადაც კომპაქტურად ჩაასახლეს შაჰ-აბასის მიერ საქართველოდან ძალით აყრილი მოსახლეობა, ფეხით ძირძველ სამშობლოში მოდიოდა ორი ძმა – არია და შაჰინ ხოსროშვილები. მათ გამოიარეს 1350 კმ. მუსგად იმ მარშრუტით, რომელიც თითქმის 400 წლის წინათ განჯვითა და ვაებით გაიარეს სამშობლოდან ძალით აყრილმა მათმა წინაპრებმა. ფერეიდნელებს დღემდე შენარჩუნებული აქვთ ქართული ენა და ამაყობენ თავიანთი ეროვნებით.*

# ღმერთს ებარებოდეთ!...

მარცხნიდან – შაჰინ ხოსროშვილი, კოტე ჩოლოყაშვილი, არია ხოსროშვილი, ოთარ ვანგოშვილი.

სანამ ამ სახიფათო მოგზაურობას შეუდგებოდნენ, მათ საკუთარ ოჯახში მოუხდათ დიდი წინააღმდეგობის გადალახვა, მაგრამ დედამ დაუჭირა მხარი და მისგან ნებართვის მიღებისთანავე, შეუდგნენ ძნელსა და ფათერაკებით სავსე მოგზაურობას ფეხით. ოცნებაში გაცოცხლებული სამშობლოს სიყვარულით, მუხლჩაუხრელად მოდიოდნენ საქართველოსკენ. ირანის სხვადასხვა ადგილებში მიმოფანგულ ქართველებს სამშობლო და რწმენა წაართვეს, მაგრამ საქართველოში დაბრუნების იმედი ვერ ჩაუკლეს. საუკუნეებმა და უცხო ხალხის გავლენამ მშობლიური ენა ოდნავ დაუმახინჯა, მაგრამ მაინც ბოლომდე ვერ წაართვა. გადაგვარების შიშით ისინი მეგობლად მცხოვრებ უცხო ჯიშის ხალხთან არ ქორწინდებოდნენ.

ჩვენი სგუმრების მამა მთელს მათ მხარეში ცნობილი იყო ვაჟკაცობით, პატიოსნებით, ფიზიკური ძლიერებით და სამშობლოს მხურვალე სიყვარულით. სამწუხაროდ, იგი ადრე დაკარგეს, რომლის სიკვდილიც ძლიერ გეხარდათ მეგობლად მცხოვრებ თურქმანებს, ვინაიდან მისი ძლიერ ეშინოდათ და ახირებულად ვერაფერს უბედავდნენ. დაქვრივებულმა დედამ, რომლის გვარია შაქარაშვილი, მარგომ აღზარდა 5 შვილი, 3 ვაჟკაცი და 2 ქალიშვილი, ყველანი სამშობლოს დიდი სიყვარულით.

ირანში გადასახლებულ ქართველებს სგანჯაავდათ ეჭვი, ახსოვდათ თუ არა ისინი „დიდ საქართველოში“.

მათ დიდად გაიხარეს, როდესაც ფერეიდანს ესტუმრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. მიუხედავად რელიგიური სხვაობისა, ისინი აღფრთოვანებულები შეეგებნენ მას, ყვავილებს უყრიდნენ ფეხქვეშ და კაბის კალთებზე ეამბორებოდნენ. ეს გულისშემძვრელი კადრები ჩვენც ვიხილეთ ტელევიზიით.

პატრიარქის მათთან სგუმრობა დაავიარგვინა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ საკაშვილმა, რომელმაც ამაღლებული სიტყვით მიმართა იქაურ თანამემამულეებს და მათ სამშობლოში დაბრუნება უსურვა. პრეზიდენტის ვიზიტი მათთვის დიდი ბედნიერება იყო, ამით იგრძნეს, რომ ისინი საქართველოში ასსოთ და უყვართ, რომ ფიქრობენ მათ ბედზე და დაეწყებულები არ არიან. ისინი ხომ არ ყოფილან გაბედნიერებულები ასეთი დიდი პირების ჩასვლით.

როდესაც საქართველოს პრეზიდენტი მათთან შესახვედრად მივიდა, ერთ-ერთმა ძმამ – შაჰინმა, მისი დის მიერ ამოქარგული საქართველოს დროშა ტანზე შემოიხვია და ისე მივიდა შეხვედრაზე (ვინაიდან ირანში სხვა სახელმწიფოს დროშის აფრიალება სასტიკად აკრძალულია), მაგრამ მიუახლოდა თუ არა მას, დროშა ტარზე წამოაცვა და ააფრიალა. ეს იყო დიდი გამბედაობა მისი მხრიდან.

პატრიარქის და პრეზიდენტის სტუმრობამ ირანში და მათმა შეხვედრებმა თანამემამულეებთან, დიდი გამოცოცხლება და გამოხმაურება გამოიწვია მთელს იქაურ ქართველობაში. ამ ამბავმა დიდად შეუწყო ხელი ჩვენი დღევანდელი სტუმრების საქართველოში გამომგზავრებას.

საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულომ, რამდენჯერმე მიიღო ისინი და მეგზურობაც გაუწია მათი აქ ყოფნის დროს. თავად-აზნაურთა საკრებულომ და ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა შეხვედრა მოუწყვეს მათ. ამ შეკრებას ესწრებოდნენ პარლამენტარები ზვიად ძიძიგური და ბიძინა გუჯაბიძე. საზეიმო შეხვედრა გახსნა საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა წინამძღოლმა, ბაგონმა კოტე ჩოლოყაშვილმა, რომელმაც გულთბილი სიტყვებით მიმართა სტუმრებს. სიტყვებით გამოვიდნენ: ი. ჩხარგიშვილი, გ. ჯავახიშვილი, ლ. გვრიტიშვილი, ზ. რაგიანი, გ. ჩხაიძე, მ. ბანდუკელი, მ. ხუციშვილი, ს. მამალაძე, ზ. ძიძიგური, ბ. გუჯაბიძე.

საპასუხო სიტყვით გამოსულმა სტუმრებმა გამოხატეს დიდი მადლიერება ასეთი გულთბილი შეხვედრისთვის და აღელვებისგან ცრემლებს ძლივს იკავებდნენ. არანაკლებ ღელავდნენ მასპინძლებიც, რომლებიც არ ფარავდნენ აღფრთოვანებას ეს სიხარულის ცრემლებს.

ფერეიდნელი ძმები ბაგონმა კოტე ჩოლოყაშვილმა დაასაჩუქრა კახური ქუდებით, რომლებიც მათ უმალ თავზე დაიხურეს და საოცრად დაემგავსნენ კახელებს – თავიანთ ისტორიულ ძმებს. საკრებულოს წევრმა, ბაგონმა ოთარ მანგოშვილმა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მათი მოწვევის მოწყობის საქმეში, ისინი დაასაჩუქრა ძველებური ქართული ნივთებით, ხოლო ამავე საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა ლილი ხუციძე-ნიჟარაძემ მათ დედასთან გააგზანა ძვირფასი საჩუქრები – ასეთი ქართველი ვაჟკაცების აღზრდისთვის.

არც სტუმრები აღმოჩნდნენ ხელცარიელები, რომლებმაც ფერეიდანიდან საქართველოში ჩამოიგანეს მათი წინაპრების მიერ სამშობლოდან წაღებული ძველებური ლახვარი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მათ ოჯახში ინახებოდა. ამ ლახვარის საზეიმო გადაცემის ცერემონიალი გაიმართა 8 სექტემბერს ქარვასლაში, სადაც დროებით არის გამოფენილი თავად-აზნაურთა საკრებულოს დაქვემდებარებაში მხატვარ ვლადიმერ კანდელაკის იარაღების და სხვა ეთნოგრაფიული ნივთების შესანიშნავი კოლექცია. ამ კოლექციას კურირებს შესანიშნავი ქართველი, თავადაზნაურთა საკრებულოს წევრი, მხატვარი ოთარ მანგოშვილი, ვინაიდან კოლექციის შემქმნელი ვ. კანდელაკი ამერიკაში ცხოვრობს.

იხ. მე-4 გვ.

◎ ინფორმაცია

ენერგეტიკა

### იქნებ გვეშველოს?

კომპანია „რაოესმა“ 1 ოქტომბრიდან მე-9 ენერგობლოკის ჩართვა გადაწყვიტა. როგორც „ინტერ-პრესს“ კომპანია „თელასში“ განუცხადეს, მოგვარებულია ფინანსური პრობლემები, გადაჭრილია ტექნიკური საკითხიც და ენერგობლოკი 1 ოქტომბრიდან სისტემას ელექტროენერგიას მიაწვდის.

– რამდენიმე დღის წინათ ბლოკმა ტესტირება გაიარა და მზად არის სრული სიმძლავრით იმუშაოს. შემოდგომა-ზამთრის ენერგეტიკულ გეგმაში ბლოკის 220 მეგავატით დატვირთვაა პროგნოზირებული, – განაცხადეს „თელასში“.

2004-2005 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონზე საბითუმო ბაზრის მიერ დაგეგმილ ენერგობალანსში განსაზღვრულია „თელასის“ მიერ 100 მეგავატი სიმძლავრის იმპორტიც, თუმცა როგორც კომპანიაში აცხადებენ, ეს საკითხი ფინანსური პრობლემების გამო ჯერ გადაწყვეტილი არ არის.

მე-9 ენერგობლოკზე კომპანია „რაოესმა“ ზაფხულში სარემონტო სამუშაოები ჩააგარა და ამისთვის 4 მილიონი ლარი დახარჯა.

ბაზრობა

### ფალსიფიცირებული ღვინო ალარ გაჭაჭანდება

ფინანსური პოლიცია ფალსიფიცირებული ღვინის მწარმოებელი ქარხნებით ინტერესდება. ამის შესახებ ჟურნალისტებს გუშინ ფინანსური პოლიციის უფროსმა დავით კეზერაშვილმა განუცხადა.

პოლიციას გააჩნია ოპერატიული ინფორმაცია, რომ ფალსიფიცირებულ ღვინოს თავად ღვინის ქარხნები აწარმოებენ და ყიდიან.

უხარისხო ღვინის მწარმოებლებით აუცილებლად დავინტერესდებით და ყველა მათგანს შესაბამის პასუხს მოვთხოვთ , – განაცხადა კეზერაშვილმა.

მისი თქმით, თბილისის მასშტაბით პოლიცია რეიდებს ჩააგარებს და ფალსიფიცირებული ღვინით მოვაჭრე პირებს, რომლებიც ღვინის რეალიზაციას ძირითადად ბაზრობების გარეთ ახდენენ, ალკოჰოლურ სასმელს ჩამოართმევს.

კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის პეტრე ცისკარიშვილის აზრით, ქსელიდან ფალსიფიცირებული ღვინის ამოღებით მთავრობა გლეხებსა და ღვინის მწარმოებლებს ერთნაირად დაეხმარება, რადგან ღვინის ფალსიფიკაცია მთლიანად კახეთს აზარალებს.

პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიასთან გამართულ თათბირზე ფინანსურმა პოლიციამ ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის დავალება მიიღო და ამ დავალების შესრულება კიდეც დაიწყო.

ვოთხოვნა

### მწერალთა კავშირს შენობებს ართმევენ

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები საკუთარი შენობების დაბრუნებას ითხოვენ. ამ მოგვითი კავშირის თანამშრომლებმა გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართეს, რომელსაც „კონსერვატორების“ ლიდერები – კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური და საპატრიარქოს წარმომადგენელი, ვაკის სამების ეკლესიის მოძღვარი მამა დანიელი დესწრნენ.

მწერალთა კავშირის ადვოკატის, პარლამენტარ კახა კუკავას განცხადებით, აგვისტოს თვეში მწერალთა კავშირმა პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მიერ ხელმოწერილი მთავრობის დადგენილება მიიღო, რომელიც მაჩაბლის 11 და 13 ნომრებში არსებული შენობების ჩამორთმევას ითვალისწინებდა.

კუკავას თქმით, აღნიშნული საკითხი საოლქო სასამართლოში გასაჩივრდა და სასამართლოს გადაწყვეტილებით მთავრობის დადგენილება შეჩერებულად გამოცხადდა. თუმცა მთავრობის გადაწყვეტილების გაუქმება ვერ მოხერხდა და მწერალთა კავშირმა ერთი კვირის წინათ შენობის დაცლის მოთხოვნით მორიგი წერილი მიიღო, – აღნიშნა კუკავამ.

მისივე ინფორმაციით, მწერალთა კავშირის კუთვნილი შენობები კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავა.

პარლამენტარ კობა დავითაშვილის განცხადებით, მწერალთა კავშირისთვის შენობების ჩამორთმევა და სასამართლოს გადაწყვეტილების იგნორირება სრული უსამართლობაა და მკვეთრად ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციას.

ინტერ-პრესი.

◎ დიპლომატია

## ელჩი მისიას ამთავრებს

**თურქეთის** რესპუბლიკის პრეზიდენტმა აპმედ ნეჯდეთ სეზერმა პრეზიდენტის სასახლეში მიიღო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გარიელ ლებანიძე, რომელიც რამდენიმე დღეში სამშობლოში დაბრუნდება.

პრეზიდენტმა სეზერმა აღნიშნა, რომ მას განსაკუთრებით ახარებს ის სტრატეგიული პარტნიორობის აგმოსფერო, რომელიც ორ ქვეყანას შორის სუფევს. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივებს და ენერგომომცველების მილსადენთა პროექტების მნიშვნელობას მთლიანად რეგიონისთვის.

გარიელ ლებანიძემ მადლობა მოახსენა პრეზიდენტს მიღებისთვის და აღნიშნა, რომ თურქეთი, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე დიდ დახმარებას უწევს მის ქვეყანას, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიცაა ქართული ჯარის მშენებლობის საკითხი. ასევე ხაზი გაუსვა პირადად თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის პოზიციას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის საქმეში და დასძინა, რომ თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარება ხელს შეუწყობს პოლიტიკური სტაბილურობის დამკვიდრებას მთელ სამხრეთ კავკასიაში.

პრეზიდენტმა სეზერმა მადლობა გადაუხადა ელჩს თურქეთში გაწეული მუშაობისთვის, წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში და სთხოვა, გადაეცა მისი საუკეთესო სურვილები საქართველოს პრეზიდენტისთვის.

გამომშვიდობების პროგრამის მიხედვით, გარიელ ლებანიძე შეხვდება თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს და საგარეო საქმეთა მინისტრს და თურქეთის სხვა ოფიციალურ პირებს.

◎ კერძო აზრი

# „საქსტანდარტი“ ქვეყნის ეკონომიკის მართვის ბერკეტად უნდა იქცეს და არა მუსრუჭად...

*„საქსტანდარტის“, როგორც სახელმწიფოებრივი სტრუქტურის, რღვევა დაიწყო 1997 წელს, როცა მის სათავეში და ქვედანაყოფების ხელმძღვანელებად მოქალაქეთა კავშირის აქტივისტები მივიდნენ, ცოდნისა და დარგში მუშაობის გამოცდილების გარეშე. არაპროფესიონალებმა ერთი დაკვრით დაიწყეს „საქსტანდარტის“, სახელმწიფოს უძლიერესი სტრუქტურის, ვითომცდა რეორგანიზაცია და პრივატიზება.*

გელარ ბაქრაძე.

„აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად „სამთავრობო დაწესებულებას არა აქვს უფლება, გადასცეს სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებას უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება“. მიუხედავად ამისა, „საქსტანდარტმა“ თვითნებურად გადაბარა საკუთარი (ანუ სახელმწიფო სტრუქტურის) ფუნქციების დიდი ნაწილი ამისათვის ხელოვნურად შექმნილ, სოკოებივით მომრავლებულ შპს-ებს და „საქსტანდარტის“ ხელმძღვანელობამ სახელმწიფო შედამხედველობისა და კონტროლის სამუშაოები უკანონო შემოსავლის წყაროდ გაიხადა, რადგან ამ კერძო ფირმების დიდი უმრავლესობის დამფუძნებლები და ხელმძღვანელები იყვნენ „საქსტანდარტის“ ახალი თავმჯდომარისა და მის მიერ მოყვანილი გუნდის ოჯახის წევრები. გარდა ამისა, დამყარდა მეტად სარფიანი ურთიერთობა: ჩაგიგარებ აკრედიტაციას (მოგცემ მუშაობის უფლებას), მერე ყოველთვიურად მიხდი საზღაურს; თუ გაჯიუტდი, აკრედიტაციას გავიუქმებ...

სერტიფიკაციის სახელმწიფო სისტემა იყო და არის ქართული ბიუროკრატიისა და კორუფციის ერთ-ერთი სიმბოლო. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას საგრძნობ დაბრკოლებას არაკეთილსინდისიერი ჩინოვნიკები უქმნიან. იმისათვის, რომ მწარმოებელმა თავისი პროდუქცია ბაზარში გაიგანოს, მან ჯოჯოხეთური გზა უნდა გაიაროს. ნებისმიერმა საქონელმა, მათ შორის იმპორტულმაც, აუცილებლად უნდა მიიღოს ხარისხის შესაბამისი სერტიფიკატი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ამჟამად მოქმედებს ათეულობით სგანდარტი, რომელიც არ შეესაბამება საერთაშორისოს.

ბიუროკრატები თავისით ვერასოდეს გარდაიქმნებიან და მუშაობის სგილს თავისი ნებით არ შეცვლიან. ამისათვის საჭიროა ან ხელისუფლების პოლიტიკური ნება, ან საზოგადოების მეწოლა. ბიუროკრატებისგან გაწმენდის საუკეთესო საშუალება მათთვის გაუმართლებლად მინიჭებული ფუნქციების ჩამორთმევაა. ამ შემთხვევაში კორუფციის საფუძველი კლებულობს, ეს კი ბიუროკრატთა არმიის შემცირებას იწვევს.

საქართველოს ბიუროკრატიის ერთ-ერთი ამკარა წარმომადგენელია „საქსტანდარტი“ – უწყება, რომელიც პასუხისმგებელი უნდა იყოს რესპუბლიკაში მეტროლოგიის, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის მდგომარეობაზე. **ნუ გვავიწყდება, რომ ეს დარგები სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, უფრო ზუსტად კი – ეკონომიკის მართვის ერთ-ერთი ბერკეტი.**

„საქსტანდარტი“ ბოლო წლების კონკრეტულ მოღვაწეობას მკაცრი შეფასება მისცა კონტროლის პალატის პრეზიდიუმმა 2001 წლის 17 სექტემბრის დადგენილებაში: „საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის უღიმღამო საქმიანობამ, საქართველოს კანონებისა და „საქსტანდარტის“ დებულების იგნორირებამ, ცალკეულ შემთხვევებში სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებამ, სამსახურებრივმა გულგრილობამ, სტრუქტურული ერთეულების მიმართ ზედამხედველობისა და კონტროლის შესუსტებამ „საქსტანდარტის“, როგორც სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო მართვის სამთავრობო ორგანოს, სრული პარალიზება გამოიწვია“.

შემთხვევითი როდია, რომ ამჟამინდელმა შსს მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა მიდა ქართლის გუბერნატორის პოსტზე ყოფნისას პირველი რაც გააკეთა, ის იყო, რომ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა „საქსტანდარტის“ ბორის რაიონის ტერიტორიული სამმართველოს უფროსი.

1992 წლიდან დსთ სივრცეში მოქმედებს მუდმივმოქმედი მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სახელმწიფოთაშორისი საბჭო, რომელშიც საქართველოცაა გაერთიანებული. დღემდე (უკვე მეცამეტე წელია) საქართველოდან ამ ორგანოში ერთი უმნიშვნელო წინადადებაც კი არ შესულა. ხოლო რაც შეეხება ამ ორგანოში მივლინებულ პირთა ხარჯებს, არავითარი უკუგება არა აქვს. სწორედ ამ უპასუხისმგებლობის შედეგია, რომ ჩვენში უკანონო აკრედიტაცია ჩაუტარდა 170-ზე მეტ სერტიფიკაციის ორგანოს და პროდუქციის საგამოცდო ლაბორატორიას, ათამდე კონტროლისა და შედამხედველობის სამსახურს და ა.შ., რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას შპს-ები, ანუ კომერციული იურიდიული პირები წარმოადგენენ, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ.

კონტროლის პალატის პრეზიდიუმის 2001 წლის 17 სექტემბრის დადგენილებაში ნათქვამია: „მარტო სამი ასეთი ფირმის უფნქციონირებით სახელმწიფო ბიუჯეტმა 1998-2000 წლებში ვერ მიიღო 1.200.000 ლარზე მეტი“. ეს დოკუმენტურად გაფორმებული თანხებია, ხოლო გაცილებით მეტი თანხების სამუშაოები სიგყვიერი გარიგებითაა შეთანხმებული.

კომერციული სტრუქტურებისთვის უფნქციების გადაცემის შედეგად „საქსტანდარტის“ თანამშრომელთა დიდი ნაწილი დაუსაქმებელი აღმოჩნდა. ხელოვნურად შექმნილი ბარიერების მეშვეობით 160-ზე მეტი გამოცდილი, მუშაობის 15-20-წლიანი სგაჟის მქონე სპეციალისგი აიძულეს ერთდროულად „თავისი ნებით“ (ზოგს განცხადებაც არ დაუწერია ამის შესახებ) გადასულიყვნენ სამუშაოდ შპს „სტანდარგში“ – კომერციულ სტრუქტურაში, სადაც ისინი იგივე საქმიანობას ეწევიან იგივე სამუშაო ადგილებზე – „საქსტანდარტის“ შენობაში, „საქსტანდარგის“ კუთვნილ ეგალონურ ხელსაწყო-დანადგარებზე, „საქსტანდარტის“ ნორმატიული ბაზის გამოყენებით, მისივე ტრანსპორტით, საკომუნიკაციო საშუალებებით, სარგებლობენ „საქსტანდარტის“ მიერ მინიჭებული წოდებებით: „დამმოწმებელი“, „ექსპერტი“, „სახელმწიფო ინსპექტორი“ და ა. შ.

„საქსტანდარტის“ ფუნქციათა 70-80 პროცენტი გადაეცათ ამ კომერციულ სტრუქტურებს, ხოლო გამონთავისუფლებული უფუნქციო სამუშაო ადგილები არათუ არ გაუუქმებიათ, რითაც ბიუჯეტი შეღავათს მიიღებდა ხელფასის ფონდისა და სხვა ხარჯების შემცირებით, არამედ სასწრაფოდ შეავსეს – ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით – ქუჩიდან შემოყრილი პიროვნებებით, რის გამოც საქართველოს პროკურატურამ მრავალჯერ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე „საქსტანდარტის“ ხელმძღვანელებისა და ცალკეული თანამშრომლების მიმართ. ამ ფაქტებს მრავალი საგაზეთო პუბლიკაცია და ტელეგადაცემა მიეძღვნება.

თითქმის ყოველწლიურად საქართველოს კონტროლის პალატა კრიტიკულად ამოწმებს „საქსტანდარტის“ საქმიანობას, აღგენს შესაბამის აქტებს, მაგრამ ორგანიზაციის საქმიანობას კარგი პირი კელავ არ უჩანს, ხოლო რაც შეეხება შედეგნილ აქტებს, იგი, ალბათ, მავანთა მაგიდებზე იმტვერება...

„საქსტანდარტის“ ხელმძღვანელობას არაფრით არ სურს გაიგოს, რომ სამუშაოს ხარისხი დამოკიდებულია მისი კადრების – დამმოწმებლების, ექსპერტების, სახელმწიფო ინსპექტორებისა და სხვათა მომზადება-ცოდნის ხარისხზე.

იხ. მე-5 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 227, ხუთშაბათი, 30 სექტემბერი, 2004 წელი.

◎ არდავიწყება

# მისი ცხოვრების გზა – ნიმუში ერის სამსახურისა

(მესამე გვერდიდან)

სხვადასხვა დროს კითხულობდა კურსებს არაბულში, ებრაულში, არამეულში, სემიტურ ენათა შესწავლის შესავალსა და შედარებით გრამატიკაში ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის პედაგოგიურ უნივერსიტეტსა და თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში. მოგვიანებით ბატონი კოტე იგყვის: „ახალგაზრდებთან ურთიერთობა ჩემი ცხოვრების მიზანს ქმნის“. 1991 წელს ბატონი კოტე დაინიშნა მის მიერ დაარსებული ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრის გამგედ. 1994 წლიდან საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებული აღმოსავლურ ენათა სწავლების კოორდინაციის ცენტრის ხელმძღვანელად. მისი ინიციატივით თბილისის ქართულ სკოლებში შემოღებულ იქნა აღმოსავლური ენების (არაბული, ებრაული, სპარსული, თურქული) სწავლება. დიდი ხნის მანძილზე იყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა კათედრის პროფესორი. 1996 წელს მას აღნიშნული უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდება მიენიჭა. ბატონი კოტე იყო არაერთი ქართველი და უცხოელი ახალგაზრდის ხელმძღვანელი და გულისხმიერი აღმზრდელი. მისი ურთიერთობა სტუდენტებთან სცილდებოდა ფორმალურ ჩარჩოებს, ხოლო ბატონ კოტეს და ქალბატონ ლეილას ოჯახი ის თბილი და სტუმართმოყვარე სახლი იყო, რომლის კარი სტუდენტებისათვის მუდამ ღია გახლდათ.

აკადემიკოსი კონსტანტინე წერეთელი არ ეკუთვნოდა იმ პიროვნებათა რიცხვს, რომლებმაც სიცოცხლეში ვერ ჰპოვეს სათანადო აღიარება. მის სახელთან ჯილდოების ვრცელი სიაა დაკავშირებული: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 პირველი ხარისხის სამეცნიერო პრემია; ი. ჯავახიშვილის მედალი (1978); ჰელსინკის უნივერსიტეტის მედალი (1979); ი. ჯავახიშვილის პრემია (1980); საპატიო ნიშნის ორდენი (1981); შრომის ვეტერანის მედალი (1987); აკად. გ. წერეთლის პრემია (1989); ღირსების ორდენი (1996); სახელმწიფო პრემია (1998); თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება (1999); ისრაელის მეცნიერებათა აკადემიის ალბერტ აინშტაინის მედალი (1999).

კონსტანტინე წერეთლის მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის ღერძი არამეისტიკა და ებრაისტიკა იყო. დღეს არამეული დიალექტოლოგიის კვლევა წარმატებით მიმდინარეობს გერმანიასა და იტალიაში, აშშ-ში და ისრაელში, იაპონიასა და ინგლისში, მაგრამ ბატონი კოტე სამართლიანად ითვლება არამეული დიალექტოლოგიის ფუძემდებლად. განუზომელია მისი წელილი ძველი და ახალი არამეულის კვლევის საქმეში. ნაშრომებმა „ნარკვევები თანამედროვე ასურული დიალექტების შედარებითი ფონეტიკისა“ (1958), თანამედროვე ასურული ქრესტომათია ლექსიკონითურთ (ასურულ-ქართული, 1958), რუსულ ენაზე მოსკოვში გამოცემული (1964) და მოგვიანებით ინგლისურ, გერმანულ და იტალიურ ენებზე თარგმნილი და ნეაპოლში, ლაიფციგსა და მოსკოვში გამოქვეყნებული „თანამედროვე ასურული ენა“, „მასალები არამეული დიალექტოლოგიისათვის“ (რუსულ ენაზე, 1965, ტ.1, ურმიის დიალექტი), „თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა“ (1968) სხვადასხვა ქვეყნებში მოღვაწე აღმოსავლეთმცოდნეების ყურადღება მიიქცია და მაღალი შეფასება დაიმსახურა – იოჰანეს ფრიდრიხის (გერმანია), ფრანც ალტჰაიმის (გერმანია), დევიდ ლენგის (ბრიტანეთი), კარელ პეტრაჩეკის (ჩეხეთი), სტანისლავ სეგერგის (აშშ) და სხვ. 1970 წელს მოსკოვში გამოვიდა მისი ნაშრომი „სირიული ენა“, რომელშიც 1980 წელს ავტორს ი. ჯავახიშვილის სახ. პრემია მიენიჭა. ამ ნაშრომებში შესული ტექსტოლოგიური მასალა ხშირ შემთხვევაში მეცნიერის მიერ იყო მოპოვებული. 1963 წ. მან გამოაქვეყნა ვანის დიალექტზე შედგენილი ტექსტების ნიმუშები, რომელშედაც ლაპარაკობენ საქართველოში თურქეთის ვილაიეთიდან გადმოსახლებული ასურელები. 1975 წელს გამოვიდა კ. წერეთლის მიერ შედგენილი ასურული ზღაპრების კრებული მისი წინასიტყვაობით და შენიშვნებით, 1976 წელს კ. წერეთელმა გამოაქვეყნა აგრეთვე ტექსტების ნიმუშები თანამედროვე ასურული ენისა, სალმასის დიალექტებზე (ირანიდან გადმოსახლებულ ასურელთა ენაზე).

წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება კონსტანტინე წერეთელმა გაანზოგადა 1982 წელს გამოცემულ ნაშრომში „არამეული ენა“, რომელშიც პირველად არის წარმოდგენილი ძველი და ახალი არამეული ენის ლინგვისტური მიმოხილვა. წიგნი, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა, ავტორმა თავისი მასწავლებლის გიორგი წერეთლის ხსოვნას მიუძღვნა. სწორედ აღნიშნული გამოკვლევა გახდა ის ნაშრომი, რომელსაც პირველად მიენიჭა საქართველოში სემიტოლოგიის ფუძემდებლის აკად. გიორგი წერეთლის სახელობის პრემია. და ეს სავსებით კანონზომიერია, ვინაიდან კონსტანტინე წერეთელი გიორგი წერეთლის მრავალრიცხოვანი სემიტოლოგიური სკოლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო.

დიდი ადგილი ეთმობა კ. წერეთლის შემოქმედებაში ებრაულ-არამეულ ეპიგრაფიკას. საქართველოში აღმოჩენილ არამეულ წარწერებს მკვლევარმა არაერთი ნაშრომი უძღვნა. მათ შორის საქართველოს უძველეს ეპიგრაფიკულ ძეგლს, ძვ. წ. III (თუ II.) ს. უფლისციხის წარწერას. კ. წერეთელმა საქართველოში გავრცელებული არამეული დამწერლობის სამი გიპი გამოავლინა: ჩრდილომესოპოტამიური, ფალაური და ძველი (ე.წ. სახელმწიფო) არამეული. მეცნიერის ნაშრომებში ნაჩვენებია არამეული დამწერლობის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის, მოცემულია ძეგლების პალეოგრაფიული ანალიზი, შესწავლილია ტერმინები. აღსანიშნავია გამოკვლევები არამეული და ირანული ეპიგრაფიკის „ბარ-ბაითას“ შესახებ, რაც ნიშნავს „სახლის ძეს, სახლის შვილს“, იგივე სეფე-წულს.

საქართველოში აღმოჩენილ ებრაული გრაფიკით შესრულებულ არამეულენოვან მე-5 ს. ეპიტაფიაში მან ამოიკითხა „ქართველის“ აღმნიშნელი ტერმინი „ბურგ“.

ბატონი კოტეს შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ებრაული ენის სტრუქტურას. 1944 წლიდან გარდაცვალებამდე იგი კითხულობდა ბიბლიური ებრაული ენის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იმ წლებშიც, როცა საბჭოთა კავშირში ძლიერი იყო ანტისემიტური განწყობილება. მისი მრავალწლიანი გამოცდილება აისახა საუნივერსიტეტო კურსისათვის დაწერილ სახელმძღვანელოში „ებრაელის“ აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში“ (1979), „ქართული ეთნიკური ტერმინის „ურია“-ს, „ბურია-ს“ შესახებ“ (1979), „ტერმინ „ივრითის“ ხმარების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში“ (რუსულ ენაზე, 1983), „ქართველისა“ და „საქართველოს“ აღმნიშვნელი ტერმინების შესახებ არამეულსა და ებრაულში“ (1993), „ქართველ ებრაელთა ენის საკითხისათვის“ (1994).

ებრაული ენის სტრუქტურის საკითხებს მკვლევარი შეეხო გამოკვლევებში სემიტური ენების შესახებაც – „სემიტური ენები საბჭოთა კავშირში“ (ინგლისურად, ტოკიო. 1968), „ხშულთა სპირანტიზაციის საკითხისათვის თანამედროვე სემიტურ ენებში“ (1976, გერმანულად 1980), „ერთი სუპრასეგმენტური ფონემის შესახებ თანამედროვე სემიტურში“ (1976, ინგლისურად 1982), „მამაკაცისა და ქალის აღმნიშვნელი სიტყვები სემიტურში“ (1987), 2000 წელს გამოცემულ წიგნში „სემიტი ხალხების აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში“ აეტორი შეეხო ტერმინთა გავრცელების დროს და არეს, შემოსვლის გზებს და ეტიმოლოგიას. გამოკვლევებში გამოყენებულია არამარტო ქართული წერილობითი წყაროები, არამედ ბიბლიის ებრაული, ბერძნული, სომხური და სირიული ტექსტები.

ბატონი კოტე მუდამ აქტიურად ეხმაურებოდა ორიენტალისტიკის მნიშვნელოვან მოვლენებს. მის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა ერეცენზიებს აღნიშნულ დარგში გამოცემულ ნაშრომებზე, თავისი კოლეგების და მეგობრების შემოქმედების შეფასებას და დაფასებას – ა. ლეკიაშვილის, ვლ. ახვლედიანის, მ. ანდრონიკაშვილის, ნ. ბაბალიკაშვილის, აბონ ციციაშვილის, რ. თაბუკაშვილის და განსაკუთრებით პედაგოგების – გ. წერეთლის, ა. შანიძის, ს. ჯიქიას. „მასწავლებლის შრომა აუნაზღაურებელია“, – მიაჩნდა მას და საკუთარი მაგალითით ასწავლიდა თავის სტუდენტებს, თუ რას ნიშნავს მემკვიდრეობითობა მეცნიერებაში და როგორ უნდა აღმზრდელის დაფასება. აღსანიშნავია ბატონი კოტეს გამოხმაურება სირიელი პოეტის ოსმან ნიმარ ხალილისეული „ვეფხისტყაოსნის“ არაბულ თარგმანზე (1980), ბორის გაპონოვის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულ თარგმანზე (1989); ებრაული ბიბლიის ქართულ თარგმანზე აბრამ მამისთვალოვის, გერშონ ბენორენის (წიწუაშვილის) და თამარ კეზერაშვილის მიერ (1991).

სულ ცოტა ხნის წინათ 80 წლის ბატონი კოტე ამბობდა: „მე დღესაც ვცდილობ ძველებური შემართებით ვიმუშავო“ და არა მარტო ცდილობდა, არამედ ნათქვამს წარმატებით ახორციელებდა, ვინაიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ განელებია მეცნიერული ცნობისმოყვარეობა.

აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის სახელი დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს. საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს მისი არჩევა გერმანიის აღმოსავლეთმცოდნეთა სამეცნიერო საზოგადოებისა და გერმანიის აღმოსავლეთის შემსწავლელი საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილ წევრად (1971), ხმელთაშუა ზღვის აუზის ცივილიზაციების შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის (1975) და ამერიკის ორიენტალისტური საზოგადოების საპატიო წევრად (1978). კონსტანტინე წერეთელი არაერთხელ წარსულგარა მსმენელების წინაშე ლექციებითა და მოხსენებებით გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, ფინეთში, პოლონეთში, რუსეთში, ერაყში, ინგლისში, ინდოეთში, ავსტრალიაში, ისრაელსა და იაპონიაში.

ბატონი კოტეს ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებრივი საქმიანობა იყო. იგი იყო არაერთი სამეცნიერო საბჭოს თუ საზოგადოების წევრი, თავისი დარგის პროპაგანდისტი და აქტიური მოქალაქე, არისტოკრატი მეცნიერებაში და დემოკრატი ცხოვრებაში, რომელიც „იმედის თვალით“ უყურებდა მომავალს და მიაჩნდა, რომ „იმედი ღვთიური ნიჭია“.

ბატონი კონსტანტინე წერეთელი ბედნიერ ადამიანად შეიძლებოდა მიგვეჩნია, რომ არა მისი პიროვნული ტრაგედია ერთადერთი ვაჟის დაკარგვის გამო.

ნოემბრის „ვარდების რევოლუციით“ საქართველომ ისტორიის ახალი ფურცელი გადაშალა. იმ დღეებში ჩემთან დარეკავ შეუძლებელი იყო, ბატონი კოტე მაშინ შეუძლოდ გახლდათ, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ყველაფრის მიუხედავად, მან მაინც მოახერხა ჩემთან დაკავშირება და თავისი აღტაცების გამოხატვა. მე მისგან მოვისმინე სიტყვები, რომელიც ყველა დედისთვის სასიამოვნო მოსასმენი იქნებოდა, მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი კომპლიმენტი. მე ვიგრძენი, რომ ამ ნაგანჯ ადამიანს დიდი ხნის სურვილი აუსრულდა, სურვილი, რომელსაც ის კარგახანს დიდ ტკივილთან ერთად გულში აგარებდა.

ცოტა ხნის წინათ შეწყდა აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის სიცოცხლე. მისი ცხოვრების გზა სამუდამოდ დარჩება ერის სამსახურის ნიმუშად ყველა ქართველისთვის და მეცნიერების სამსახურის მაგალითად ყველა მეცნიერისთვის.

◎ მიწის ყივილი

# ღმერთს ებარებოდეთ!...

(მესამე გვერდიდან)

ძმებმა ხოსროშვილებმა ლახვარი გადასცეს თავად-აზნაურთა საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარეს, ქალბატონ ია ბაგრატიონ-მუხრანელს, რომელიც საკრებულოში დარჩება იქამდე, სანამ ვ. კანდელაკის კოლექცია საკუთარ შენობაში არ დაბინავდება. ამიერიდან ფერეიდნელების ნაჩუქარი, 400 წლის წინათ საქართველოდან წაღებული ლახვარი, სამუდამო ბინას ამ კოლექციაში დაიდებს.

ხოლო მათი დის მიერ ამოქარგული საქართველოს დროშა ძმებმა ხოსროშვილებმა გადასცეს საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც ისინი მიიღო 7 სექტემბერს და მათი საჩუქარი თავის სამუშაო კაბინეტში კედელზე დაკიდა.

ფერეიდნელთა შეხვედრები გაგრძელდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. წასვლის წინა დღეს, 13 სექტემბერს, ისინი იყვნენ მუხრანში, ხოლო 14 სექტემბერს მათ საზეიმო გაცილება მოუწყვეს თავად-აზნაურთა საკრებულოსთან არსებული ლიცეუმიდან, რომელმაც ამ დღეს დაიწყო სწავლა. საზეიმო სიტყვების შემდეგ ისინი მანქანით დაადგნენ ირანის გზას, სადაც თან გაჰყვნენ თავად-აზნაურთა საკრებულოს ორი წევრი რაგი ცქიფურიშვილი და ნიკოლოზ ლოლაძე, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ფერეიდანში საქართველოს კულტურული ცენტრის გახსნაში. წასვლის წინ გულაჩუყებულმა უმცროსმა ძმა ხოსროშვილმა თავისი სიგყვა დაამთავრა ფერეიდნული დალოცვით: „ღმერთს ებარებოდეთ“.

მეხვედრა თავად-აზნაურთა საკრებულოში.

ჩვენც დაგულოცეთ გზა მათი კვლავ შეხვედრის იმედით.

ლეილა მირიანაშვილი.

# ხმალთა ზეიმი ქარვასლაში

**ცნობილი ჰოტის თინათინ მღვდლიაშვილის ეს ლექსი ეძღვნება გამოჩენილი მხატვრის ვლადიმერ კანდელაკის გამოფენას ქარვასლაში, სადაც ფერეიდნელმა ქართველებმა თავად-აზნაურთა ფონდს საჩუქრად გადასცეს საქართველოდან 400 წლის წინათ წაღებული ლახვარი.**

საქართველოს მაციანე თეძმეთაღება ქამთა სოფაში
და წაბსულთან მესახეედრად მიეიჩქარი ქარვასლაში.
ეს რა თეძთა ზეიმია! ეიტ აიგანს გული ამდენს
ან ეის მაღუმს, რომ უცქინოს ამ ცოცხლოვან ჯიანცოლს.
უქარქაში ხმლების მჩეანი...
ეიტცხლის წეანილი მაძმაშები...
ულმოდ, ობლად დარჩენილი ათასგვარი ქარქაშები.
ნაომარი, ნაოსარი თარები და თარდაგები,
ომიტომ უწყის სად ნაბრძოლნი, ან ეის თოსქეიმ დანაგები.
სად არიან ამ ხანჯლების მეპატინე რაინდები,
სადა წეანან ნასანჯოარნი და იარაღაქილები?
ნეცავი სად ჯომარდობდნენ, სად და რომელ ხანასებში, –
იქნებ ჰერეთს, მესხეთს, ოაზეთს, ანდა იქნებ ათხაზეთში?!
რომელ ომში დაეარგათ ხმლები ჯოსრს, ჯასებს, რანებს,
რაცომ დაბრავეთ სისხლისთეები საფეეტებს და მეზარდებს?..
სად არიან მეომრები – გულადნი და გონიერნი,
სრულყოფილნი, სულეთიერნი, ზნესრულნი და ზომიერნი?..
ვის ეკუთვნის შავი ხმალი?! – მდაბიოს თუ გვირგვინოსანს,
სად დაეკარ ორთავე თვალი სასელოვან შავეთარსანს?!
რომელ მსარეს შეეწირნენ? ქედს უხრიდნენ რომელ ცაბრებს?
სად იომეს? ეით იომეს? ვის აცმეკენ ნეფავ ძაბებს?
რომელ არეს გადაავედნენ? წყალი თუ სვეს არეზიდან...
იქნებ ჯერანისს ისეენებენ ან გვიმზერენ გარნისიდან?
ბრიალებენ, ბრიალებენ ალესილი ბასრი ხმლები, –
ომის ხვაფში ჯარგად მეკეთნი და ვაჭაცთა თანამსლებნი,
ნადავითარ ხმალთა ზავი – საქართველოს ისტორია!
გულზავი და შემზარავი – საიდუმლო მისტერია!
გინდა თავი მოიმიო, ამ სეკგამწყრალ ქამთა სოფაში?
არ დაგიბავს გულზე სიო? არ ცოფილხარ ქარვასლაში?..

თინათინ მღვდლიაშვილი.
2004, ენკენისთვის 10.

◎ ფინანსური პოლიცია

# ნეტა, ვის ფულს იჭიგავლნენ?

## ფინანსურ პოლიციაში მსგავსი ფაქტები, როგორც იტყვიან ხოლმე, თავსაყრელია. აი, ზოგიერთი მათგანი

### არ ღირდა 10 ათასად „დახურდავება“

**შპს „თორი“ თბილისის ცენტრში მდებარე სასტუმროა, რომელიც თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნის და იქ ვალუტის გადამცვლელი პუნქტიც მოქმედებს.**

ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის თბილისის სამმართველოს მონაცემებით, სასტუმროს თანამშრომელმა პავლე ჭყონიამ ვალუტის გადამცვლელი პუნქტიდან დაახლოებით 10 ათასი დოლარი მითვისა, რის გამოც მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

### საქმე ფულია. ძმაკაცი – ტყუილია

**ვალერი ხიმჩიაშვილი ქობულეთში დროებით საცხოვრებლად, ანუ დასასვენებლად, მარშან ივლისში ჩავიდა, იქ ადგილობრივი მცხოვრები ნანული ჩავლეიშვილი გაიცნო და დაუმეგობრდა კიდეც. ნდობის მოპოვების შემდეგ, ვ. ხიმჩიაშვილმა ახლად შეძენილ მეგობარს საქმიანი ურთიერთობის წამოწყება შესთავაზა და პირობა მისცა, რომ ქობულეთში 60 გონა მანგანოსილიკატს ჩაიგანდა.**

ნ. ჩავლეიშვილს მყიდველი უნდა ეშოვნა, მოგებას კი თანაბრად გაიყოფდნენ. 28 სექტემბერს ვ. ხიმჩიაშვილმა ნ. ჩავლეიშვილს დაურეკა და უთხრა, რომ გვირთი სამგრეველიაში შეაჩერეს და მის დასახსნელად 2 ათასი დოლარი იყო საჭირო. ეს თანხა ნ. ჩავლეიშვილმა ახლობელ-ნათესავებში სამი დღით ისესხა, ფული ვ. ხიმჩიაშვილს გადასცა და...

ახლა ვ. ხიმჩიაშვილს ფინანსური პოლიციაში „ელიან“.

### გინეკოლოგების „მარცხენა“ შემოსავალი

**ქუთაისის სამედიცინო გინეკოლოგიური ცენტრი შპს „ნეკლგრა“ სამმობიარო სახლია, რომლის დირექტორია მამუკა მიქაძე.**

ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის განყოფილების დავალებით კლინიკა იმერეთის საოლქო საგადასახადო ინსპექციამ შეამოწმა, რის შედეგად გაირკვა, რომ მისმა ხელმძღვანელობამ ბიუჯეტს 16.500 ლარის ოდენობის გადასახადი დაუმალა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

### აი, ნაცნობს რომ დაეყაჩაღებინა...

**მარინა ჭკადუამ სს „მაგთიკომის“ მომსახურების ერთ-ერთი ოფისიდან 11 ათასი ლარის ღირებულების მონობარათები გაიტანა. მათი საფასური რეალიზების შემდეგ უნდა აენაზღაურებინა, თუმცა სოლიდური თანხის სრულად მითვისება ამჯობინა.**



მანვე, თითქოსდა ბიზნესის წამოწყების საბაბით, თინა ბეგიაშვილს 5,9 ათასი დოლარი გამოართვა ოქროს შესაძენად და შემდგომ მის უფრო ძვირად გასაყიდად. ეს ფულიც მ. ჭკადუამ სრულად „აითვისა“.

გარდა ამისა, ლალი ლილიაშვილ-ნიკურაძეს მ. ჭკადუამ 2,9 ათასი დოლარი და 500 ლარი ლომბარდის გასახსნელად გამოართვა, სანაცვლოდ მომავალი მოგების სანახევროდ გაყოფას დაპირდა, მაგრამ...

ბოლოს ფული მაია აბესაძეს გამოსძალა, რომელიც რამდენიმე ახლობელნათესავთან ერთად 250-250 ლარს დებდა და, გარკვეული თანხის შესაგროვებლად „ლატარიას“ თამაშობდა. ვფიქრობთ, არ გაგიკვირდებათ, პატიცემულო მკითხველო, რომ ის „ლომბარდი“ დღესაც არ გახსნილა, თუმცა მ. ჭკადუა თავის „ბიზნეს-პარტნიორებთან“ შეხვედრას სულაც არ გაურბოდა და კითხვაზე, „ფული სად არის“, „ბუამ წაიგოს“ კი არ პასუხობდა, არამედ გამართულად ეუბნებოდა: „და-მაყა-ჩა-ღეს!“. ამას, ბუნებრივია, მოყვებოდა მ. ჭკადუასათვის არცთუ სასიამოვნო მეორე კითხვა: თუ ასეა, შესაბამის სტრუქტურებს რაგომ არ მიმართეო? რაზეც იგი რომაული შემართებით უპასუხებდა: გაქსით მოვდიოდი, უცხო პირებმა დამაყაჩაღეს, მხოლოდ მანქანის ფერი დავიმახსოვრე, ყაჩაღების სახეები არ მახსოვს, სიბნელეში კი ვერც ავგომანქანის მარკა და ვერც ნომერი ვერ გავარჩიეო.

ახლა ყოველივე ამის გამეორება მ. ჭკადუას ფინანსური პოლიციის თანამშრომლებისათვის უწევს, სადაც მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

### უფასო მომსახურება ფასიანი გახადეს

**თაღლითების ჯგუფი ამხილა ფინანსური პოლიციის მცხეთა-მთიანეთის ოპერატიულმა განყოფილებამ. ისინი „თელასის“ სახელით მოქმედებდნენ და მუხიანის მებაღეობის ნაკვეთების ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას „ემსახურებოდნენ“. კერძოდ, ვინმე ნოდარ კუჭამვილი და გალინა კოგაშვილი „თელასში“ გასაწევრიანებლად მოგყუ ებით თითოეულ აბონენტს 50-50 ლარს ახდევინებდნენ, თუმცა ეს პროცედურა უფასოა.**

ამასთან ერთად, ნ. კუჭაშვილი და გ. კოგაშვილი მოსახლეობას... მიწის ნაკვეთების გაფორმებასაც პპირდებოდნენ და საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობაში 100-დან 500 დოლარამდე „გასამრჯელოს“ ართმევდნენ. არადა, კანონის თანახმად, მიწის ნაკვეთის გაფორმება და სარეგისტრაციო მოწმობის აღება უფასოა.

ოთარ ტურაგელიძე.

◎ გვირჩევნიან, გვეკითხებიან

**– არსებობს თუ არა კანონი ღირსების ორდენით დაჯილდოებულის შესახებ და რა შეღავათებს ითვალისწინებს იგი ამ ორდენით დაჯილდოებულ პირთა საკეთილდღეოდ?**

ნარგიზა ჭუმბურიძე.

– არსებობს საქართველოს კანონი „სახელმწიფო ჯილდოების დაწესების“ შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია 1992 წლის 24 დეკემბერს.

ზემოაღნიშნული კანონის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ღირსების ორდენით დაჯილდოებულ პირებს თუმცა დაწესდათ ერთდროული ფულადი პრემია შრომის ანაზღაურების 30 მინიმალური ოდენობით, მაგრამ იგი ფაქტობრივად არ გაცემულა.

2003 წლის 29 იანვარს კანონს დაემატა მე-7 პუნქტი, რომლის მიხედვითაც ერთდროული ფულადი პრემია შრომის ანაზღაურების 30 მინიმალური ოდენობით მიეცემათ იმ პირებს, რომლებიც ღირსების ორდენით დაჯილდოებული არიან 2003 წლის 1 იანვრის შემდეგ.

ღირსების ორდენით დაჯილდოებულ პირებზე სხვა შეღავათების გავრცელებას კანონი არ ითვალისწინებს.

* * *

**– გთხოვთ, განგვიმარტოთ, როგორ აუნაზღაურდება დეკრეტულ შვებულებაში მყოფი მუშაკის შემცვლელ პირს დეკრეტული შვებულება და რა ხანგრძლივობით ეძლევა მუშაკს საავადმყოფო ფურცელი და დახმარება?**

ნანული კორკოტაძე.

– მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დეკრეტულ შვებულებაში მყოფი თანამშრომლის ნაცვლად მომუშავე პირი მიიღებს იგივე ანაზღაურებას, რასაც ის პირი იღებდა, ვისაც დეკრეტულ შვებულებაში წასვლის გამო თვითონ ცვლის.

თუ ის პირი, რომელიც ცვლის დეკრეტულ შვებულებაში მყოფ მუშაკს, თვითონ გახდა დეკრეტულ შვებულებაში წასასვლელი ძირითად სამუშაოზე მომუშავე მუშაკის სამსახურში დაბრუნებამდე, შრომის სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად, მას დეკრეტული შვებულება უნდა აუნაზღაურდეს საერთო წესით (ე. ი. ისე, როგორც უნაზღაურდებოდა ძირითად სამუშაოზე მყოფ მუშაკს).

აქვე განგიმარტავთ, რომ მომუშავე პირს საავადმყოფო ფურცელზე ყოფნისას ხელფასის კომპენსაციას ეძლევა არა უმეტეს 4 თვისა 8 ზედიზედ და 5 თვისა – კალენდარული წლის განმავლობაში.

მომუშავე, რომელსაც ავადმყოფობის მომენტისათვის აქვს 8 წლისა და მეტი შრომის სტაჟი, აგრეთვე ქალებზე, რომელთაც არ შესრულებიათ 20 წლის ასაკი, მიუხედავად შრომის სტაჟისა, ან რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ სამი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი დროებითი შრომისუუნარობისას კომპენსაცია (დახმარება) გაიცემა შრომის ანაზღაურების საშუალო დღიური თანხის 100 პროცენტის ოდენობით.

შრომის ანაზღაურების საშუალო დღიური თანხის 80 პროცენტი გაიცემა მომუშავეზე საავადმყოფო ფურცელზე ყოფნისას ხელფასის კომპენსაცია, თუ მას აქვს 5-დან 8 წლამდე საერთო სტაჟი, ხოლო 5 წლის ან ნაკლები შრომის სტაჟის არსებობის შემთხვევაში კომპენსაცია გაიცემა – 60 პროცენტის ოდენობით.

დანარჩენ მუშაკებს კი, ბიულეტენზე ყოფნისას, ხელფასის კომპენსაცია მიეცემათ 50 პროცენტის ოდენობით.

* * *

**– ვარ საპენსიო ასაკს მიღწეული. რვა წელი ვმუშაობდი ერთ-ერთ საწარმოში. მეტი შრომის სტაჟი არ გამაჩნია.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, რა დროიდან მომეცემა პენსია და ვის მივმართო?**

მარიამ სურგულაძე.

– მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვინაიდან თქვენ მხოლოდ 8 წლის შრომის სტაჟი გქონიათ, დაგენიშნებათ მოხუცებულობით სახელმწიფო პენსია არასრული სტაჟით.

აღნიშნულ საკითხზე გირჩევთ მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

აქვე გაცნობებთ, რომ პენსია დაგენიშნებათ მიმართვისა და ყველა საჭირო საბუთის წარდგენის დღიდან.

* * *

**– ვარ საჯარო მოხელე. ვმუშაობ ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში, სადაც მიმდინარეობს შტატების შემცირება, მყავს ორწლინახევრის შვილი.**

**გთხოვთ, გამარკვიოთ, შემეხება თუ არა შემცირება?**

ელენე მორჩილაძე.

– მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო მოხელე ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში არ შეიძლება გათავისუფლდეს სამუშაოდან – შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო.

ირინე ლლონტი.

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

◎ ჩვენებურები

# საქართველო ჩემი სახლი და ოცნებაა

**სალომე მარგველაშვილი – ეს სახელი და გვარი საქართველოში შეიძლება ბევრისთვის ცნობილიც არ იყოს, მაგრამ ამერიკაში იგი საკმაოდ პოპულარული გოგონაა. ამის დასამტკიცებლად მხოლოდ მისი ტიტულებიც იკმარებს. „მის იორკ სანბერსტი-2000 აშშ“, „მის პენსილვანია ჯუნიორ თიინ-2002“, „მის თიინ პენსილვანია-2004“... ვგონებ საკმარისზე მეტიცაა.**

სალომე კანადაში დაიბადა და გაიზარდა. თავის თავს კანადელ-ქართველს უწოდებს, მის წარმოდგენაში საქართველო ზღაპრული ქვეყანაა და სრულიადაც არ ასოცირდება ბევრი უცხოელის მსგავსად ეგზოტიკურ სამზარეულოსთან და ეროვნულ ცეკვა-სიმღერასთან, „საქართველო თავისი ხალხიდან გამომდინარე, სიყვარულით გაჯერებული ლამაზი, უხვი ქვეყანაა. მე შემიძლია მას ჩემი სახლი დავუძახო“.

თავისუფალ დროს საზოგადოებრივ საქმიანობას უთმობს. გატაცებულია ცეკვით, მოგზაურობით, სიმღერითა და ფოტოგრაფიით. იცის ქართული, მეგობრებთან გულღია და მხიარული გოგონაა.

ერთი შეხედვით, სილამაზის კონკურსების პრიზიორობა, თითქოს მხოლოდ ფიზიკურ სილამაზეს უნდა მოითხოვდეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის ასე. სალომეს თქმით, კონკურსში ორმოცდაათიდან ასამდე გოგონა მონაწილეობს. სხვადასხვა ეტაპზე მათ ცდიან ერუდიციაში, ინტერვიუებში, ზეპირმეტყველებაში და შემდეგ სხვადასხვა სეზონის ჩაცმულობებით პაეროვნებასა და გრაციაში პოდიუმზე. ბევრი გოგონა ახალბედაა, ბევრიც გამოცდილი. სალომეს ტიტულებით თუ ვისმჯელებთ, იგი მართლაც პროფესიონალია. სალომე მარგველაშვილის ოცნებაა თავის ისტორიულ სამშობლოში ჩამოსვლა, ეს ჩვენთან საგელეფონო საუბრისას გაგვიმხილა, ამ მცირე ინტერვიუ-ჩანახაგისთვის დიდი მადლობა გადაგვიხადა და მთელ ქართველ ხალხს ბედნიერება უსურვა. ოცნების ახდენამდე კი კვლავ პრესტიჟულ კონკურსზე აქვს მიწვევა.

გამარჯვებები ვუსურვოთ ოკეანისგაღმელ ულამაზეს ჩვენს თანამემამულეს.

**ავთანდილ ბეძაური.**

Fun on the Atlantic City Board Walk!!




# სახელმწიფო ელევა „ლუკოილის“ აქციათა წილს

**რუსეთის მთავრობა ყიდის ამ ქვეყნის უდიდესი ნავთობის კომპანიის „ლუკოილის“ მის ხელთარსებული აქციების წილს. გასაყიდად გამოტანილია კომპანიის აქციათა 7,6 პროცენტი.**

თუ ვიმსჯელებთ კომპანიის აქციათა ამჟამინდელი ფასით (31 ამერიკული დოლარი), სახელმწიფო მათი გაყიდვის შედეგად მიიღებს თითქმის 2 მილიარდ დოლარს, რითაც გადაჭარბებით მესრულდება მიმდინარე წლის პრივატიზაციის გეგმა.

ერთი წლის წინათ ანალოგიური პაკეტის გაყიდვის შედეგად სახელმწიფომ ორჯერ ნაკლები თანხა მიიღო.

სხვაობა მილიარდ დოლარს შეადგენს, რასაც განაპირობებს ის, რომ მსოფლიო ბაზრებზე რეკორდულად მაღალ ნიმნულს მიადწია ნავთობის ფასმა, ინვესტორებს კი, თავის მხრივ, არ სურთ დაკარგონ რუსეთის ნავთობის ბაზარი. გარდა ამისა, აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე საქმეების გაუმჯობესება თვით „ლუკოილის“ კომპანიაში.

აქციათა ყიდვის მსურველთა განცხადებების მიღება ორშაბათს შეწყდა, მაგრამ მათი ნუსხა ცნობილი გახდება მხოლოდ აუქციონის დაწყებამდე 15-20 წუთით ადრე.

თუმცა, თუ განუჭვრეტელი რამ არ მოხდება, აუქციონში უთუოდ უნდა გაიმარჯვოს ამერიკულმა „ConocoPhillips“ კომპანიამ.

ამ კომპანიის მეთაური შეხვდა როგორც „ლუკოილის“ ხელმძღვანელობას, ისე რუსეთის პრეზიდენტს. „ლუკოილის“ შეთაურმა ვაგით ალექპეროვმა ჯერ კიდევ აუქციონის დაწყებამდე განაცხადა, რომ გადაწყვეტილი საქმეა ამერიკელებისთვის აქციების მიყიდვა.

„ConocoPhillips“ კომპანიას აქვს რუსეთში განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია. როგორც ჩანს, იგი ასეთი მცირე პაკეტით არ დაკმაყოფილდება. რუსეთის რამდენიმე საინვესტიციო ბანკის ანალიტიკოსთა აზრით, „ლუკოილის“ მენეჯერთაგან აქციების გამოსყიდვისა და მონიტორიების გზით, ეს კომპანია თავის წილს 20-25 პროცენტამდე გაზრდის.

ეს ამერიკელებს მისცემს იმის შესაძლებლობას, რომ თავიანთი კონტროლი დაუწესონ „ლუკოილის“ ნავთობის რეზერვების შესაბამის ნაწილს. ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპანიის ხელმძღვანელობისთვის, რომელსაც სურს მეანაბრეებს უჩვენოს, რომ კარგი პერსპექტივებია დასახული ყოველივე იმაში, რაც ეხება ნავთობის მოპოვებას ახალი საბადოებიდან.

გრძელვადიანი პარტნიორების მოზიდვა რუსეთის ხელმძღვანელობის ინტერესებშიც შედის, რომელსაც კარგად აქვს შეგნებული, თუ რაოდენ დიდი სარგებელი შეიძლება მოიტანოს პარტნიორობამ სტრატეგიულ ინვესტორებთან.

# სიკვდილით დასჯის განაჩენი „კოულზე“ თავდასხმისთვის

**იემენის სასამართლომ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა ორ ადამიანს, რომლებიც მონაწილეობდნენ ამერიკულ საესკადრო ნაღმოსანზე „კოულზე“ განხორციელებულ თავდასხმაში. ამ თავდასხმის შედეგად დაიღუპა 17 მეზღვაური.**

სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს აბდელ რაშიმ ნაშირის, რომელიც ამჟამად ამერიკის ერთ-ერთ საპყრობილეში იმყოფება, და ჯამალ მოჰამედ ბედავის.

კიდევ ოთხ განსასჯელს მიუსაჯეს 5-დან 10 წლამდე პატიმრობა. საესკადრო ნაღმოსანზე თავდასხმისთვის პასუხისმგებლობა, როგორც უსამი ბენ ლადენმა განაცხადა, იკისრა „ალ-ყაიდას“ ექსტრემისტულმა ქსელმა.

2000 წლის ნოემბერში ორი კამიკაძე ასაფეთქებელი მოწყობილებით დატვირთული მოგორიანი ნავით მიეურდა საესკადრო ნაღმოსანთან, რომელიც კმაგაწყობისთვის იდგა ადენის ნავსადგურში. აფეთქების შედეგად 40-მდე ადამიანი დაიჭრა. ზოგიერთი მონაცემებით, ნავში 200 კილოგრამზე მეტი ასაფეთქებელი ნივთიერება იყო.

როცა სასამართლომ განაჩენი წაიკითხა, განსასჯელებმა ერთხმად შესძახეს „ალაპ აქბარ“.

„ეს უსამართლო გადაწყვეტილებაა. ეს ამერიკელთა ვერდიქტია“, – განაცხადა 35 წლის იემენელმა ჯამალ მოჰამედ ბედავიმ.

მსჯავრდებულის ძმამ „ასოშიეიტედ პრესის“ სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ადვოკატები შეიტანენ აპელაციას. იემენის პროკურატურამ აბდელ რაშიმ ნაშირი დაადანაშაულა საესკადრო ნაღმოსანზე თავდასხმის ორგანიზების მიზნით სახსრების შეგროვებაში.

ნაშირი, რომელიც საუდის არაბეთში დაიბადა, იემენის დედაქალაქ სანაში გამართულ სასამართლო პროცესს არ დასწრებია.

იგი 2002 წლის ოქტომბერში დაატაგიმრეს გაერთიანებულ არაბულ საემიროებში და გადასცეს ვაშინგტონს.

როგორც ამერიკელები აღნიშნავენ, იმ დროისთვის ნაშირი მეთაურობდა „ალ-ყაიდას“ საზღვაო ოპერაციებს და აგებდა პასუხს სპარსეთის ყურეში განხორციელებული ყველა აქციისთვის.

ამ ბოლო სამი წლის განმაელობაში, „ალ-ყაიდასა“ და სხვა რადიკალური დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში იემენში დააპატიმრეს ათობით ეჭვმიტანილი პირი. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ამ ქვეყნის მთავრობა ცდილობს იემენს შეუქმნას ისეთი სახელმწიფოს იმიჯი, რომელშიც კანონი კანონობს და ექსტრემისტები თავშესაფარს ვერ პოულობენ.

# იტალია ზეიმობს მძევალთა დაბრუნებას

**რომში ჩაფრინდა თვითმფრინავი, რომელმაც იტალიის დედაქალაქში ჩაიყვანა ბაღდადში 7 სექტემბერს გატაცებული საქველმოქმედო ორგანიზაციის ორი თანამშრომელი.**

ახლა იტალიამი სულ უფრო ხშირად გაიგონებთ ლაპარაკს იმაზე, რომ ქვეყნის ხელისუფლებას შეეძლო გადაეხადა გამოსასყიდი სიმონა პარის და სიმონა ტორეგას განთავისუფლებისთვის.

თუმცა, იტალიის ხელისუფლებამ არ ისურვა რაიმე კომენტარი გაეკეთებინა ტერორისტებისთვის ფულის გადახდის შესახებ პრესაში გამოჩენილი განცხადებების თაობაზე.

ორ იტალიელ ქალიშვილთან ერთად გაათავისუფლეს მძევლად აყვანილი ერაყელებიც, რომლებიც იმავე საქველმოქმედო ორგანიზაციაში მუშაობდნენ.

იტალიელი მძევლების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სიმონა პარი და სიმონა ტორეგა სამშაბათს გადასცეს ერაყში იტალიის წითელი ჯვრის წარმომადგენლებს.

„ყველაფერი ნორმალურად იყო. ჩვენ დიდი პატივისცემით გვეპყრობოდნენ“, – უთხრა სიმონა ტორეგამ იტალიელ ჟურნალისტებს.

ინტერნეტში, როგორც ცნობილია, მანამდე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტერორისტებმა იტალიელი ქალიშვილები სიკვდილით დასჯეს, თუმცა იტალიის სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა გამოთქვეს ეჭვი ამ ინფორმაციის სარწმუნოების შესახებ.

# კერძო ხომალდი მზად არის კოსმოსში გასაფრენად

**SPACESHIPONE აპარატი იწყებს ბრძოლას 10-მილიონიანი პრიზის მოსაპოვებლად, რომლის მფლობელიც გახდება ღია კოსმოსში გასული პირველი კერძო ხომალდი.**

SpaceShipOne სტარტს აიღებს კალიფორნიის მოჰამეს უდაბნოდან. ივნისში იგი უკვე აიჭრა 100 კილომეტრზე მეტ სიმაღლეზე, და ახლა, იმისათვის, რომ მოიპოვოს პრიზი, აპარატმა ეს შედეგი უნდა გაიმეოროს ორჯერ ორი კვირის განმავლობაში.

ხომალდი შექმნა საფრენი აპარატების ცნობილმა მშენებელმა ბერტ რუტანმა კომპანია „მაიკროსოფტის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის პოლ ალენის მხარდაჭერით.

SpaceShipOne აპარატს 13,8 კილომეტრ სიმაღლეზე აიყვანენ ცრშეუ ლტმპრე აპარატის დახმარებით, რის შემდეგაც იგი მას გამოეყოფა, პილოტი ჩართავს ძრავებს და რაკეტას მიმართავს ზემოთ, დედამიწის ატმოსფეროს ფარგლებს მიღმა.

ტრაექტორიის ზედა წერტილში SpaceShipOne შეცვლის ფრთების კონფიგურაციას, რაც მას დაეხმარება დედამიწაზე მართვადი რეჟიმით დაშვებაში.

ივნისში აპარატს მართავდა პილოტი მაიკლ მელვილი, მაგრამ ამჯერად პილოტის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. არც ის არის ცნობილი, იქნებიან თუ არა ხომალდზე სხვა ადამიანები გაშვების დროს, მაგრამ ბერტ რუტანმა ასევე განაცხადა, რომ აპირებს გახდეს მისი ერთ-ერთი პირველი მგზავრი.

რუტანმა აღიარა, რომ ივნისის გაფრენა იდეალური არ ყოფილა: ამ დროს აღინიშნა ზოგიერთი „ანომალია“.

SpaceShipOne აპარატის გარდა, პრიზისათვის ბრძოლაში სხვებიც მონაწილეობენ. ტორონტოს „Golden Palace.com.Space Programm“ კომპანიამ გადაწყვიტა 2 ოქტომბერს მოსინჯოს თავისი ძალები, ბრიტანეთის „Virgin“ კომპანიების ჯგუფის მეთაურმა რიჩარდ ბრანსონმა კი განაცხადა, რომ აპირებს სამი წლის შემდეგ განახორციელოს კომერციული კოსმოსური ფრენა SpaceShipOne ტექნოლოგიის საფუძველზე.

თუმცა, კერძო კოსმოსური „რბოლა“ არც ამით ამოიწურება. ერთ-ერთი მდიდარი მეწარმე მსურველებს უკვე სთავაზობს ახალ პრიზს: 50 მილიონი დოლარი პირველი კერძო ხომალდისათვის, რომელიც ერთ ბრუნს შეასრულებს დედამიწის ირგვლივ.

◎ კერძო აზრი

# „საქსტანდარტი“ ქვეყნის ეკონომიკის მართვის ბერკეტად უნდა იქცეს და არა მუხრუჭად...

(მესამე გვერდიდან)

„საქსტანდარტის“ ეგრეთ წოდებულ „სასწავლო ცენტრს“, რომელმაც ექსპრეს-მეთოდით კადრების მომზადება იკისრა, ყოველივე ეს არ გააჩნია. ეს არის „ერთი ადამიანის თეატრი“ ცული გაგებით. დეპარტამენტის თავმჯდომარემ მიხეილ ჯანიკაშვილმა კალმის ერთი მოსმით, ძალისმიერი მეთოდით გააუქმა „საქსტანდარტის“ 1999 წლის 2 მარტის №20 ბრძანება. მაისში ნათქვამი იყო, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი აღიარებულია, როგორც „საქსტანდარტის“ საბაზო ორგანიზაცია კადრების მომზადებისა და გადამზადების დარგში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ლიცენზიის გარეშე მიხეილ ჯანიკაშვილმა თავისივე ბრძანებით შექმნა „საქსტანდარტის“ სასწავლო ცენტრი. ამ „ცენტრის“ ხელმძღვანელად მან დანიშნა ზედამხედველობის სამმართველოს ყოფილი უფროსი მოთა გლოველი, რომელიც მრავალი დარღვევების გამო აღრე განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ცენტრს არ გააჩნია შესაბამისი მეთოდური, მატერიალური და ტექნიკური ბაზა, პედაგოგიური კადრები, გამოცდილება, თვალსაჩინოების სამუალებები, სალექციო მასალა და სხვ. სასწავლო პროცესში უნდა მონაწილეობდნენ და საკურსო ნაშრომების დასკვნებს იძლეოდნენ დარგის მონათესავე ორგანიზაციების სპეციალისტები. ექსპრესმეთოდით იგი შეუდგა თავისთვის და ქვეყნის სხვადასხვა დარგისთვის ექსპერტთა, დამმოწმებელთა და სახელმწიფო ინსპექტორთა კადრების „მომზადებას“. სწავლებისთვის კი იგი მსმენელებს 100 დოლარს ართმევს, ხოლო კომისია სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციისთვის მათ 60 დოლარს ახდევინებს. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს სპეციალისტთა მომზადების ხარისხზე, ხოლო მიღებული თანხები ჩინოვნიკებისთვის წარმოადგენს დამატებითი შემოსავლის წყაროს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ სამუშაო საათებში.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მიხეილ ჯანიკაშვილის ბრძანებით (22.03.04) სხვადასხვა სპეციალისტთა მომზადების პროგრამები, ისეთებიც კი, რომელთა არსებობის შესახებ საქსტანდარტში არავის აქვს წარმოდგენა, მასთან უნდა შეთანხმდეს. ექსპერტთა ატესტაციის სფეროში შეგანილია... ისეთი სპეციალობებიც კი, რომლის არსში „საქსტანდარტის“ თანამშრომლები აბსოლუტურად არ ერკვევიან.

სწავლების ხარისხის პრობლემა არავის აწუხებს. მსმენელებსაც ხელს აძლევთ ერთი და იგივე უწყებაში, ერთი და იგივე ხალხს გადაუხადონ სწავლების საფასური და უპრობლემოდ მიიღონ საქმიანობის წარმოების უფლება – შესაბამისი სერტიფიკატი. მიგვაჩნია, რომ ასეთი ქმედება ეწინააღმდეგება ყოველნაირ ლოგიკას და მავნებლურია. ამ სისტემით მომზადებულ სპეციალისტთა ხარისხი, რაზეც თვით „საქსტანდარტი“ უნდა აგებდეს პასუხს, კრიტიკას ვერ უძლებს.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექვემდებარება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზომი ტექნიკის ექსპერტიზისა და ხარისხის მენეჯმენტის კათედრა, რომელიც მჭიდრო კონტაქტში თანამშრომლობს ჩვენს ინსტიტუტთან.

ჩემი აზრით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოუღოს ბოლო „საქსტანდარტში“ არსებულ განუკითხაობას და ვოლუნტარიზმს, ხოლო ექსპერტების მომზადების საქმეში უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი სახელმწიფოებრივი წესრიგი.

საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით საქართველოში უნდა მოქმედებდეს არანაკლებ 4500 სტანდარტისა, მაგრამ შემუშავებულია მხოლოდ 50-მდე ეროვნული სტანდარტი, რომლებიც რუსული სტანდარტების ცუდ თარგმანს, ე.წ. კომპილაციას წარმოადგენს. „საქსტანდარტი“ ბოლო წლებში ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნებსა და დროს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. დარგობრივი ნორმატიული დოკუმენტები სხვა ქვეყნებთან შედარებით იქმნება წლების დაგვიანებით და დაბალ ხარისხობრივ დონეზე. მაგალითად, კანონი „პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ რუსეთში ამოქმედდა 1993 წლიდან, საქართველოში კი ანალოგიური კანონი მხოლოდ 1996 წლის მიწურულს გამოიცა. 2002 წელს რუსეთში ამოქმედდა ფედერალური კანონი „ტექნიკური რეგულირების შესახებ“, საქართველოში კი ეს კანონი დღემდე შემუშავებულიც კი არ არის. უფრო მეტიც, მოწინავე ქვეყნებისა და საკუთარი მწარე გამოცდილების მაგალითზე რუსეთის მთავრობა დროულად მიხვდა ასეთი მოუქნელი ბიუროკრატიული უწყების შეუთავსებლობას საბაზრო ეკონომიკასთან და „როსსტანდარტის“ ნაცვლად შექმნა ტექნიკური რეგულირებისა და მეტროლოგიის ფედერალური ორგანიზაცია. ჩვენ კი საკუთარ შეცდომებზეც ვერ ვისწავლეთ ჭეშმარიტება...

კიდევ ერთი დიდი პრობლემა. ეს არის „საქსტანდარტი“ თავისი ხელოვნურად გაზრდილი საშტატო განრიგით, არაფრისმთქმელი და არაფრისმომტანი დებულებით, მოუმზადებელი, ახალბედა, ძირითადად დაბალკვალიფიციური კადრებით. საკანონმდებლო ინიციატივის არმქონე სტრუქტურა, სადაც ყველა დონის ხელმძღვანელ მუშაკად, სამწუხაროდ, არაპროფესიონალები გეევლინებიან, რომლებსაც არ სურთ გაიგონ ჩვენი ქვეყნის თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სასიცოცხლო ამოცანები. ხალხური სიბრძნეა: „თუ შენ მუდმივად აკეთებ იმას, რასაც მუდმივად აკეთებდი, მიიღებ იმას, რასაც მუდმივად იღებდი“. ამიგომაცაა, რომ რაც აკეთა „საქსტანდარტმა“ და რასაც იღებდა, ნათლად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე, წარმოებაზე, ექსპორტზე, ჯანდაცვაზე, გამოყენებით მეცნიერებაზე, მომსახურებაზე... უკვე ნათლად გამოჩნდა, რომ ეს სტრუქტურა ვერაფერს გააკეთებს სასიკეთოს, თუკი ძირეულად არ შეიცვალა თითოეული მისი თანამშრომლის აზროვნება, თუკი ჩინოვნიკების ძალისმიერ ქმედებებს არ დაუპირისპირდა ეკონომიკური სისტემა მკაფიოდ გამოხატული, მეცნიერულად დასაბუთებული წესებით. კანონშემოქმედებითი ინიციატივა უნდა იქმნებოდეს დარგობრივ სამინისტროს წიაღში და მოდიოდეს ქვევიდან ზევით, და არა პირიქით.

ეკონომიკაში დაშვებული შეცდომები ან მისი კანონების შეგნებული დარღვევა იწვევს საზოგადოების ბუნებრივ დეგრადაციას, ეკონომიკის დასუსტებას.

ქვეყნის ეკონომიკის სრულყოფა-რეორგანიზაციისთვის პროფესიონალთა აზრით საჭიროა, რომ:

1. გადახალისდეს „საქსტანდარტის“ სტრუქტურა ისე, რომ შეესაბამებოდეს ჩვენი ქვეყნის რეალურ პირობებს, ჰარმონიაში იყოს საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებთან;

2. „საქსტანდარტი“ უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს საერთაშორისო სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის ორგანიზაციების საქმიანობაში, სასწრაფოდ უნდა შემუშავდეს ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სტანდარტები და სხვა ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც წესისამებრ აუცილებლად უნდა შეთანხმდეს ქვეყანაში მოქმედ დაინტერესებულ უწყებებთან;

3. „საქსტანდარტს“, როგორც მმართველობის არაეფექტიან, მოძველებულ სტრუქტურას, უნდა ჩამოერთვას ზედამხედველობის ფუნქციები და გადაეცეს იმ სტრუქტურას (მაგალითად, ეკონომიკის სამინისტროს, საფინანსო პოლიციას, კონტროლის პალატას, შსს-ს ან პროკურატურას), რომელსაც ნამდვილად შეუძლია გავლენა მოახდინოს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ეკონომიკური და ადმინისტრაციული სანქციები.

4. ქვეყნის სხვადასხვა უწყებაში ჩაგარებული ატესტაციის მსგავსად, საქსტანდარტშიც უნდა მოეწყოს სპეციალისტთა საყოველთაო ატესტირება საერთაშორისო ექსპერტთა მონაწილეობით.

ჩემი აზრით ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად აღმოიფხვრება ჯერ კიდევ არსებული დარღვევების დიდი ნაწილი, ხოლო ყველა დონის მეწარმეს შეექმნება მუშაობის შედარებით უკეთესი პირობები. ეს თითოეული ჩვენგანის ვალია.

**გელარ ბაძრაძე,**
**სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.**

# მოკლედ

**ბუმისა და კერის დებატებს პირდაპირი ეთერით თვალყურს ადევნებს ამერიკელთა 61 პროცენტი. ასეთია ამომრჩეველთა გამოკითხვის შედეგად მიღებული მაჩვენებელი. ეს ციფრი 18 პროცენტით აღემატება 2000 წლის არჩევნების ანალოგიურ მაჩვენებელს, როცა ჯორჯ ბუშსა**




**და ალბერ გორს შორის საგელეკვიზიო დებატებისადმი ინტერესი ამერიკელთა მხოლოდ 43 პროცენტმა გამოიჩინა.**

* * *

**იაპონიაში მიიღეს ყველაზე მძიმე ქიმიური ელემენტი. აქ მეცნიერებმა შექმნეს ელემენტი, რომლის ატომური ნომერია 113. ბუნებაში არსებული ყველაზე მძიმე ელემენტია ურანი 92 პროტონით. მის შემდეგ მომავალი ყველა ელემენტი ხელოვნური გზით არის მიღებული.**

* * *

**ერაყელი მოთარეშეები აცხადებენ, რომ გაათავისუფლებენ ფრანგ ჟურნალისტებს. შუამავალთა თქმით, „მიღწეულია შეთანხმება რეპორტიორების განთავისუფლების შესახებ“.**

* * *

**ბრიტანეთის ერთ-ერთი მსხვილი სადაზღვევო კომპანიის მიერ განხორციელებული გამოკვლევის თა-**




**ნახმად, პრესტიჟული ავტომობილი „იაგუარი“ ლამის ყველაზე არასაიმედო გამოდგა. მძღოლთა შეფასებების მიხედვით, „იაგუარმა“ 27 ავტომობილს შორის 26-ე ადგილი დაიკავა. ამ ნუსხაში კი, როგორც ყოველთვის, იაპონური მარკები ლიდერობენ.**

# ოპერაცია ღაზის სექტორში

**ღაზის სექტორის ჩრდილოეთ ნაწილში ისრაელის ძალების მიერ განხორციელებული რეიდის დროს მოკლეს სამი პალესტინელი მოთარეშე.**

პალესტინის უშიშროების სამსახურების წყაროები აღნიშნავენ, რომ ისინი დაიღუპნენ მაშინ, როცა ისრაელის ჯარებმა გახსნეს ცეცხლი ლგოლვილების ჯგუფის ბანაკის მახლობლად.

ამჟამად ისრაელის 30-მდე ტანკი თავმოყრილია ქალაქების ბეით-ლაჰიის და ბეით-ჰანუნის მიდამოებში.

როგორც ისრაელის სამხედრო წყაროები აღნიშნავენ, ისრაელი ცდილობს მოუღოს ბოლო ღაზის სექტორში ებრაელთა დასახლებებისათვის და გამყოფი ბარიერის მეორე მხარეს მდებარე სხვა ობიექტებისათვის პალესტინელთა მიერ რაკეტების დაშენას.

ხელყუმბარებს და რაკეტებს თითქმის ყოველდღიურად ისვრიან ებრაელთა დასახლებების მიმართულებით.

თვითნაკეთი რაკეტები, მართალია, იშვიათად იწვევენ სერიოზულ ზარალს, მაგრამ ეს მაინც უქმნის დიდ საფრთხეს ებრაელ მოსახლეობას. მაგალითად, ქალაქ სდეროთში მიმდინარე წლის ბაფხულში დაიღუპა ორი კაცი.

ამავე დროს, თვით ისრაელში სულ უფრო მწვავდება კამათი ღაზის სექტორის ოკუპაციის შეწყვეტის საკითხზე.

ისრაელის პრემიერ-მინისტრ არიელ შარონს მომავალი წლის ბაფხულისთვის სურს ღაზის სექტორიდან ებრაელთა დასახლებებისა და ისრაელის ჯარების გამოყვანა.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 227. ხუთშაბათი. 30 სექტემბერი. 2004 წელი.

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის განცხადება

## სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი ინსტიტუციური რეფორმის კომპონენტი

საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მოამზადა სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტი, რომელსაც აფინანსებს საერთაშორისო განვითარების ასოციაცია და გარემოს დაცვის გლობალური ფონდი. პროექტი რაგიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ და 2001 წლის თებერვლიდან გახდა ეფექტური. პროექტი შედგება სამი კომპონენტისაგან: (ა) საკონკურსო გრანტების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ადაპტირებადი კვლევის შედეგების დანერგვას ფერმერულ მეურნეობებში; (ბ) სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების სისტემის რეფორმა, რომელიც ხორციელდება შერჩეული მაღალპრიორიტეტული კვლევითი მიმართულების მაგალითზე; (გ) გარემოს დაცვის კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს შავ ზღვაში ჩამდინარე მდინარეების სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან დაბინძურების შემცირებას.

სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების სისტემის რეფორმისათვის შერჩეულია ორი პრიორიტეტული მიმართულება: მევენახეობა და მეხილეობა, ხოლო დაწესებულებები: (ა) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტი და (ბ) საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის მევენახეობისა და მეხილეობის კათედრები.

პროექტების საკოორდინაციო ცენტრს დაგეგმილი აქვს საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტის სახსრების ნაწილის გამოყენება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის კომპიუტერული კურსების ჩატარების დასაფინანსებლად. კომპიუტერული კურსი ითვალისწინებს კომპიუტერთან მუშაობის ძირითადი უნარ-ჩვევების გამომუშავებას და ფართოდ გავრცელებული პროგრამების შესწავლას სამეცნიერო საქმიანობაში გამოყენებისთვის.

სასწავლო კურსი უნდა ჩატარდეს კონსულტანტის ტერიტორიაზე და კონსულტანტი უნდა ფლობდეს აღნიშნული პროგრამის ჩასატარებლად შესაბამის ფართობს და კომპიუტერულ ტექნიკას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე კონსულტანტებს (იურიდიულ პირებს), რათა მათ გამოხატონ ინტერესი ზემოაღნიშნული მომსახურების განსახორციელებლად.

კონსულტანტის შერჩევა განხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამის სახელმძღვანელოში „კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება მსოფლიო ბანკის სესხის ამღებების მიერ“ (გამოცემულია 1997 წლის იანვარში, გადასინჯულია 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში), მითითებული კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დამყარებული შერჩევის პროცედურების თანახმად.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა (იურიდიულმა პირებმა) უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს კონსულტანტის ქვემოთ მითითებულ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებთან შესაბამისობას. ამ ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს კონსულტანტის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიულად დამოწმებული წესდება, სასამართლოს დადგენილება).

კონსულტანტი (იურიდიული პირი) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

1. კომპიუტერული კურსების ჩასატარებლად საჭირო ლიცენზია;

2. OS Windows-ის, Microsoft Word-ის, Microsoft Excel-ის, Internet explorer-ის, Outlook Express-ის, და Webmail-ის შესასწავლად საჭირო კვალიფიციური პერსონალი ტექნიკური განათლებით ან შესაბამისი სერტიფიკატით;

3. საჭირო ფართობი და კომპიუტერული ტექნიკა;

4. კომპიუტერული სასწავლო კურსების გაძღოლის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.

კონკურსით დაინტერესებულ იურიდიულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე **ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 12 საათიდან 17 საათამდე.**

**საკონკურსო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა: 2004 წლის 15 ოქტომბერი, 15 საათი.**

**მისამართი:**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი; კოსტავას ქ. №41, III სართული, ოთახი 337.**

**ელ-ფოსტა: office@adpcc.org.ge.**

**საკონტაქტო პირი მარიკა მოსაშვილი.**

**ტელ: 93-46-51; 92-20-38.**

# შპს „საქართველოს რკინიგზის“ განცხადება

**შპს „საქართველოს რკინიგზის“ სამგზავრო გადაზიდვების სამსახური აცხადებს კონკურსს „სადგურ თბილისის სამგზავროს“ საბილეთო მოლარეების თანამდებობაზე (20 ვაკანსია).**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ 30 წლამდე ახალგაზრდა გოგონებს.

კონკურსში შეირჩევიან ინტელექტუალური, განათლებული ახალგაზრდები (ჩატარდება ზოგადი ტესტირება).

აუცილებელია კომპიუტერზე მუშაობის გამოცდილება Microsoft Word, Exel, Access.

სასურველია რუსული და ინგლისური ენების ცოდნა.

კონკურსში გამარჯვებულები გაივლიან სპეციალურ სწავლებას.

განცხადებების მიღება წარმოებს 4 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრის ჩათვლით.

მის: ვაგზლის მოედანი №2, „სადგურ თბილისის“ ტერიტორიაზე ვაგზლის ადმინისტრაციაში.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 56-36-61.

საბუთები მიიღება 9 სთ-დან 18სთ-მდე.

**გისურვებთ წარმატებებს.**

## ხუთშაბათი 30 სექტემბერი

**07.30** ალიონი **09.30** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.55** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი **"ცისფერთვალა თაფლაში"** 1-ლი ს. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი **"ანარეკლის გული"** **13.00** "მიამბეთ თქვენზე" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ბუდას ცხოვრება" **15.20** "პოლიტიკური მკვლელობები" - რ. კენედი **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი **"უფიფრანი"** **16.30** "მრავალეტაჟიერ" **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.30** დოკ. ფილმი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი **"ნეფრილეარ-სპელეკეთა ღამე"** **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი **"ანარეკლის გული"** **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი **"ცისფერთვალა თაფლაში"** (ბ) მე-2ს.

**19.00** მულტფილმი "მარსუპილამი" **19.30** "იმღერე რამე" **20.00** "ეძიე ქალი" **20.30** სერიალი **"ნეფრილეარ-სპელეკეთა ღამე"** **21.30** "ძვ. აფიშა" - დონ ჟუანი **22.00** მხ. ფილმი **"ბოკვეთილი"** (ბ)

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეიუწყება" **09.40** სერიალი **"ეფიფანოვები ქალები"** **11.00** სერიალი **"ნინიდა ინგლისური გაკვეთილები"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი **"ბევრი პილიჩი"** **13.30** მხ. ფილმი **"ბილად დაკარგული"** **15.25** ჩემპიონთა ლიგა. **"ჩელსი" – "პორტო"** **17.05** სერიალი **"ბაფალეები"** **18.20** "ტელეიუწყება" **18.55** სერიალი **"ბევრი პილიჩი"** **19.45** პატრული **20.00** სერიალი **"ეფიფანოვები ქალები"** **22.00** "ვის უნდა 50 ათასი" **23.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი **"ეფესეკრიმინალი"**.

**07.00** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25, 02.45** იმედის მელოდიები **08.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **09.20** "აქტიორი" **10.05** სერიალი **"ტყუპები"** **11.15** სერიალი **"ყაყა და ლუდი"** **12.20** თამაში "პოლიციის აკადემია" **12.40, 16.25, 02.15 ტამარკები** **13.15** მხ. ფილმი **"ვინ წაეა ტრუსოვსკეში"** (ბ) (მ. ტერეხოვა) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.05** ქრონიკა **15.20** სერიალი **"კლონი"** **16.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **17.25** "პირველი ნახვარი" **18.05** სერიალი **"ტყუპები"** **20.00** სერიალი **"კლონი"** **20.55** სერიალი **"ყაყა და ლუდი"** **22.50** "უცნობი საქართველო" **23.20** მხ. ფილმი **"სოფრესი"** (15) (ჯ. ფოსტერი) **01.10** სერიალი **"ნიუ ბრიჯესი"** **03.05** ქრონიკა

**09.00** "გეპატიჟებთ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი **"ელუარი მთვარე"** **10.30** სერიალი **"სინიორ ვიანელო"** **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი **"პაპარა დიდი ბოჯი"** **11.35** კრიმინ. დრამა **"სთუდ** დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.30** შემეცნ. გასართობი პროგრამა დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი **"პოლიციელი ქალები"** **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი **"ბარია ვემილია"** **16.05** სერიალი **"პოლიციელი ქალები"** **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ჰოლივუდი დღეს" **19.05** სერიალი **"ელუარი მთვარე"** **20.45** სერიალი **"სინიორ ვიანელო"** **21.15** სერიალი **"პაპარა დიდი ბოჯი"** **21.45** კრიმინ. დრამა **"სთუდ** დანაშაულის ადგილი ლას ვეგასზე" **23.45** მხ. ფილმი **"ცრუ რნმენა"**

**13.00** ქართული მუსიკა **14.00** მხ. ფილმი **"ფორსაჟების მეფეები"** (ბ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი **"მილედი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"საბიფაფო ჩაძირვა"** (ბ) **22.30, 00.30** ქართული მუსიკა

**10.00** დებატები (გაგრ.) **12.00** ვიპ-შოუ და კენო (გაგრ.) **13.00, 19.00** ტვ-შოპი **19.00** სერიალი **"მუსკლეები"** (გაგრ.) **19.30** ანიმაციური ფილმი "დარდუბალა" (გაგრ.) **20.00** ვიპ-შოუ და კენო **21.00** ტვ-შოპი **22.00** სერიალი **"მუსკლეები"** **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** მ. ამბილდაძის შოუ **23.00** დებატები 202-ზე

# საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია

თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2004 წლის 17 ივლისს კვების პროდუქტების და სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვაზე გამოცხადებულ ღია ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას.

ა) კვების პროდუქტების შესყიდვა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | ს.ს. „ერწანისი პური“ | პური I ხარისხის (ლოტი №1) | 232 000კგ. | 0,72 ლ |
| | | პური რუხი (ლოტი №1) | 198 600კგ. | 0,65 ლ |
| 2. | იმ. ვაპაშვილი | გაყინული ღორის ხორცი (ლოტი №1) | 23 000კგ. | 3,68 ლ |
| 3. | იმ. ნ.კუხიანიძე | საქონლის ხორცი ძვალზე (ლოტი №2) | 23 000კგ. | 3,66 ლ |
| | | საქონლის ხორცი ძვალზე (ლოტი №3) | 23 000კგ. | 3,66 ლ |
| 4. | იმ. მ.ჩერგელაშვილი | საქონლის ხორცი ძვალზე (ლოტი №5) | 20 000კგ. | 3,64 ლ |
| 5. | იმ. ზ.ტაგანაშვილი | ქათმის ხორცი (ბარკალი) (ლოტი №1) | 23 000კგ. | 2,28 ლ |
| | | ქათმის ხორცი (ბარკალი) (ლოტი №2) | 23 000კგ. | 2,28 ლ |
| | | ქათმის ხორცი (ბარკალი) (ლოტი №3) | 23 000კგ. | 2,28 ლ |
| | | ქათმის ხორცი (ბარკალი) (ლოტი №4) | 11 000კგ. | 2,34 ლ |
| | | ქათმის ხორცი (ბარკალი) (ლოტი №5) | 20 000კგ. | 2,34 ლ |
| | | თევზი უთავო (სტავრიდა) (ლოტი №1) | 59 520კგ. | 2,48 ლ |
| | | თევზი უთავო (სტავრიდა) (ლოტი №2) | 20 400კგ. | 2,55 ლ |
| | | თევზი უთავო (სტავრიდა) (ლოტი №3) | 10 080კგ. | 2,55 ლ |
| 6. | იმ. რატი კაპანაძე | ბურღული წიწიბურის | 28 000კგ. | 1.04 ლ |
| | | მაკარონის ნაწარმი | 29 986კგ. | 0,89 ლ |
| | | შაქარი ფხვნილი | 48 000კგ. | 0,83 ლ |
| | | მარილი იოდირებული | 20 000კგ. | 0,25 ლ |
| | | ფქვილი II ხარისხის | 8 000კგ. | 0,54 ლ |
| 7. | იმ. ლ.ჯიბუტი | ბურღული ბრინჯის | 32 000კგ. | 1,05 ლ |
| 8. | შ.პ.ს. ქართული პროდუქტები“ | კარაქი ძროხის (72%) | 48 000კგ. | 3,15 ლ |
| | | მარგარინი | 16 000კგ. | 1,85 ლ |
| | | შესქელებული რძე | 40 000კგ. | 2,20 ლ |
| | | მზესუმზირის ზეთი რაფინირებული | 16 000ლ. | 2,0 ლ |
| 9. | შ.პ.ს. „სანდო“ | არაყანი (15%) | 13 380კგ. | 1,90 ლ |
| 10 | შ.პ.ს. „რელკო“ | ხილის წვენი | 34 800კგ. | 1,0 ლ |
| 11. | შ.პ.ს. „ლალე“ | ტომატ-პასტა | 13 333კგ. | 1,50 ლ |
| 12. | იმ. ს.დვალიშვილი | ძმარი | 1 733ლ. | 1,20 ლ |
| 13. | იმ. ი.დვალიშვილი | საკმაზ-სანელებლები | 400კგ. | 3,50 ლ |
| 14. | იმ. ნ.ქობულაძე | კისელის კონცენტრატი | 14 667კგ. | 1,51 ლ |

ბ) სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | იმ. შ.ნაცვლიშვილი | ლობიო | 20 000კგ. | 0,95 ლ |
| 2. | შ.პ.ს. „საქართველოს საზღვაო კომპანია“ | ბარდა | 16 000კგ. | 0,93 ლ |
| 3. | შ.პ.ს. „პოულტრი ჯორჯია“ (კოდა) | ქათმის კვერცხი | 311 538ც. | 0,15 ლ |
| 4. | შ.პ.ს. „ზემო არქევანი“ | კიტრი, პომიდორი (ლოტი №1) | 8 000კგ. | 0,38 ლ |
| | | კარტოფილი (ლოტი №1 – თბილისი) | 113 150კგ. | 0,27 ლ |
| 5. | ფ.პ. დ.ფოფოლაძე | ბოსტნეული (ლოტი №1) | | |
| | | კომბოსტო | 58 400კგ. | 0,20 ლ |
| | | ჭარხალი | 17 520კგ. | 0,25 ლ |
| | | სტაფილო | 27 740კგ. | 0,24 ლ |
| | | ხახვი | 40 880კგ. | 0,30 ლ |
| | | ნიორი | 3 200კგ. | 1,60 ლ |
| | | ქინძი | 4 380კგ. | 1,70 ლ |
| | | ოხრახუში | 2 920კგ. | 1,70 ლ |
| 6. | შ.პ.ს. „რამთა“ | ბოსტნეული (ლოტი №2) | | |
| | | კომბოსტო | 21 600კგ. | 0,22 ლ |
| | | ჭარხალი | 6 480კგ. | 0,25 ლ |
| | | სტაფილო | 10 260კგ. | 0,35 ლ |
| | | ხახვი | 15 120კგ. | 0,60 ლ |
| | | ნიორი | 1 200კგ. | 1,60 ლ |
| | | ქინძი | 1 620კგ. | 0,95 ლ |
| | | ოხრახუში | 1 080კგ. | 0,90 ლ |
| | | კარტოფილი (ლოტი №2 – ქუთაისი) | 41 850კგ. | 0,39 ლ |
| 7. | შ.პ.ს. „ეაზი“ | კარტოფილი (ლოტი №1 – ქუთაისი) | 41 850კგ. | 0,34 ლ |
| 8. | იმ. ნ.ოსეფაიშვილი | კარტოფილი (ლოტი №2 – თბილისი) | 113 150კგ. | 0,33 ლ |
| | | ვაშლი | 12 000კგ. | 0,70 ლ |

# საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება

თანახმად „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 26-ე მუხლისა, ვაქვეყნებთ ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის მიერ მომწოდებელთან 2004 წლის 23 აგვისტოდან 13 სექტემბრის ჩათვლით გაფორმებულ ხელშეკრულებებს:

| № | ხელშეკრულების № და გაფორმების თარიღი | | პროდუქციის დასახელება | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1. | №09/17 | 23.08.2004. | რადიოკავშირგაბმულობის საშუალებები | 28 783,68 ლარი |
| 2. | №01/165 | 31.08.2004. | პური I და II ხარისხის | 26 796,0 ლარი |
| 3. | №01/166 | 01.09.2004. | პური I და II ხარისხის | 26 300,0 ლარი |
| 4. | №01/167 | 01.09.2004. | პური I და II ხარისხის | 25 090,0 ლარი |
| 5. | №01/170 | 02.09.2004. | პური I და II ხარისხის | 103 140,0 ლარი |
| 6. | №01/171 | 08.09.2004. | უფილტრო სიგარეტი | 26 250,0 ლარი |
| 7. | №01/174 | 13.09.2004. | კარაქი ძროხის | 68 450,0 ლარი. |

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. 29ა აცხადებს ღია ტენდერს დაცვის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. დასაცავი ობიექტების ნუსხა:

| № | დასაცავი ობიექტის დასახელება |
|---|---|
| 1. | **ყაზბეგის რაიონის სოფ. გველეთში, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 134-ე კმ-ზე მდებარე ხიდი.** |
| 2. | **დაბა ყაზბეგში, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 126-ე კმ-ზე მდებარე ორი ხიდი;** |
| 3. | **ს. მუხადგვერდში, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მე-17 კმ-ზე მდებარე ორი ხიდი;** |
| 4. | **ს. მინაძეში, ახალციხე-ნინოწმინდის საავტომობილო გზის მე-6 კმ-ზე, მდ. მტკვარზე მდებარე ხიდი;** |
| 5. | **ქ. სამგრედიაში, სამგრედია-საჯავახო-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზის მე-3 კმ-ზე მდებარე ხიდი;** |
| 6. | **თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 142-ე კმ-ზე მდებარე საავტომობილო გვირაბი.** |
| 7. | **თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 142-ე კმ-ზე მდებარე რიკოთის საავტომობილო გვირაბის სარგებლობისათვის საფასურის ამკრეფი პუნქტი.** |
| 8. | **მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის 138-ე კმ-ზე მდებარე ს. ზემო ლარსის საავტომობილო გვირაბი.** |
| 9. | **სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის 112-ე კმ-ზე მდ. ჭოროხზე არსებული ხიდი.** |

გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. დაცვის მომსახურება უნდა განხორციელდეს **2004 წლის 20 ოქტომბრიდან 2005 წლის 20 ოქტომბრამდე.**

3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ **13.10.2004-ის 12 სთ-მდე**, შემდეგ მისამართზე: **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, 13 სართული, საერთო განყოფილება.**

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიული პირისთვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობა საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

ბ) ცნობას შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:**

ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

– მონაწილის იურიდიული სტატუსი; რეგისტრაციის ადგილი; მოღვაწეობის ძირითადი ადგილი; სატენდერო წინადადების ხელისმომწერისათვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ).

– უკანასკნელი წლების განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე გაწეული ანალოგიური მომსახურება:

| N | მომსახურეობის დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1. | | | |
| 3. | | | |

მონაწილეს უნდა გააჩნდეს ანალოგიური მომსახურების განხორციელების გამოცდილება.

– მომსახურების გაწევისათვის საჭირო აღჭურვილობა:

| № | აღჭურვილობის სახე | მოდელი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) |
|---|---|---|---|---|

პერსონალს, რომელიც განახორციელებს ტენდერით გათვალისწინებული ობიექტების დაცვას, უნდა გააჩნდეს ცეცხლსასროლი (გლუვლულიანი/ხრახნილლულიანი) იარაღის ფლობისა და ტარების უფლება, აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი უნიფორმით, კავშირგაბმულობის საშუალებებით (რაციები, მობ. ტელეფონები), უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ტრანსპორტით;

– ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება (დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები):

| თანამდებობა | გვარი, სახელი, ბიოგრაფიული მონაცემები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ მომსახურეობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|

– ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები, თუ რა მეთოდებით განახორციელებენ ტენდერით გათვალისწინებული ობიექტების დაცვას;

– მონაწილე იურიდიული ან ფიზიკური პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით აღასტურებს, რომ იგი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

5. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში დამვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ **2004 წლის 15 ოქტომბრის 18 საათამდე 500 ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთო განყოფილება.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ **საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების სამმართველოში, სართული 13, საკონტაქტო ტელეფონი: 37-63-95, გია დიასამიძე.**

**სატენდერო კომისია.**

შპს „სელა-აისბერგის“ გაკოტრების მმართველი ლევან ჯავარშეიშვილი აცხადებს, რომ აუქციონის წესით იყიდება ვალაუვალი მოვალის, შპს „სელა-აისბერგის“ ქონება.

აუქციონი ჩაგარდება **2004 წლის 4 ოქტომბერს, დღის 11 საათზე**, შემდეგ მისამართზე: 0165, ფონიჭალა, თბილისი.

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება შემდეგი ფასებით:

**1. მოტოროლერი „აპე-50“ 20 ერთეული საერთო ღირებულებით 32970.45 ლარი. 2. ავტომანქანა გაზ.52-01 1 ერთეული, საერთო ღირებულებით 581.29 ლარი. 3. სალაროს აპარატი „მერკური“ 11 ერთეული საერთო ღირებულებით 1475.57 ლარი. 4. მთაბარა 27 ერთეული, საერთო ღირებულებით 153.54 ლარი.**

აუქციონზე ქონების შემძენს ევალება აუქციონის დაწყებამდე წარმოადგინოს წერილობითი განაცხადი და გადაიხადოს „ბე“ ქონების საწყისი ფასის 10 პროცენტის ოდენობით გაკოტრების მმართველის სპეციალურ ანგარიშზე, ხოლო დანარჩენ თანხას გადაიხდის მომდევნო 5 დღის ვადაში იმავე ანგარიშზე.

**დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება მისამართზე: 0165, ქ. თბილისი. ფონიჭალა, შპს „სელა-აისბერგი“.**

**გაკოტრების მმართველი ლ. ჯავარშეიშვილი.**

საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია აცხადებს ტენდერს 110 კვ-იანი ამომრთველების შეკეთებაზე. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ კომპანიებს შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. 6, ტელ: 38-71-99, 38-74-99, 38-75-99 – კანცელარიის განყოფილება, სამუშაო საათები 9-დან 18-მდე. განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 1 ოქტომბერი, 16 საათამდე.

საქართველოს ფიზიკულტურულ-სპორტული კლუბი **„დინამო“** წესდების ახალი რედაქციის დამტკიცებასთან და ცვლილებებთან დაკავშირებით აცხადებს წევრთა ხელახალ რეგისტრაციას.

„დინამოს“ წევრები ვალდებული არიან (სურვილისამებრ) გაიარონ ხელახალი რეგისტრაცია კლუბის ოფისში, მისამართი: **ა. წერეთლის გამზ. №2, 2004 წლის 1 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე.**

წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გათავისუფლებული იქნებიან ფიზიკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ წევრობიდან.

**ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ დირექცია.**

◎ წარსული

# ვინ იყო „გურჯი სერგო“?

**1905-1910 წლებში ირანში ანტიფეოდალური რევოლუცია მოხდა. მასში აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის ბოლშევიკური პარტია. ირანში საბრძოლველად მიდიოდნენ როგორც იდეური რწმენის, ასევე მატერიალური დაინტერესების გამო. „მოჯახედებს“ (როგორც მათ უწოდებდნენ) შორის საკმაოდ ბევრი ქართველი იყო.**

ირანში მიმდინარე ამბებს და მათში ქართველთა მონაწილეობას ქართული პრესაც აშუქებდა. ზოგიერთ მასალას ხელს აწერდა „გურჯი სერგო“.

ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში ურთიერთგამომრიცხველი მოსაზრებებია გამოთქმული ამ ფსევდონიმის მქონე პიროვნების შესახებ.

პროფესორი გიორგი ჭიპაშვილი მიიჩნევდა, რომ ეს იყო სერგო გამდლიშვილი, ირანის რევოლუციის მონაწილე. იგი აცხადებდა, რომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტი ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი არ გამოუქვეყნებია.

გ. ჭიპაშვილს ეთანხმებოდა სანდრო გამდლიშვილის ძმა იასონ გამდლიშვილი. მისი ვარაუდი ემყარებოდა იმას, რომ ძმა სპარსეთის რევოლუციის მონაწილე იყო და სერგო ერქვა.

ცნობილი ჟურნალისტი ანტონ კელენჯერიძე კი თვლიდა, რომ „გურჯი სერგო“ სერგო ორჯონიკიძის ფსევდონიმია (სერგო ორჯონიკიძე იყო იმ დროს ირანში). ანტონ კელენჯერიძის ვარაუდი ემყარებოდა სერგო ორჯონიკიძის ნათქვამს, ახალგაზრდობაში მეც ვთანამშრომლობდი პრესაშიო (ოციანი წლების დასაწყისში ახალგაზრდა ჟურნალისტი ანტონ კელენჯერიძე სერგო ორჯონიკიძესთან გაგზავნეს ინტერვიუს ასაღებად და მაშინ უთქვამს ეს ორჯონიკიძეს).

საქართველოს პრეზიდენტის არქივში ჩემს მიერ გამოვლენილი მანამდე უცნობი დოკუმენტი უფრო მუსტ და დამაჯერებელ ახსნას იძლევა ამ საკითხზე.

ეს არის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში 1893-1920 წლებში ფსევდონიმით ხელმოწერილი მასალების ავტორთა დადგენა.

ნაშრომი ეკუთვნის ლეო (ლეონიდე) შენგელაიას. იგი გასული საუკუნის 10-იანი და 20-იანი წლების ქართული პოლიტიკური ელიტის ცნობილი წარმომადგენელია: გაზეთ „შრომის“ რედაქტორი, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ლიდერი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი (ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე). 1937 წელს დაუპატიმრეს და დახვრიტეს. რეაბილიტირებულია 1956 წელს.

ავტორთა ჩამონათვალში წლებისა და გაზეთების მიხედვით მითითებულია „მათიაშვილი სერგო, სპარსეთის რევოლუციის აქტიური მონაწილე. „გურჯი სერგო“.

რაგომ მიმაჩნია, რომ ეს ცნობა სანდო და დამაჯერებელია?

ნაშრომში 237 ავტორის ვინაობაა დადგენილი 40-ზე მეტი დასახელების ჟურნალ-გაზეთიდან. ლ. შენგელაიას თავის ნაშრომში რომელიმე ავტორის არა მარტო ერთ ან რამდენიმე ფსევდონიმზე აქვს მითითება, არამედ ძალიან ხშირად თანამდებობაზე, საქმიანობის დარგზე, პარტიულობაზე (პარტიის გამოცვლაზეც კი). იგი ფსევდონიმით გამოქვეყნების წყაროსაც უთითებს – ჟურნალ-გაზეთის დასახელებას და თარიღებს.

ამ მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მას რაიმე სათუო ცნობა არ გამოუყენებია და მით უმეტეს, შეცდომა არ დაუშვია. ეს აშკარად ცხადყოფს, რომ იგი ყოველმხრივ და ღრმად იცნობდა საკვლევ პიროვნებებს.

ეს არც არის გასაკვირი – 1910-1920-იან წლებში იგი პოლიტიკური მოვლენების შუაგულში იდგა და ყველა იმ პიროვნებაზე, რომელზეც მიუთითებდა, უეჭველია, სანდო მონაცემებს ფლობდა.

ვფიქრობ, ლეო შენგელაიას მითითება იმის თაობაზე, რომ „გურჯი სერგო“ სერგო მათიაშვილის ფსევდონიმია, უდავოდ გასაზიარებელია.

**ივანე ფენგელაია,**
**საქართველოს პრეზიდენტის**
**არქივის უფროსი,**
**ისტორიის მეცნიერებათა**
**კანდიდატი, დოცენტი.**

◎ ცხოვრების ჯანსაღი წესი

# სპორტი – ყველას!

**სპორტი რომ ყველას სჭირდება, მოძრაობა და მოქნილობა ყველა ქვეყანაში საამაყო და მისაბაძი რომაა, ამას თვით ცხოვრება გვკარნახობს. მრავალი მაგალითი მოგვეპოვება იმისა, თუ როგორ დარბიან დილაობით ყველაზე მაღალი თანამდებობის პირები, თვით სახელმწიფოთა პრეზიდენტების და პრემიერ-მინისტრების ჩათვლით...**

ჩვენს ქვეყანაში, სადაც ვარდების რევოლუციამ თითქმის მთელი საჯარო სამსახურების თანამშრომლები არნახულად გააახალგაზრდავა (ხელმძღვანელობის ჩათვლით), სპორტული ასპარეზობანი, ცხოვრების ჯანსაღი წესი, კიდევ უფრო ფართოდ ვრცელდება. ამ დღეებში გაიმართა თბილისის რაიონების გამგეობათა აპარატის მუშაკების და მათდამი დაქვემდებარებული საჯარო სამსახურების მუშაკთა სპარტაკიადა. ასპარეზობანი მოეწყო პოლიტექნიკური ტექნიკუმის დარბაზი, დიღმის საცურაო კომპლექსში, მუშტაიდის ბაღის სპორტკომპლექს „იმედში“, 460 მონაწილე ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას მაგიდის ჩოგბურთში, მინიფეხბურთში, ნარდსა და დარტსში, ტყვიის სროლასა და ბურთის კალათში ჩაგდებაში.

სწორედ ამ შემთხვევაში შეიძლება ვთქვათ, რომ საბოლოო ანგარიშით გაიმარჯვა ცხოვრების ჯანსაღმა წესმა, რადგან პრიზიორები, რომლებსაც „სამსახურის საპატიო სიგელები“ და ფულადი პრემიები გადაეცათ, არც კი გვიმხელდნენ თავიანთ გვარ-სახელებს. საყურადღებოა, რომ ამ მართლაც მასობრივ ღონისძიებებში სიამოვნებით მონაწილეობდნენ ყველა ორგანიზაციის თანამდებობის პირებიც.

**ანზორ გასილაია.**
**სურათებზე: მიმდინარეობს სპარტაკიადა.**
**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◎ ფეხბურთი

# რა სჯობს გოლებს?

**ჩემპიონთა ლიგის || ტურში თავდამსხმელებმა, რომ იტყვიან, აიწყვიტეს და გოლების წვიმით დაგვამახსოვრეს თავი. 8 შეხვედრაში გატანილი 31 ბურთიდან 3-3 რუნის და მაკაის ანგარიშზეა. აღსანიშნავია, რომ პირველს დებუტი ჰქონდა „მანჩესტერის“ შემადგენლობაში და საკმაოდ ხმაურიანიც გამოუვიდა, ხოლო მეორემ თანამემამულენი დაასამარა. დანარჩენზე ქვემოთ გესაუბრებით.**

**„ა“ ჯგუფი**

**„მონაკო“ – „დეპორტივო“ 2:0.**
**გოლები: კალონი, სავიოლა.**

**„ოლიმპიაკოსი“ – „ლივერპული“ 1:0.**
**გოლი: სტოლგიდისი.**

შარშან მონტე-კარლოელებმა იგივე მეტოქე 8:3 (!) გააბიოთრეს და პირველად უწიეს ლიგის ფინალს. მართალია, მაშინდელ შემადგენლობას ეიული, პრსო და მორიენტესი გამოაკლდნენ, მაგრამ მათმა შემცვლელებმა ისეთი ტემპი განავითარეს (მე-10 წუთზე – 2:0), რომ პაერში რეკორდის სუნი დატრიალდა. ორივე შეხვედრიანი იერიში აღებაიორის ასისტენტობით განვითარდა და ლოგიკური დასასრული მას შემდეგ მოჰყვა, რაც სტუმართა დაცვამ „ხაზზე თამაშისას“ მიუტევებელი შეცდომები დაუშვა. მოგვიანებით ესპანელებმა გამოასწორეს მდგომარეობა, რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს, მაგრამ „ლუის || “ სტადიონიდან ამჯერადაც გაწბილებულნი გავიდნენ.

ამ სეზონში კარგა გვარიანად სახეშეცვლილმა „ლივერპულმა“ ელადმი ისე უსუსურად „იბურთავა“, რომ ერთხელაც არ შეუწუხებია მასპინძელთა კარის დარაჯი. სამაგიეროდ, „ოლიმპიაკოსი“ გამოიყურებოდა მშვენივრად, განსაკუთრებით ისეთ წმინდა ბრიტანულ კომპონენტში, როგორიც || სართულზე ბრძოლაა. კანონზომიერიც გახლავთ, გამარჯვებულის გოლი მუსტი თაურით რომ გავიდა. სხვათა შორის, ბერძნები მას შემდეგაც ფლობდნენ უპირატესობას, რაც მინდვრიდან კაცი გაუძევეს.

**„ოლიმპიაკოსი“ – 4, „ლივერპული“, „მონაკო“ – 3-3, „დეპორტივო“ – 1 ქულა.**

**„ბ“ ჯგუფი**

**„რეალი“ – „რომა“ 4:2.**
**გოლები: რაული (2), ფიგუ (პენალტით), რობერგო კარლოსი; დე როსი, კასანო.**

**„დინამო“ (კიევი) – „ლეეერკუზენი“ 4:2.**
**გოლები: რინკონი, ჩერნატი ( ვორონინი, ნოვოტნი.**

„სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართულმა შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ორივე კლუბი კრიზისში იმყოფება. მერე რა, რომ ვარსკვლავთა ინდივიდუალური ოსტატობით, რუსი მსაჯის ვალენტინ ივანოვისა და გრიბუნების ხელშეწყობით უმთავრესმა ფავორიტმა 0:2-ის შემდეგ მოახერხა ჩარხის წაღმა დატრიალება – უმწვრთნელოდ დარჩენილ რომაელებს რომ, თუნდაც, შარშანდელი კონდიციები ჰქონოდათ შენარჩუნებული, ძნელი სათქმელია, როგორ შედეგს დაიფიქსირებდა საფინალო სასტვენი. და კიდევ – „სამეფო კლუბში“ დაცვის ბურჯად მიწვეული სამუელი, რომელიც შარშან იტალიელთა ღირსებას იცავდა პირველ ტაიმში პოზიციურ შეცდომებს შეცდომებზე უშვებდა.

ჯგუფის ლიდერთა კიევურ დუელში გამოცოცხლება სტუმართა მწვრთნელის აუგენტალერის მიერ განხორციელებულმა შეცვლამ შეიგანა – ვორონინმა ჯერ თანამემამულე შოვკოვსკის უხეიროდ მოგერიებულ ბურთს დაამაგა და გაათანაბრა ანგარიში, ხოლო რამდენიმე წუთში შეტევაში ჩართულ ნოვოტნის გაგატანინა გოლი – 2:1. თუმცა, საპასუხო ცვლა არც კიეველთა თავკაცმა საბომ დაადგვიანა – მინდორზე ახალშესულმა ჩერნატმა პარტნიორ რინკონის მსგავსად „დუბლი“ შეასრულა და უსაზღვრო სიხარული მიანიჭა ქომაგებს:

**„დინამო“ – 6, „ლეეერკუზენი“, „რეალი“ – 3-3, „რომა“ – 0 ქულა.**

**„გ“ ჯგუფი**

**„ბაიერნი“ – „აიაქსი“ 4:0.**
**გოლები: მაკაი (3), ზე რობერგო.**

**„იუვენტუსი“ – „მაქაბი“ 1:0.**
**გოლი: კამორანეზი.**

**„ბაიერნი“, „იუვენტუსი“ – 6-6, „მაქაბი“, „აიაქსი“ 0-0 ქულა.**

**„დ“ ჯგუფი**

**„მანჩესტერი“ – „ფენერბახჩე“ 6:2.**
**გოლები: რუნი (3), გიგზი, ვან ნისტელროი, ბელიონი; მარსიო აურელიო, თუნჯაი.**

**„სპარგა“ – „ლიონი“ 1:2.**
**გოლები: კინელი; ესიენი, ვილგორდი.**

**„მანჩესტერი“, „ლიონი“ – 4-4, „ფენერბახჩე“ – 3, „სპარგა“ – 0 ქულა.**

**გია პლატონიშვილი.**

◎ ჭადრაკი

# „კაისამ“ უმასპინძლა

**ამას წინათ ბათუმის ჭადრაკის სასახლე „კაისაში“ გაიმართა ბავშვთა საჭადრაკო ფესტივალი სიმბოლური სახელწოდებით „თავისუფალი აჭარა“. შეჯიბრების თაოსნები იყვნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი კახა ჩიგოგიძე და აჭარის განათლების მინისტრი ალექსანდრე გეგენავა. ფესტივალი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ დააფინანსა. ამ ღონისძიების მაღალ დონეზე გამართვისთვის ყველაფერი გააკეთეს აჭარის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ შოთა ჭურკვეიძემ და სპორტის სამმართველოს უფროსმა ზურაბ უკლებამ.**

ფესტივალი სამ ასაკობრივ ჯგუფში ჩაგარდა. 8 წლის ბავშვთა ტურნირში ერთმანეთს შეეჯიბრა 31 ნორჩი მოჭადრაკე, მათ შორის უძლიერესი აღმოჩნდა ირაკლი ბერაძე.

გოგონათა შორის საუკეთესო შედეგი დეა გოგიშვილს ჰქონდა. ირაკლის გივი გოგიჩაიშვილი ამეცადინებს, ხოლო დეას – ციური კობაიძე. 10-12 წლის 37 მოჭადრაკეს შორის ასპარეზობაზე თავი გამოიჩინეს: 10 წლიანთა შორის – ევროპის ჩემპიონმა, სამგრედიელმა მერი არაბიძემ (მწვრთნელი გოჩა ჩაჩუა) და ბათუმელმა ნოდარ ლორთქიფანიძემ (მწვრთნელი გურამ ჭანკურია). 12-წლიანებში იყოჩაღეს ნაზი პაიკიძემ (მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი) და ქუთაისელმა ბექა ნემსაძემ (მწვრთნელი ხათუნა გუბელაძე).

14, 16 და 18 წლის 35 მოჭადრაკე ცალკე ტურნირში იბრძოდა.

14 წლის მოჭადრაკეებში საუკეთესონი იყვნენ ანუკი ხაჟომია (მწვრთნელი ემილ მიქაელიანი) და ზუგდიდელი ზვიად ფაცია (მწვრთნელი გოჩა თორია).

16 წლის ბოგონებში ტოლი არავის დაუდო მასპინძელმა მირანდა მიქაძემ, რომელსაც ლეონიდ ნეურონოვი ეხმარება ოსტატობის ამაღლებაში. ამ ასაკის ჭაბუკებში ყველას სამგრედიელმა დავით ჯოჯუამ აჯობა (მწვრთნელები ხვიჩა სუპაგაშვილი და ალექსანდრე ბოკუჩავა).

18 წლის გოგონათა ტურნირი მოიგო ნეურონოვის მეორე აღზრდილმა ბათუმელმა ნინო ბაციაშვილმა, მის თანატოლ ჭაბუკებში კი ქუთაისელმა გიგა ყუფარაძემ (მწვრთნელი გიორგი მენაბდე).

იმედია, საჭადრაკო ფესტივალი „თავისუფალი აჭარა“ ტრადიციული გახდება.

**გიორგი მაჭარაშვილი,**
**საქართველოს**
**დამსახურებული მწვრთნელი.**

◎ წარდგენა

# ისინი – ქვეყნის პოტენციალს წარმოაჩენენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა უნივერსიტეტის გამომცემლობაში დასტამბული სახელმძღვანელოების წარდგენა. იგი გახლდა სერგო ფარეულავა, ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების ფასეულობათა ეროვნული ინსტიტუტის ხელმძღვანელ

საქართველოს რესპუბლიკა
№ 227, ხუთშაბათი, 30 სექტემბერი, 2004 წელი.

ალბომი

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

**ციალა ციციშვილი-მჭედლიშვილისა და გივი მჭედლიშვილი, რომლებმაც წელს დაბადებიდან 80, ხოლო შეულლებიდან 57 წლის იუბილე აღნიშნეს. ეს ფოტო კი 1974 წელსაა გადაღებული.**

**მოგვაწოდა ბიორგი მჭედლიშვილმა.**

**შეგახსენებთ, რომ ხურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.**

***ფოტოების მომწოდებელთ ვთხოვთ, რომ დაბეჭდვიდან ერთი კვირის ვადაში მოაკითხონ რედაქციას გამოქვეყნებული სურათების წასაღებად.***

**◎ გიხაროდენ!**

## „ორიონში“ ჩვილთა ღუღუნი გაისმის

ჩვენ რომ მახარობლები გვყავს... ბევრი ვერ დაიკვეხნის! ავილებთ ყურმილს და უკვე ხმებს ვცნობთ, სწრაფად, რაღაცნაირად სიხარულისგან მოუთმენელნი „ჩამოგვიკაკლავენ“ ხოლმე ერთი თვის, ერთი კვირის, თუნდაც ერთი დღის განმავლობაში რამდენად იზარდა ჩვენი ქვეყანა, იმასაც გვაუწყებენ, რომ „ორიონში“ მოსალოგინებლად აქ მოსული ქალისთვის საუკეთესო ხელშემწყობი პირობები არსებობს. ამიგომაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან შეხვდებით მოსამშობიარებლად მოსულ ქალს. „ორიონი“ დიღმის დასახლებაში მდებარეობს. ორსული ქალის მიღების და შემდეგ დედა-შვილის გასტუმრების ლამაზ ტრადიციაზე ჩვენთვის არაერთხელ შეუტყობინებიათ აქ მომშობიარებულთ, ან მათ ახლობლებს.

– აგვისტოში ჩვენთან 69 ბავშვი დაიბადა, სექტემბერში – 95, ყველა ჯანმრთელი გაეწერა, გვაცნობა ამჯერადაც სამშობიარო სახლის მთავარმა ექიმმა დავით გაგუამ, – ჩვილის დედას თან ვაგანთ რაც კი ძუძუთი კვებისთვის თავიდან არის აუცილებელი.

**გაიხარონ!**

**რიტა ჩაკვეტაძე.**

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

**◎ ცოტაც გავილიმოთ...**

– მამა, რა არის მორალი?

– ის, რასაც დედაშენი ყოველ საღამოს მიკითხავს.

– რა საინტერესოა! დღისით კი იგი ჩვენს მეზობელ კოლია ბიძიას კამასუტრას უკითხავს.

* * *

მიმნდობი შემპარავი ხმით უთხარით მანდილოსანს, რომ მეორე ყველაზე საზიზღარი ქალური მანკიერება არის ცნობისმოყვარეობა. როგორ ფიქრობთ, რა კითხვის დასმას იჩქარებს იგი მაშინვე?

* * *

მდიდრისთვის, რომელიც მაღაზიაში ფასებს ათვალიერებს, სულერთია, რომელი ვალუტა იგულისხმება. თუმცა ამას არც ღატაკისთვის აქვს რაიმე მნიშვნელობა.

* * *

მიხო და მარო, რომელთაც ვერცხლის ქორწილი უკვე გადახდილი აქვთ, საუზმობენ.

– მიხო, ოქრო, მითხარი, ისევ გიყვარვარ? – ეკითხება მარო.

– რით ვერ დაეხსენ ამ უცნაურ ჩვევასა, ყოველი დილა სკანდალით უნდა დაიწყო? – იღრინება მიხო.

* * *

მიხო ჯარში გასაწვევად კომისარიატში დაიბარეს.

– რანაწილში გსურს იმსახურო?

– ეკითხებიან.

– მფრინავობა მინდა!

გასინჯეს. მფრინავად დაიწუნეს.

კვლავ მისცეს არჩევანის გაკეთების უფლება.

– ჰაერსაწინაღო თავდაცვის ნაწილში ვიმსახურებ.

– რატომ მაინცდამაინც იქ?

– თუ მე არ ვიფრენ, ვერც სხვები იფრენენ!

* * *

დირექტორთან აცრემლებული პირადი მდივანი შედის.

– რა მოხდა, ლენოჩკა?

– გინეკოლოგმა მითხრა, რომ ორსულად ვარ. დრო რომ გავთვალე, მივხვდი, ეს მხოლოდ სემინარზე ჩვენი ერთად ყოფნისას შეიძლებოდა მომხდარიყო. ესე იგი, თქვენგან დავფეხმძიმდი. მაგრამ რაკი თქვენ დაოჯახებული ხართ, მე კი – გათხოვილი, ხოლო აბორტის გაკეთება უკვე დაგვიანებულია, არ ვიცი, რა წყალში გადავვარდე. ერთი გზაღა დამრჩენია – თვითმკვლელობა.

დირექტორი ღრმა თანაგრძნობის იერით წამოდგება, მხარზე ხელს გადახვევს და ეუბნება: კარგი ლენოჩკა. მუდამ მწამდა, რომ თქვენი ნდობა შეიძლებოდა.

**დღის კალენდარი**
**30 სექტემბრისთვის**
**ამოდის 06.55**
**ჩადის 18.44**
**( ამოდის 14.02, ჩადის 22.19**
**წლის 274-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 92 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

ხსენება მოწამე პისტისა, ევპიდისა, ალაპისა და დედისა მათისა სოფოსი (დაახლ. 230); მოწამე თეოდოტიანი (137) და ალათოკლიანი; 156 მოწამეთა: პელისა და ნილისისა – ეგვიპტელ ეპისკოპოსთა, ზენონ ხუციისა, პეტრმუთისა და ილიასი და სხვათა (დაახლ. 310).

**დაიბადნენ:**

**1707 – პიეტრო როგარი,** იტალიელი მხატვარი, როკოკოს სტილის ოსტატი.

**1882 – ჰანს ჰეიგერი,** გერმანელი ფიზიკოსი.

**1891 – ოტო შმიდტი,** რუსეთელი მეცნიერი, ჩრდილოეთის საზღვაო გზის ათვისების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

**1922 – ანატოლი პაპანოვი,** რუსი მსახიობი.

**1927 – თენგიზ ამირეჯიბი,** პიანისტი, პროფესორი.

**1931 – ჯანსუღ ჩარკვიანი,** პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

**გარდაიცვალნენ:**

**1435 – იზაბელა ბავარიელი,** საფრანგეთის დედოფალი.

**1955 – მიხაილ ჩეხოვი,** მსახიობი, მწერალ ანტონ ჩეხოვის ძმისწული.

**1985 – ჩარლზ რიხტერი,** ამერიკელი სეისმოლოგი, მიწისძვრის სიმძლავრის შეფასების სკალის ავტორი.

**1985 – სიმონა სინიორე,** ფრანგი კინომსახიობი.

**1999 – დმიტრი ლიხაჩოვი,** რუსი ლიტერატურათმცოდნე, აკადემიკოსი.

**„მედია-ნიუსი“.**

**◎ გაილიმეთ, „იუმორინა“ იწყებს!**

# „ლომისის“ მადლით გაბრწყინებული „ოქროს შემოდგომა“

**„ლომისი“ ხომ იცით, ფირმა „ლომისი“, ჩვენი ბრწყინვალე მუსიკოსისა და დრამატურგის ჯემალ ბაღაშვილის საფუძველჩაყრილი, შემდეგ დიდ საკონცერტო დარბაზში დაუვიწყარი საღამოებით პოპულარობამოპოვებული, ცოტა მოგვიანებით ქართული თეატრისა და კინოს სახელმოხვეჭილ ოსტატთა ერთად შემკრები და „იუმორინას“ სახელწოდების კონცერტებით გულების დამპყრობი...**

– გაისად უკვე 10 წლის ხდება „ლომისი“, – ეუბნება ჩვენს კორესპონდენტს ფირმის გენერალური დირექტორი ჯემალ ბაღაშვილი, – უცებ გაფრინდა დრო, ამ ხნის განმავლობაში უამრავი კონცერტი ვაჩვენეთ ერთგულ მაყურებელს, მაგალითად „იუმორინამ“ ისეთი პოპულარობა მოიპოვა, რომ უკვე მარტო გაგაფხულზე მისი ჩვენება აღარ კმარა და, სწორედ მაყურებელთა თხოვნით, გადავწყვიტეთ შემოდგომითაც შევთავაზოთ თბილისელებს. შევკრიბეთ ჩვენი „გუნდი“, მოვამზადეთ სრულიად ახალი პროგრამა **„ოქროს შემოდგომა“ და 1-დან 10 ოქტომბრამდე დიდ საკონცერტო დარბაზში წარმოვადგენთ.** აქვე ვიტყვი, რომ ეს ათი დღე ნაღდად არ იქნება საკმარისი და მას ნელ-ნელა გავაგრძელებთ, ხოლო გაისად, აპრილში, უკვე საგაზაფხულო „იუმორინა“ „ლომისის“ 10 წლისთავს მიეძღვნება და იგი სავსე იქნება საუკეთესო ნაკრები ნომრებით. გაისად ერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებასაც ველოდებით. უფრო სწორად, ამერიკელები მოსკოვში ჩვენი „ფიროსმანის“ ტრიუმფალური გამოსვლის შემდეგ დაინტერესდნენ ამ მიუზიკლით და შემოგვთავაზეს, ბროდვეიზე გავითამაშოთ ეს სპექტაკლი. ვნახოთ, ყოველ წუთს ველოდებით ოფიციალურ მიწვევას.

აი, ეს არის ჯერჯერობით ჩვენი გეგმები, ხვალიდან კი გელით დიდ საკონცერტო დარბაზში.

**სურათზე: განუმეორებელი „ტანდემი“ – ჯემალ ბაღაშვილი და გივი ბერიკაშვილი.**

**◎ ვაიმე, ენავ!**

# გავმართოთ სპორტული ტერმინოლოგია

**ქართული სპორტის ამ დიდი წარმატების ჟამს – ზაფხულის XXVIII ოლიმპიურ თამაშებში ქართველ ათლეტთა წარმატებას ვგულისხმობ, სულაც არ მინდა ვინმემ მკრეხელობად ჩამითვალოს ის, რამაც ხელში კალამი ამაღებინა.**

მხოლოდ ვისურვებდი, ჩვენი სპორტსმენების შთამბეჭდავი გამარჯვებების ამებს, ლამაზი, უფრო ზუსტად, სწორი ქართულით გვაწვდიდნენ ცისფერი ეკრანიდან.

სამწუხაროდ, ჩვენი ყური უკვე მიეჩვია (არადა, როგორი მისაჩვევია?) ალოგიზმის იმ „მარგალიტებს“, რომლებიც კარგა ხანია სპორტულ გადაცემებში იფრქვევა: „ბურთის გადაცემა, დარტყმა, ჩაწოდება **აწარმოა“, „გოლს იგანს“,** „პენალტის დარტყმა **შეასრულა“,** რომ აღარაფერი ვთქვათ ამ ყბადაღებულ სიტყვა **„რამოდენიმეზე“,** ან **„მადლობა მოვუხადოზე“,** „დეკიდს ტრძელი **თმები** და **სათვალეები** ხელს არ უშლის თამაშში“, **„შეჯიბრი“** (შეჯიბრების მაგივრად)... ათენურ რეპორტაჟებში კი აღრე დამკვიდრებულ **„ქალ კალათბურთელთა და ვაჟ კალათბურთელთა“** (აჯობებდა, რა თქმა უნდა, კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა) გარდა, შემოიღეს **„მამაკაცთა გუნდები“,** ფრენბურთელთა ორთაბრძოლებში კი დაამკვიდრეს **„ჩაწოდებაზეა“** „ბურთს აწვდის“ ნაცვლად.

საკვირველია, რომ თავად ტელევიზიის მუშაკთა შორის ვერ მოიძებნა ქართულის მცოდნე, რომელიც ამ ლაფსუსებს მომდევნო გადაცემებში შეასწორებდა. ამ მხრივ, აღმაშფოთებელია სარეკლამო რგოლი, კონკურსში გამარჯვებულ ნიორაძეს რომ სურს **„მადლობა მოუხადოს** ბანკს შესანიშნავი მომსახურების სერვისისათვის“. ეს ერთი და იგივე **მადლობა მოვუხადო** სარეკორდო რაოდენობით გაისმოდა ეთერში მთელი ოლიმპიადის დღეებში და მისი გამოსწორება არავის მოსვლია აზრად, ისევე, როგორც არავინ ცდილობს ჟამოასწოროს მიუტევებელი შეცდომები – **„გაყიდვამია“, „სრულები“, „სპორტის სახე“** (უნდა ვთქვათ – სახეობა), **„სწავლებები“, „ავგომობილელი“,** ჭიდაობაში **„სუფთა დრო“** (ჭუჭყიანი დრო შეიძლება იყოს?), **„კენჭისყრები“, „ისმინება“, „დააყაჩაღეს“** და მრავალი სხვა. ბურთს კარში **„იგანენ“** კი არა, იგი გაავქვთ და არც **„შემოჰყავთ თამაშში“,** ვინაიდან უსულო საგანია, ამიგომ – თამაშში შეაქვთ. პენალტს კი, უბრალოდ, არგყამენ, და არა **„დარგყმას აწარმოებენ“.**

და კიდევ – „ამასობაში თამაში სრულდება“ – ისმის ფეხბურთელთა მაგჩების მიწურულს მორიგი სტერეოტიპი. თამაშის დამთავრების აღსანიშნავად არ შეიძლება **„სრულდება“** ვიხმაროთ, ვინაიდან სრულდება ბეთჰოვენის სიმფონია და არა თამაში... **ასრულებს** არც ბურთის დარგყმაზე შეიძლება ვთქვათ.

დასასრულ, უხერხული ხომ არ არის ჩვენთვის, რომ ქართული ენის სიწმინდის აუცილებლობაზე, უფრო კი მის ღირსებაზე მიგვითითებს ჰოლანდიელი ქალბატონი, ქვეყნის პირველი ლედი სანდრა რულოფსი. მან მორიდებულად მიგვანიშნა, ქართველებს, თურმე, გვქონია შესანიშნავი სიტყვა „წიწიბურა“ და ჩვენ კი, რაგომღაც „გრეჩიხას“ ჩავაცივდით...

**უშანგ ჭიჭინაძე.**

**ხსოვნა**

## გაიოზ სეხნიაიძე

76 წლის ასაკში გარდაიცვალა ღვაწლმოსილი გეოფიზიკოსი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ზაიოზ ალექსის ძე სეხნიაიძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გ. სეხნიაიძემ მუშაობა დაიწყო ქ. სვერდლოვსკში, ურალის გეოფიზიკურ ტრესტში, სადაც განვლო გზა რიგითი გეოფიზიკოსიდან – გეოფიზიკური პარტიის უფროსამდე.

გ. სეხნიაიძე წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს გეოლოგიის სამმართველოს გეოლოგიურ-გეოფიზიკურ ექსპედიციაში მთავარ გეოფიზიკოსად. 1981 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტთან არსებული პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზის – „საქგეოლექსპერტიზის“ მთავარ გეოფიზიკოსად.

გ. სეხნიაიძემ დიდი წელილი შეიტანა საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიურ შესწავლაში, მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით საქართველოს ტერიტორიისთვის შედგა სხვადასხვა მასშტაბის მაგნიტური ველის რუკები. მის კალამს ეკუთვნის მრავალი შრომა, რომელიც ეხება საქართველოს ტერიტორიის სიღრმულ გეოლოგიური აგებულების შესწავლას.

გაიოზ სეხნიაიძის პიროვნებაში მაღალი დონის პროფესიონალიზმი ჰარმონიულად იყო შეთავსებული მის ვაჟკაცურ ბუნებასთან, რის გამოც იგი სარგებლობდა კოლეგების დიდი სიყვარულით და დამსახურებული ავტორიტეტით.

ქართველი გეოლოგები დიდი გულისტკივილით ეთხოვებიან საყვარელ კოლეგასა და მეგობარს და ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ბაგონ გაიოზ სეხნიაიძის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების გულში.

**საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტი,**
**„საქგეოლექსპერტიზა“, სს „საქართველოს გეოლოგიისა და სამთო საქმის ეროვნული კომპანია“,**
**საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება.**

რიმიკო და დავით გურგენიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ დავითის ძე ბიორგობიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დეპარტამენტის ყოფილი ღვაწლმოსილი მუშაკი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი

ვლადიმერ ბეზია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**ხსოვნა**

## წუთისოფლიდან – მარადისობაში

ხუტა ბერულავამ წუთისოფელში იცხოვრა და მარადისობაში გაუჩინარდა. მიდიან ჟამგამოვლილი ადამიანები და თან მიაქვთ ბევრი იმედი, რომელიც მათთან ერთად გვეკარგება და ხელიდან გვეცლება.

ბაგონი ხუტა იყო მაგალითი ზებუნებრივი ნიჭიერებისა, ერთი ჩვეულებრივი აღმზრდელი ქართული ზნისა, მფურჩქნელი ქართული ტრადიციებისა. ძლიერი, ამაყი, მართალი! ღირსების დროშა მუდამ ეპყრა ხელთ და არაფრის სანაცვლოდ არ დასთმობდა მას. იგი მრავალმხრივი შემოქმედი იყო, მთავარი მაინც მისთვის ადამიანურ ურთიერთობათა შემოქმედება იყო. ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკმა ბრწყინვალე ლექსები დაწერა და მხარში ამოუდგა უფროსი თაობის ბრწყინვალე კოჰორგას.

უკომპრომისოს და დაუმორჩილებელს ბასრი ხმალივით მხარში ედგა სიმართლე, რომლის იმედითაც საქვეყნო საქმეებს მარჯვედ და სამომავლოდ მართავდა, ამიგომ იყო, რომ მის ლექსებს უამრავი მკითხველი ჰყავდა, ბევრ ახალგაზრდას გაუმართა ხელი და სამომავლო გზები დაულოცა. ყველა სფეროში, სადაც ის მოღვაწეობდა, დიდი შრომით აგებდა ხიდებს ერებისა და ადამიანთა ურთიერთობებისას, ყველაზე დიდი სანუგეშო მისთვის ისიც არის, რომ გაუგეხელი და ბეჭდაუდებელი წავიდა ამ ქვეყნიდან. დაგოვა უამრავი საწინდარი ღირსებისა და მართალკაცობისა.

უკანასკნელად ამ ორიოდე კვირის წინათ ვნახე – დეკემბერში მისრულდება 80 წელი და ღირსეულად უნდა შევეგებოო, მაგრამ არ დასცალდა. მაშინ ის საღსალამათი გონებით იგონებდა განვლილი წლების ეპიზოდებს და ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ფიქრი მომავალზე.

განსაკუთრებით არ ჩამოვთვლი მის მიერ დაგვირგვინებულ საქმეებს. რაც არ უნდა ბევრი ვთქვა, მაინც ბევრი დამრჩება უთქმელი.

მშვიდობით, ძმაო და მეგობარო! უპირველესად სამძიმარი უნდა ვუთხრა შენს სამეგრელოს, რომელიც ღირსეულ შვილებს უბრდის საქართველოს.

შენი თაობის ერთ-ერთი ბურჯი იყავი და არასოდეს დაიკარგები ქართველი ხალხის ხსოვნიდან.

**სილოვან ნარიმანიძე.**

**ხსოვნა**

## ხუტა ბერულავა

გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ხუტა მიხეილის ძე ბერულავა.

დაიბადა 1924 წლის 10 დეკემბერს ქალაქ ზუგდიდში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ჯერ სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში. მწერალთა კავშირის წევრია 1945 წლიდან.

სკოლაში სწავლის პერიოდიდან აქვეყნებდა ლექსებს ადგილობრივ და რესპუბლიკურ პრესაში.

1941 წლის აგვისტოში გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა მისი ლექსი „ამხანაგო მიშაკო, ძმაო შალამბერიძევ!“, რომელიც ხალხმა აიტაცა და სიმღერად იქცა.

1944 წელს გამოვიდა ხუტა ბერულავას ლექსების პირველი წიგნი „სამშობლოს სიყვარული“. იმავდროულად ხუტა ბერულავა ეწევა მთარგმნელობით მუშაობას და წერს საბავშვო ლექსებს. 1947 წელს გამოვიდა საბავშვო ლექსების პირველი წიგნი „ნაგვრის თვალი“.

სხვადასხვა წლებში ხუტა ბერულავა იყო გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი, ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი, გამომცემლობა „განათლების“ გენერალური დირექტორი, 1979 წლიდან ჟურნალ „დროშის“ მთავარი რედაქტორია. 1986 წელს აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად.

არის მრავალი პოეტური კრებულის, ლიტერატურული წერილებისა და მხატვრული ნარკვევების, საბავშვო ნაწარმოებების წიგნების ავტორი. მისი წიგნები თარგმნილია ყოფილი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო ხალხების მრავალ ენაზე.

1988 წლის 6 თებერვლიდან არის საქართველოს საბავშვო ფონდის დამფუძნებელი და უცვლელი ხელმძღვანელი, ხოლო 1992 წლის 1 მაისიდან ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარე.

დაჯილდოებულია არაერთი ორდენითა და მედლით, მინიჭებული აქვს პრემიები.

არის საბავშვო ფონდების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდიუმის, მწერალთა კავშირის საერთაშორისო თანამეგობრობის აღმასკომისა და საერთაშორისო ლიტერატურული ფონდის პრეზიდიუმის წევრი.

უკანასკნელ წლებში მინიჭებული აქვს ომარ ხაიამის სახელობის საერთაშორისო ლიტერატურული პრემია, არის ალექსანდრე ფადეევის სახელობის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი და ოქროს მედლის კავალერი.

მიღებული აქვს ღირსების ორდენი.

ხუტა ბერულავას, როგორც ნიჭიერი პოეტის სახელს, საზოგადო მოღვაწის საპატიო ტიტულიც ამშვენებდა.

გამომცემლობათა და ლიტერატურულ ორგანოთა ხელმძღვანელი და ორგანიზატორი არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით, უანგარობითა და მოქალაქეობრივი სისპეტაკით გამოირჩეოდა.

ხუტა ბერულავას სახელთან დაკავშირებულია ქართული მწერლობის რჩული ოცტომეულის „ჩვენი საუნჯის“ და ლიტერატურის ოქროს ფონდში შესული მსოფლიო ლიტერატურის არაერთი შედევრის გამოცემა.

ბაგონ ხუტას 10 დეკემბერს 80 წელი შეუსრულდებოდა. არსთაგამრიგემ ისე ინება, რომ ქვეყნისთვის დამაშვრალ პოეტს არ დასცალდა სიჭარმაგის საიუბილეო თარიღს შეხვედროდა.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

**საქართველოს მწერალთა კავშირი.**

## ჩვენი გულითადი მეგობარი

ამ ერთი კვირის წინათ ბაგონ ხუშტა ბერულავას ახალი ლექსების ციკლი დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. ბოლო ლექსების ციკლი... ბოლო პუბლიკაცია...

ხანდაზმულობის მიუხედავად, იგი მაინც მხნედ გამოიყურებოდა, ძველებური პირდაპირობა შერჩენოდა...

არცთუ იშვიათად შემოივლიდა ხოლმე ჩვენს რედაქციაში, აქ ბევრი მეგობარი და თავისი პოეზიის თაყვანისმცემელი ეგულებოდა... გული დაგვწყვეტა მისმა გარდაცვალებამ... ხუტა ბერულავას ყოველთვის ექნება თავისი განსაკუთრებული ადგილი ახალი ქართული მწერლობის ისტორიაში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული...

**„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.**

გამომცემლობა „განათლების“ თანამშრომლები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო და სხვა ლიტერატურულ პრემიათა ლაურეატი, სახელმოხვეჭილი გამომცემელი, ქართული ჟურნალების რედაქტორი, საქართველოს ბავშვთა ფონდის თავმჯდომარე, გამორჩეული პიროვნება და მამულიშვილი, ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარე, გამომცემლობა „განათლების“ ყოფილი დირექტორი, გულსხმიერი მეგობარი

ხუტა მიხეილის ძე ბერულავა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ელეონორა, შვილები ალექსანდრე, მარიკა, დები ცირა, ლალი კეკელიები, შვილიშვილები, რძალი ეკა იოსელიანი, სიძეები რეზო დაფქვიამვილი, გიგა ბათიაშვილი, ედგარ დავლიანიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მალხაზ კეკელია

პანაშვიდი 30 IX, 1 X, 17 სთ. გამოსვენება 2 X, 15 სთ. მისამართი: თამარ მეფის გამზირი №5, II სად. IV სართ.

აკადემიკოს მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მუშაკი, ექიმი-რენტგენოლოგი

მალხაზ კეკელია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შემღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნევა“ თანაუგრძნობს თანამშრომელს ანა ზონინაშვილს

ბებიის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

შვილი ვლადიმერი, რძალი ლიუდმილა კოლესნიკოვა, შვილიშვილები ინგა, ანა, ელენე, მძახალი მიხეილ კოლესნიკოვი, რძლის ძმა იური კოლესნიკოვი ღრმა მწუხარებით იუწყებიან დედის, ბებიის

ანა ზონინაშვილის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 28, 29 IX, 17-19 სთ. გამოსვენება 30 IX, 15 სთ. მისამართი: თამარ მეფის გამზ. 7, II სადარბაზო, მე-5 სართ. ბ. 25.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

**საქართველოს რესპუბლიკა**
**Sakartvelos Respublika**
**გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“**
**იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.**

**დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.**
**მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.**
**ნომრის მორიგე რედაქტორი ბონდო გულიაშვილი.**

**ინდექსი 66434,** მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**